სპეციალური ნომერი, 2018

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ალექსანდრე ლორთქიფანიძე,
დავით გორგილაძე,
დიანა ანფიმიადი,
ეთერ ქუთათელაძე,
თეა თოფურია, მიშა ბახსოლიანი,
ლუკა ბაქანიძე, ნინო ქადაგიძე,
ნათია როსტიაშვილი,
სოფიო კუბლაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 3-374

WWW.TPDC.GE

რთულია მასწავლებლის პროფესია. რთულია თანამედროვე სასკოლო ცხოვრება, რომელიც ყოველდღიურად ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს.

საქართველოში მასწავლებლის პროფესია ყოველთვის იგივდებოდა რაღაც ძალიან საკრალურთან, ამღლებულთან და ხელშეუხებელთან.

შესაძლოა, სწორედ ამ მიდგომამ განაპირობა ზოგჯერ გაუცხოება მასწავლებელსა და თავის მოსწავლეებს შორის. ქართული ლიტერატურა არ არის მდიდარი სკოლისა და მასწავლებლის ცხოვრების აღწერით. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა, რაზეც მოთხრობები თუ რომანები უნდა იწერებოდეს, რადგან უკეთესი გზა პრობლემების დანახვის, მათი მინიშნების, ღირებულებების ჩამოყალიბების არაფერია, ვიდრე ლიტერატურის გზა. სწორედ ამიტომ:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურსების, ჟურნალ „მასწავლებლის “ და ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“ ფარგლებში, ქართველი მწერლებისთვის ლიტერატურული კონკურსი : “საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“ უკვე მესამედ გამოაცხადა .

კონკურსის მიზანია მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.

კონკურსის ფარგლებში, სპეციალური ჟიურის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლევან ბერძენიშვილი – ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსი; ზვიად კვარაცხელია – მწერალი, გამომცემლობა „ინტელექტის“ მთავარი რედაქტორი; გიორგი კეკელიძე – მწერალი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, კატია ვოლტერსი – მწერალი, მთარგმნელი. ნესტან კვინიკაძე – მწერალი, ტელეკომპანია რუსთვის 2-ს ლიტერატურული გადაცემის წამყვანი და პროდიუსერი, განიხილა 72 საკონკურსო მოთხრობა და თითოეულმა წევრმა შეაფასა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

კონკურსის მხარდამჭერია ლიბერთი ბანკი და კონკურსის სამი გამარჯვებული (I,II,III ადგილი) დაჯილდოვა ფულადი პრემიით.

გამარჯვებულები დაჯილდოვდენ მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის მიმდინარეობისას, საზეიმო მიღებაზე. მათ ასევე გადაეცათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საჩუქრები.

კონკურსის პარტნიორები იყვნენ გამომცემლობა „ინტელექტი,“ რომელმაც თავისი რჩეული მოთხრობები დააჯილდოვა და „პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია“, რომელმაც დააწესა განსაკუთრებული პრიზი საბუნებისმეტყველო საგნის მასწავლებელთა პროფესიის პოპულარიზაციისა და მხარდაჭერისთვის!

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

3 სინკოპა

ნინო ქადაგიძე

41 თეთრი ხელჯოხი

ნათია როსტიაშვილი

44 ღიზი ღმერთია

დავით გორგილაძე

9 სცენას ჩამოსასვლელი არ აქვს

ეთერ ქუთათელაძე

21 მარი მასწავლებელი

მიშა ბახსოლიანი

29 ბოლო გაკვეთილი

სოფიო კუბლაშვილი

52 გელა

დიანა ანფიმიადი

15 მარსზე წყალი იპოვეს

თეა თოფურია

25 სპილო ოთახის კუთხეში

ლუკა ბაქანიძე

35 გზაზე ძალლი მიდიოდა

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

სინკოპა

ალექსანდრე ღორთქიფანიძე

ყველაზე დიდ ბერს, ვისაც კი ოდესმე უცხოვრია, სახელად თელონიუსს, აქვს ეგეთი კომპოზიცია – "In Walked Bud" („ბადი შემოვიდა"), 1947 წელს დაწერილი და მერე არაერთხელ შესრულებული. ამბობენ, რომ მონკმა კომპოზიცია ბადი პაუელს დაუწერა, მადლობის ნიშნად – არ დაივიწყა სავოის დარბაზში მომხდარი ამბავი, როცა პოლიციამ ერთ-ერთი ოპერაციისას ჩაშალა კონცერტი და თელონიუს მონკს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა სთხოვა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი დაუკრა. პოლიციელებმა მონკი დაიჭირეს. ჰოდა, ბადი პაუელი, ასევე ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი პიანისტი, მაშინ ბიჭუნა იყო, სულ რაღაც ოცდაერთი წლისა და თურმე მონკზე გიჟდებოდა, სავოიშიც იყო და რომ ხედავდა, პოლიციელები როგორ აკავებდნენ მის კუმირს, ყვიროდა, რას შვრებით, თქვე სირებო, ეგ ყველა დროის საუკეთესო პიანისტია, ხელი გაუშვითო. ესენიც ადგნენ და ხელკეტი სდრუზეს შუბლში. აი, მაგის მერე ბადის მთელი ცხოვრება ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემა აწუხებდა. მონკმა კიდე დაუფასა, „In Walked Bud" დაუწერა თავის ძმაკაცს, რომელზეც სულ რაღაც შვიდი წლით იყო დიდი, მეტით კი არა.

– მაგარი ფუტბალისტი იყო, „ტორპედოში" თამაშობდა... „ტორპედოში", არა?

– დუბლებში!

– დუბლებში... არა, შეჩემა, რა დუბლებში, საიუზშიც ხო იყო... საიუზში არ იყო ესა? ვანოო!

– ჰოო!

– გაიოზა საიუზში ხო იყო, რაღაც გუნდში?

– არა, რა საიუზში, საიუზში და კოსმოსში არ გინდა?

– კოსმოსში კი არა, შეჩემალალა, იყო, „სპარტაკში" თუ სადღაცა, „დინამო მასკვა"!

– არა ბიჭო, „ტორპედოს" დუბლებში იყო!

– დუბლებში, არა?

– ჰო, სანამ გალახავდნენ!

– „ტორპედო" კაი გუნდი იყო მაშინ, არა?

– კი, კაცო!

– იასნა! საიუზში არ იყო, ზნაჩიტ?

– არა, არა, აპირებდა მგონი, მარა არ იყო!

– კაროჩე, მაგარი ფუტბალისტი იყო, საიუზში აპირებდა!

– ჰოო...

– მერე გაპიზდა მილიციამ და გაგიჟდა!

– ვახ, საწყალი.

– ჰოო, დაანება ფეხბურთს თავი და აგე! გაიოოზ! მოდი აქა! მოდი, ბიჯო, მოდი, ჭიქა აგვიწიე, მოდი!

– ღვინოა?

– მა რა ჩემი სირბანჯოა, დაგვილიე, დაგვილიე, მიდი, ტოსტი თქვი!

– გაგგგი... გაგგგიმარჯოთ, გაგგგიმარჯოთ აბა! ღვინოა, არა?

– დალიე, კაცო, დალიე!

– ჰოო! კაია! კაია!

– მაგარი კაცია, არა? გაიოზა! ჰეჰ! ჩვენი გაიოზა! ფუტბალისტი იყო, საიუზ!

– საიუზში არ იყო ბიჭო ეგა, რა აიჩემე შენ კიდე!

– ჰო რა, საცა იყო, ხო აპირებდა!

– ხოო, მარა...

– ხოდა, ეგაა რა.. არ უსმინო ამას, კაიკაცი, ატრაკებს, პიანია! ჰა, არა სვამ?

– არა, არა, საჭესთან ვარ და...

– დატოვე!

– არა, ვერა, დღესვე უნდა დავბრუნდე და...

– კაი ეხლა, სტუმარი კაცი ხარ, ღვინო დაგვილიე!

– არი კიდე ღღღვინო?

– მიდი, კაცო შენა, გადი, არ გეყო? ბიჭო, ვანოოო! გაიყვანე გაიოზა რა, ყაარს!

– გაი ბიჯო იქით, გაიოზა, გაი!

– გაგგგვიმარჯოს აბა! გაგგგიმარჯოთ!

– მიდი, მიდი, ჩაცალე და ვსო!

– ...

– გავიდა?

– ჰოო, გავაგდე!

– ვაა, გიჟია რა!.. ერთ ჭიქას მაინც არ დალევ, კაიკაცი?

– არა, არა, ვერა, მართლა, დავლევდი სიამოვნებით, მაგრამ გზაზე ვარ და...

– კაი, ისე აგვიწიე, მოგვიჭახუნე!

– რა თქმა უნდა!

– რაო, ესე იგი, ტყიბულში რაზე ჩამოხვედი?

– ლოკაციას ვარჩევ ფილმისთვის.

– რა კინოაო?

– თელონიუს მონკი ხო იცით?

– ჰო!

– რა ხო, შეჩემისა, ჰაჰა, რა ხო, რა ჩემი ჯოჯო იცი...

– ეე, ნუ იკრიჭები შენ ეხლა, ვიცი თუ არ ვიცი, მე ვიცი...

– რა იცი, ბიჯო, შენ რა იცი თელონიუს მონკი?!

– ამას გავლახავ ეხლა, კაიკაცი, და შენ ნუ გეწყინება! გაგაჯმეინებ ეხლა გაიოზასთან!

– მიდი ერთი, ნუ ბოჟიალობ რაღაცას!

– ვანოო, გაგლახავ-მეთქი ეხლა! გაჩუმდი, ბიჯო... ვახ!.. ჰოდა, რაო, რა კინოაო?

– მუსიკოსი იყო ეგეთი, ცნობილი, პიანისტი, თელონიუს მონკი... ამერიკელი იყო რა, ჯაზმენი...

– ჰოო, ვიცი, ხო, ვიცი... რა გაცინებს, ეეე, ივანეე, რა გაცინებს?

– რა მაცინებს კი არა, შეჩემისა შენა, ვინ იყო, ვაფშე რა იცი!

– ზანგი იყო, არა? შენი სახელი დამავიწყდა, ჯიგარო...

– ალექსანდრე.

– ალეკო, ზანგი იყო, არა? მონკი.

– კი, შავკანიანი.

– ჰოდა, ვიცი, ე ამ დოდოლას რო უყურებ, ღრეჭა შეუძლია მარტო მაგას...

– იდინახუი.

– იდინახუი კი არა, წესიერად მელაპარაკე შენა... ჰოდა, ისა... ჩემი ძმა...

– ალექსანდრე.

– ჰო, ალეკო, ამან რა იცის ეხლა, მე ბავშვობაში სამუსიკოზე დავდიოდი და ხუთიანი მყავდა მუსლიტერატურაში, გამიგე?

– მონკი მაინც არ იცი!

– მონკი-შმონკი არ ვიცი, ვიცი.

– ეე...

– ეე და ბეე... მერე ტყიბული რა შუაშია, კაიკაცი?

– ეგეთი ამბავია, ლადო ბუხრაშვილი ერთ დილას ქვანახშირის შახტში მიდის სამუშაოდ...

– ეეჰ, ლადიკა, აცხონოს ღმერთმა!

– მიდის და იქ, ჩასასვლელთან თელონიუს მონკი ხვდება, ორნი არიან მარტო, ჯაზზე და თეატრზე ლაპარაკობენ და შახტში ჩასვლა ავიწყდებათ. საღამოს მონკი რადიოს რთავს და საინფორმაციო გამოშვებაში აცხადებენ, რომ სავოის საკონცერტო დარბაზი აფეთქდა, თუმცა მსხვერპლი არ ყოფილა. საინფორმაციოს მერე რადიოში მონკის ერთ-ერთი კომპოზიცია იწყება, მონკი ეშმაკურად იცინის... ეგრე მთავრდება.

– ვაა.

– ჰო, რავი, ვნახოთ, რა გამოვა...

– აქა არა? ტყიბულში...

– ჰო.

– ვაა.

ტყიბული ლამაზია. ნისლიანი. თერჯოლის მხრიდან თუ ადიხარ, თითქმის შესასვლელში, ხელმარჯვნივ, სპორტული დარბაზი და აუზი შეგხვდება. იქვე პატარა შენობაა, სასტუმროა, მარა თან სასტუმროც არაა, ორიოდე ოთახი აქვს, გაჩერდები, თუ მაინც გჭირდება. მანდ სასადილოა, დუქანი, შეჭამ რა, ერთი სიტყვით. უნდა გააფრთხილო, თორე შეიძლება ადგილი არ იყოს. სასადილოს აქვს საკუთარი თონე. ტყიბულის ძირითადი ფუნქცია ქვანახშირის მრეწველობაა. დასაქმების და ეკონომიკური დოვლათის თვალსაზრისით შახტი მეწველი ძროხაა, ოღონდ მოწველისას შეიძლება ისე გირქინოს, რომ სასუნთქი გზები გადაგიკეტოს და მოგკლას. ქალაქში არის 5 საჯარო სკოლა, 5 ბიბლიოთეკა, თეატრი და ბევრი ძველი შენობა. ტყიბულში მოღვაწეობს საფეხბურთი კლუბი „მეშახტე“. ლადო ბუხრაშვილი ტყიბულელი ბიჭი იყო, მსახიობი და სცენარისტი, უამრავ სხვადასხვა პროექტში გარეული. ქველმოქმედი. მუსიკოსი. ატარებდა საქველმოქმედო გაკვეთილებს მოსწავლეებისთვის, სრულიად უსასყიდლოდ. 27 წლის ასაკში შახტის აფეთქებას შეეწირა. ამბობენ, რომ ის იყო ყველაზე დიდი სიცოცხლის და ენერგიის მფლობელი სული. ლადო ბუხრაშვილი ჰგავდა არტ ტეიტუმის თითების მოძრაობას.

აქ იწყება ამბავი:

დასარტყამებთან ჯდება მაქს როუჩი, სახეზე ისვამს ნახშირს, სვამს რძის სამ ყლუპს და იწყებს: დუმ ბა, დუმ ბა ბა დუუმ ბა დუუმ დუმ ბა, ბა დუმ ბა დუუმ ბა ბა ბა დუუმ დუმ ბა ბა ბა დუმ დუმ დუმ ბაა...

თელონიუს მონკს,
როიალის მანიაკს,
სინკოპების მანკს,
დაუსხამენ კონიაკს.
არის მონკი ყაბულს,
გამოიღებს ყულაბას
და იყიდის ტყიბულს...
როგორც ყალბი ყალიბი
ნიუ ორლეანისთვის.

დუმ ბა, დუმ ბა ბა დუუმ ბა დუუმ დუმ ბა, ბა დუმ ბა დუუმ ბა ბა ბა დუუმ დუმ ბა ბა ბა დუმ დუმ დუმ ბაა..

მეშახტეთა ტახტს,
რომ წააგავს ხიშტს,
ჯაზმენების სახატის
უნიკალურ შტრიხს –
ქვანახშირის პიუპიტრს,
მიწისქვეშა პეტრეს,
გამურულთა პატრიარქს,
პატრონს, პატერ პატრიეს,
ახალი სავანისთვის...

დუმ ბა, ბა დუმ ბა დუმ დუუმ ბა დუმ ბა დუმ დუუმ დუმ ბა ბაა ბა დუმ ბა ბაა ბა ბაა დუ დუმ დუმ ბაა ბა დუუმ.

– და რატო ცემეს ეს კაცი?

– ვინა, გაიოზა?

– ჰო.

– მილიციამ გალახა რა.

– ჰო, რატო?

– ვანოო!

– ჰოო!

– ბიჯო, შენ იცი გაიოზას ამბავი კაათ!

– რა ამბავი?

– რატო ცემეს იმან, რა ქვია, მილიციამ რატო ცემეს?

– მაიცა ერთი წამი...

– აი, მოვა და მოყვება ეხლა... ჰოო, აი, ჰოდა, როგორ იყო ეგა?

– ჰოო, ცემეს!

– მილიციამ, არა?

– ჰო... „ტორპედოს“ დუბლებში იყო მაშინ და კარორჩე, თეატრში იყო რა, შეყვარებული დაპატიჟა. ჰოდა, რაღაცა წარმოდგენა იყო კარორჩე, აი, ლადო რა, ხო იცი, შენ რო კინოს აპირებ...

– ბუხრაშვილი?

– ჰო... ლადოს მამა თამაშობდა მანდ, მსახიობი კაცი იყო ისიც, კაი ხელოვანი, კაი მოქეიფე. ჰოდა, ამან, ბიჭო, არ მოასვენა, მთელი სპექტაკლი ხმამაღლა აკეთებდა კომენტარებს, ეღადავებოდა, შეყვარებულის პონტში მარიაჟობდა და იგი, კარორჩე. ჰოდა, რო დამთავრდა წარმოდგენა, იმან გაიყვანა გვერდზე და გაუტრაკა რა კაცურად და დაადგა ამ დროს მილიცია ამათ, რა ხდებაო და რამე... არაფერიო, ამათმა და კარორჩე საზოგადოებრივი წესრიგი თუ რა-ღაცა ირღვევაო და იზოლატორში წამოდითო და რა იზოლატორი, შეყვარებულთან ერთად იყო ეს გაიოზა რა და კარორჩე გაუტრაკა... იფიქრა, მიცნობენო, ვინა ვარო და რაღაც და მოკლედ იმან დუბინკა ხეთქა თავში რა და ეს აიჭრა მაგრად...

– ასე მარტივად?

– აბა, გაიოზას კითხე, მარტივად თუ რა... სუ გაგიჟდა მაგის მერე...

– და ლადოს მამა?

– არა, ეგ გაუშვეს.

– არ დაეხმარა?

– მაიცა, უნდა გავიდე ეხლა, პური მაქ თონეში ჩაკრული და...

– ჰოო, მიდი, მიდი... აეგაა რა, იმის მერე აირია გაიოზა, დაენძრა.

– შეყვარებული?

– ჰოო, ლალი. ეე... მერე გაირკვა, რო ორსულად იყო კაროჩე ამისგან და ეს რო ცემეს, ის წავიდა სადღაცა. მშობლებმა წაიყვანეს, კრასნოდარში, მგონი. იქ იყო მამამისი...

– ვანოო...

– ჰოო!

– კრასნოდარში არ წავიდა ლალი?

– ლალი?

– გაიოზას ისა რა...

– აა, არა, შეჩემალა, კისლავოდსკში.

– ჰო, რაცაა, კაროჩე... აძინხუი. მარა მერე აირია ცხოვრება, დაირია და ჩამოვიდა უკან, უკვე ბავშვით, აღარ გათხოვილა ოღონდ.

– ბავშვი გაიოზის იყო, ანუ?

– კი, კაცო, ლევანა, მედოლე. აქაა ეხლაც, ტყიბულშია, ლამის მათხოვრობს რა ეგაც, ცალკე გაიოზას არჩენს და თავისთვისაც არა აქვს არაფერი ამ დროს და... დოლზე დადის, ქორწილია, რამეა.

– აჰა.

– ჭამე, ჭამე, კაიკაცი, გაცივდება ეგ ხაჭაპური და მეორეს კი არ შემოიტანს ის უჯიშო ვანო.

– მესმის, შე მამამიჯმულო, რაებსაც ლაპარაკობ შენა, მესმის!

– გესმის, თორე შენც ეხლა..

– ვაი შენ პატრონს, შენსას.

ბადი პაუელი თვლიდა, რომ თუ ვინმემ რამე ასწავლა, ეს იყო თელონიუს მონკი, ხოლო თუ ვინმესგან რამე ისწავლა, არტ ტეიტუმისგან, მეტწილად. როცა ბადი პაუელს ელექტროშოკური თერაპია ჩაუტარეს, 1948-ში, ის თვლიდა, რომ აწამეს. ორი წლის შემდეგ კი, როცა შიზოფრენია დაუდგინეს და მკურნალობის კურსი დაუნიშნეს, ბადი პაუელი შეხვდა დიზი გილესპის, ბიბოპის ლეგენდას, და ასე უთხრა: „დიზი, დაურეკე მონკს და უთხარი, მორჩეს დაკვრას ჩემს თავში, თორემ ვერ ვიძინებ". გილესპიმ ბადი პაუელთან ერთად დაუკრა „ღამე ტუნისში". ამბობენ, რომ ბადი კიდევ ერთხელ სცემეს, როცა ერთ-ერთ ძვირადღირებულ კაფეში ცარიელი ჯიბეებით შევიდა, შეუკვეთა სტეიკი და ითხოვა ნებართვა, რომ ფულის ნაცვლად კვებისთვის დაკვრით აენაზღაურებინა. უთხრეს, რომ ადგილობრივი პიანისტი ჰყავთ დაქირავებული, პროფესიონალი, აკადემიური განათლებით და არაფერში სჭირდებათ ვიღაც ბომჟის დაკრული „Happy Birthday To You". ბადიმ როიალისკენ გაიწია, მაგრამ არ აცადეს და წამოარტყეს, ამ გაწევ-გამოწევაში ერლ რუდოლფ „ბად" პაუელი კიდევ ერთხელ გაილახა.

ანონსი:

„მასწავლებელი – განათლების სისტემაში პიროვნება, რომელიც სწავლის პროცესში დახმარებას უწევს, რჩევებს აძლევს მოსწავლეს, ხშირად საჯარო სკოლებში. უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლებისთვის იხმარება სხვა სიტყვები მაგ., პროფესორი, ლექტორი".

მასწავლებელი:

მნიშვნელობა

(არსებითი სახელი) ადამიანი, რომელიც ასწავლის

წარმოთქმა:

IPA: /mastsʼɑvlɛbɛlɪ/

დამარცვლა:

მას–წავ–ლე–ბე–ლი

ეტიმოლოგია:

სწავლა

სინონიმები:

პედაგოგი, დამრიგებელი, მოძღვარი.

– „რა ევალება მასწავლებელს? რა არის მისი მთავარი ფუნქცია? როგორია საუკეთესო მასწავლებელი?" – ამ კითხვებზე პასუხს დღეს ჩვენი შოუს სტუმარი, განათლების სპეციალისტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ბრიტანელი მკვლევარი სერ უილიამ ჰიტკლიფი გაგვცემს. ბატონო უილიამ, დიდი მადლობა შოუში მობრძანებისთვის, შეგიძლიათ გაგვიზიაროთ თქვენი გამოცდილება და გვითხრათ, როგორია იდეალური მასწავლებელი?

– აა... დიახ, ცხადია... იდეალური მასწავლებელი – ესაა უანგარო ენთუზიასტი, რომელიც კაცობრიობის განვითარების ჯაჭვის რგოლებს აკავშირებს ერთმანეთთან... როგორ გითხრათ, ჩემი კვლევები ადასტურებს, რომ მასწავლებლის ამოცანა არაა ცოდნის გაზიარება, ძველი ცოდნის გადაცემა ახალი თაობებისთვის. გაგიკვირდებათ და არა... მასწავლებლის მთავარი მიზანი გახლავთ...

– ბატონო უილიამ, ახლა ჩვენს შოუში რეკლამის დროა, ჩვენ აუცილებლად მოვისმენთ თქვენს რჩევებს ამ თემასთან დაკავშირებით. მაშ ასე, რეკლამა ჩვენს შოუში და ძალიან მალე დაგიბრუნდებით!

– მეგონა, გეძინა.

– აა, არა... რაღაც არხზეა ჩართული, არც ვუსმენდი.

– არ გეძინება?

– არა, რაღაც... ნახე, რა ვიპოვე...

– ?

– ამ მედოლე ლევანას, გაიოზას შვილს... ხო მოგიყევი მაგის ამბავი?

– ჰო, რაღაც, კი.

– ტყიბულის ამბავი...

– კი, კი.

– დოლზე დაკვრა გვიან უსწავლია, ძაან რო გაჭირვებიათ.

– ჰოო...

– ლადო ბუხრაშვილთან დადიოდა, პერსონალურად, ის ასწავლიდა.

– ჰოო...

– დოლიც ლადომ აჩუქა, მამამისის.

– ვა... კაი, გავალ მე, დავწვები, რო მორჩები, სინათლე არ დაგრჩეს.

– ...

– გკოცნი, აბა, ძილი ნებისა.

– ძილი ნებისა.

– მაშ ასე! ჩვენ დაგიბრუნდით, შეგახსენებთ რომ ვსაუბრობთ თემაზე „მასწავლებელი“. ჩვენი სტუმარია ჰარვარდის...

ექსტ. შახტის ჩასასვლელი ყელი. დილა.

ახალგაზრდა ბიჭი, ლადო (27 წლის), საქმიანი ნაბიჯით უახლოვდება შახტს. ეტყობა, რომ სპეციალურად სამუშაოდ ჩაუცვამს, ხელში დამცავი ჩაფხუტი უკავია. შახტთან შავკანიან მამაკაცს ამჩნევს, როგორც შემდეგ ირკვევა, თელონიუსს (28 წლის). ლადო უახლოვდება და გაკვირვებული ჩერდება მის წინ. მამაკაცს ხელში რადიომიმღები უჭირავს და სიხშირეს ეძებს. რადიომიმღები შხრიალებს.

ლადო (გაკვირვებული)
გამარჯობა.

თელონიუსი
გაგიმარჯოს!

ლადო
თქვენ... მირიანის მაგივრად ხართ?

თელონიუსი (ლადოს აათვალიერ-ჩაათვალიერებს)
წავა ეგ ვარიანტიც... კი.

ლადო
მირიანს რა დაემართა?

თელონიუსი
არაფერი, რა უნდა დამართოდა, ცოლ-შვილი წაიყვანა დასასვენებლად.

ლადო რამდენიმე წამს გაკვირვებული უყურებს.

ლადო
მირიანმა?

თელონიუსი
ჰო, რა... ერთი ეს მითხარი, ქართულს მღერი?

ლადო
ქართულს? კი, ვმღერი... და სად წავიდა მირიანი... დასასვენებლად?

თელონიუსი
იბიცაზე. მისმინე... სინკოპირებას აკეთებთ ქართულ სიმღერებში?

ლადო
იბიცაზე?

თელონიუსი
ჰო რა... ჰოდა, აკეთებთ სინკოპირებას?

ლადო გაკვირვებული უყურებს, შემდეგ უახლოვდება, მის გვერდით დიდ ლოდს ეყუდება და იცინის. თელონიუსი რადიოსიხშირეს იჭერს. რადიომიმღებიდან ისმის „In Walked Bud”.

დავით გორგიაძე

სცენას ჩამოსასვლელი არ აქვს

დავით გორგილაძე

თბილისში დაბრუნება მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ ელენემ მომწერა, მოგცემო. დაუფიქრებლად გავხსენი Wizzair-ის ვებგვერდი და ყველაზე იაფი ბილეთი ვიყიდე ბუდაპეშტიდან თბილისამდე. უნგრეთში, ევროპის უნივერსიტეტში სწავლისა და პროფესორის ასისტენტად მუშაობის შედეგად, რეალურად ბევრი ვერაფერი ვისწავლე. სამაგიეროდ, ბუდას მხარეს, მეთევზეების ბასტიონთან მდებარე პაბში გატარებულმა საღამოებმა ცხოვრებაზე რაღაც წარმოდგენები შემიქმნა. ერთხელ ამ ბარის მეპატრონემ სიყვარულზე თუ რაღაც ამდაგვარზე საუბრისას მითხრა: „თუკი ბედი გაგიღიმებს და ნიავი შენი ბავშვობის სიყვარულის ვაგინის სურნელს მოგიტანს, აუცილებლად გაჰყევი მას – ბედნიერებამდე მიგიყვანს“. იმ საღამოსვე დავიმატე ელენე Facebook-ზე. მინდოდა კი ელენესთან რამე-რუმეები? არ ვიცი. საერთოდ, ბოლო დროს სექსი სულ უფრო იშვიათად მინდება. რომ მკითხოთ, რა მირჩევნია, საშუალო დონის ფილმის ყურება თუ საწოლის თავგადასავლები, ალბათ პირველს ავირჩევ. თუმცა ერთში ძალიან მყარად ვიყავი დარწმუნებული: იმისთვის, რომ წრედი შეკრულიყო და როგორმე 2007 წლის 17 აპრილს მომხდარი ამბების დავიწყება მომეხერხებინა; იმისთვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ წამეშალა გონებიდან 206-ე სკოლა, ტყუპი ჩანქსელიანები, თეატრალური დადგმა „ხევისბერი გოჩა”, სკოლის სახურავი და ჩანქსელიანების მამის დამძრვალი ფრჩხილები, ის ოცნება უნდა ამესრულებინა, რის გამოც ყველაფერი დაიწყო. ყველა ასეთ ამბავს კი თავისი გამაერთიანებელი ჰყავს და ჩვენს ამბავში ეს იყო...

თავი I
ქართულის მასწავლებელი და თეატრის მოყვარული რეჟისორი დემნა კაშია

მასწავლებელმა გადაწყვიტა, ორი კვერცხი, ერთი თეთრი და მეორე მოყვითალო, საუზმისთვის შემოენახა და საღამოს მხოლოდ ბოთლის ძირში შემორჩენილი ტყემალი დალია. უფრო სწორად, ხელისგულზე დაისხა და ალოკა. რამდენიმე დღით ადრე გაზეთში წაიკითხა, რომ მნიშვნელოვანი დღის წინ რვასაათიანი ძილია საჭირო. ძილის წამლის დალევასაც აპირებდა, მაგრამ ვერ გაბედა ცოტა ხნით ადრე ნანახი სიზმრის გამო, რომელშიც საკუთარ მძინარე სხეულს სასთუმალთან ედგა და მის გაღვიძებას ცდილობდა, აჯანჯღარებდა, სახეში სილას ულაწუნებდა, მაგრამ გონში ვერ აგდებდა. „თრომბოასპირინი“, რომელსაც ძილის წინ სისხლის გასათხელებლად სვამდა ხოლმე, ლოგინის თავთან, ტუმბოზე დადო, სადაც ძველებური, სქელ ბროლში ჩასმული საათი იდგა იასამნისფერი ციფერბლატით. როცა გამოეღვიძა, დაინახა, რომ ოქროსფერი ისრები ზუსტად 4 საათს აჩვენებდნენ. გაახსენდა, რომ ამ საათს არასდროს უჩვენებია მისთვის ხელსაყრელი დრო. მაშინაც კი, როცა სკოლაში მოსწავლის სტატუსით დადიოდა და არა პედაგოგის.

– მგონი, ძილის ღმერთიც გამიწყრა, – თქვა ხმამაღლა.

დიდი ხანია, ამ სახლში მხოლოდ საკუთარ თავთან ლაპარაკობდა და ჩურჩულით საუბრის საჭიროებას ვერ ხედავდა. მარტო ცხოვრობდა ჩეხური პროექტის ოროთახიან ბინაში, რომელსაც ნამდვილად გაჯავრებოდა ღმერთი. ძველებურ ხის ფანჯრებში,

უკვე თითისტოლა ნაპრალები რომ ჰქონდათ, თავისუფლად უბერავდა ქარი, ჩამოფხავებულ კედლებს კი კუთხეებში ობი მოსდებოდა შიგნით გამავალი, დაძველებული მილების გამო. აბაზანაში მთლად აყრილიყო ფილები და ზედ სიარულისას თითქოს მწერების გასრესის ხმა ესმოდა. ემალისზედაპირიან ნიჟარას ატკეცილ ადგილებში ჟანგი ჰქონდა მოდებული. უნიტაზი მოყვითლებული იყო და მეოთხე წელი შესრულდებოდა, რაც მასში წყალს პატარა ჯამით ასხამდა მოშლილი მექანიზმის გამო. „ძველი ოჯახები ძველ ცივილიზაციებს ჰგვანან. პატარავდებიან და ქრებიან", – რომელიღაც ფილმში მოისმინა და მას შემდეგ გონებიდან ვერ ამოიგდო ეს ფრაზა. მასწავლებელი მიხვდა, რომ დაძინებას ვეღარ შეძლებდა, ჭრიალა გარდერობი გამოაღო და იქიდან სპეციალურად სპექტაკლის პრემიერისთვის დაუთოებული შარვალ-კოსტუმი ჩამოხსნა. იმ მომენტში, უამრავ სადარდებელთან ერთად, ისიც უღრღნიდა გონებას, რა მოეხერხებინა პერანგისთვის, რომელსაც წვიმიან ამინდში რკინის თოკზე დაკიდების გამო საყელოსთან ჟანგი ეტყობოდა. საბოლოოდ გადაწყვიტა, ნაცრისფერი პიჯაკისთვის კუბოკრული პერანგი შეეხამებინა. ცხრა საათი რომ შესრულდა, ორი კვერცხი მოიხარშა და ისეთი გრძნობით მიირთვა, თითქოს ფორთოხლის წვენსაც აყოლებდა.

ათი ხდებოდა, როცა ჩემი სახლის კარზე დააკაკუნა. იმ დღეს სკოლიდან ის მოსწავლეები გაგვათავისუფლეს, ვინც დემნას სპექტაკლში ვმონაწილეობდით. სპექტაკლი საღამოს იყო ჩანიშნული. კაშიას მოთხოვნით, დადგმა სკოლის სახურავზე უნდა გაგვეთამაშებინა ბუნების წიაღის ეფექტის შესაქმნელად. ამიტომაც მზის გულს მოგვარიდეს.

– დილა მშვიდობის, ბუბა, შვილი.

– გამარჯობა, დემნა მას.

– მამა სახლშია?

– სამსახურშია, დემნა მას.

– დედა?

– მარტო ვარ, დემნა მას.

– მზად ხარ სპექტაკლისთვის?

– დიახ, დავიზეპირე.

– არა, დაზეპირება არ გვინდა. უნდა გრძნობდე, რასაც ამბობ.

ამაზე არაფერი მიპასუხია. მხოლოდ თავი დავუქნიე. საერთოდაც, სპექტაკლში მხოლოდ იმის გამო ჩავერთე, რომ ელენე მონაწილეობდა. ძიძიას როლი შეხვდა.

– გრძნობ შენს ტექსტს?

– ვგრძნობ.

– შენი იმედი მაქვს. შენ ხარ დადგმის ლოკომოტივი. გოჩა ხარ, ხევისბერი, გესმის?

– დიახ, მესმის, დემნა მას.

– კომპიუტერთან დამსვამ?

დემნას, ჩემი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, ასევე ჩემს მეზობელს, მშობლებთან საქმე არასოდეს ჰქონდა. პირიქით, მხოლოდ მაშინ შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან, როცა ისინი სახლში არ იყვნენ და ჩემი კომპიუტერით დაძვრებოდა ინტერნეტის უღრანებში. თუმცა, რა უღრანებში, სულ რამდენიმე საიტი იცოდა, ყველაზე ხშირად კი „ადნაკლასნიკებს" იყენებდა. მე საწინააღმდეგო

არაფერი მქონდა, თუ მაინცდამაინც იმ დროს არ დამადგებოდა, როცა ახალდადებულ პორნოს ვუყურებდი ელსა ჯეინის მონაწილეობით, ან „ქაუნთერს“ არ ვთამაშობდი ქსელში. სიმართლე ვთქვა, კაი თავშესაქცევი იყო დემნა მასწავლებლისთვის თვალ-ყურის დევნება კომპიუტერთან ჯდომის დროს. ისე მოირგებდა ყველაფერს, როგორც მოწესრიგებული მძღოლები იქცევიან ხოლმე მანქანის დაქოქვის წინ და მერეც. ყურსასმენებსაც იკეთებდა, მაგრამ მუსიკის ჩართვა არასოდეს უთხოვია. ეტყობა, ფიქრობდა, რომ ასე იყო საჭირო. დემნა მასწავლებელი სავარძელში მოთავსდა და სკამი დაარეგულირა.

– აბა, ჩამირთავ? – მკითხა.

რა თქმა უნდა, დემნას პაროლების მცველი მე ვიყავი, თვითონ არც ერთი არ ახსოვდა, თუმცა მისი მოფიქრებული კი გახლდათ. მაგალითად, „ადნაკლასნიკებისთვის“ აირჩია ფრაზა რომანიდან „დათა თუთაშხია“ და სიცილს ძლივს ვიკავებდი, როცა ვწერდი ხოლმე: aravissakmeshiarverevime. საერთოდაც, ყველა პაროლი ლიტერატურიდან ჰქონდა აღებული. არასოდეს მომსვლია აზრად, მის „ადნაკლასნიკზე“ შევსულიყავი, მაგრამ იმ დღეს ისე უცნაურად აღელვებული იყო და მისთვის უჩვეულოდ სწრაფად ბეჭდავდა, უფრო სწორად, ისე გამალებით ურტყამდა კლავიატურას, ინტერესმა მძლია. დივანზე ვიჯექი და ტელევიზორს ვუყურებდი. მახსოვს, „მუმია“ გადიოდა, მე კი ყოველთვის ბნედები მემართებოდა ანქსუნამუნზე. მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ეგრე მგონია, რომ ღმერთი უსამართლოდ მოიქცა, ერთმანეთს რომ არ შეგვახვედრა. დემნა კლავიატურის ცემას აგრძელებდა, თან ოხრავდა. უცებ სკამიდან წამოხტა და აფორიაქებული მივიდა ოთახის კართან.

– ბუბა, წყალი დამალევინე, რა.

– ახლავე, – ვუთხარი და არცთუ უხალისოდ გავედი სამზარეულოში.

დემნამ ჭიქა სწრაფად გამოცალა და რაღაცნაირი ხმაც ამოაყოლა.

– მადლობა. ხო მზად ხარ დღეისთვის?

– დიახ, დემნა მას. დავიზეპ... კი არადა, ვგრძნობ.

– ჰო, ჰო, უნდა იგრძნო, – მოჭუტული თვალებით შემომხედა და სპარტაკ ბაღაშვილის ხმით დააყოლა: – წყეულიმც იყავ, ყველასგან მოძულებულო. გაიმეორე.

გავიმეორე, მაგრამ, როგორც ჩანს, ისე არა, როგორც მას უნდოდა. „უფრო გრძნობით, მეტი გრძნობით“, – მითხრა და დამემშვიდობა. არასოდეს ვიკადრებდი მისი მიმოწერის წაკითხვას, მაგრამ, როგორც ვთქვი, მისმა მდგომარეობამ მაიძულა. დანაშაულის გრძნობა კი მქონდა, მაგრამ იმ დროს საერთოდაც ვერ ვარკვევდი, რა იყო ცუდი და რა კარგი. შეიძლება ახლაც ვერ ვარკვევ. აღმოჩნდა, რომ დემნას მიმოწერა ჰქონდა სულ სამ ადამიანთან: საკუთარ ძმასთან, რომელიც რუსეთში ცხოვრობდა; შვილთან, რომელიც წლებია, მამას არ ენახებოდა და ციური დეიდასთან, რომელიც წინა კორპუსის მინიმარკეტში მუშაობდა გამყიდველად. დემნა ძმას საკუთარ გაუსაძლის მდგომარეობაზე, უფულობასა და შვილზე სწერდა – სოფოზე, რომელსაც სძულდა და ეს სიძულვილი, როგორც თავად ამბობდა, დემნას სულს ხდიდა. დეტალურად ეუბნებოდა, რა ჭამა დილით და რა მოისაქმა საღამოს. შვილს შეხვედრას ემუდარებოდა, მაგრამ პასუხი არა და არ ჩანდა. აი, ციური დეიდასთან კი, ჩემდა გასაკვირად, ტინტო ბრასისთვის შესაშური ეროტიკა იხლართებოდა. პირველი სექსუალური შოკი ათი წლის ასაკში, პირველი მასტურბაციისას მივიღე, როცა რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერ ვარკვევდი, რა მჭირდა – მეგონა, ვკვდებოდი. მეორე კი – ამ მიმოწერის წაკითხვისას. ახლა, წლების შემდეგ, ვხვდები, რომ ბავშვებს ძალიან არასწორი წარმოდგენა აქვთ მასწავლებლებზე, რომლებსაც თავადვე გვაქმნევინებენ. დაფასთან დგანან, ცდილობენ, საკუთარი ადამიანური ნაწილი ბოლომდე მიჩქმალონ, ფორმულების, შემასმენლების, ქვემდებარეების, მცენარეთა დამტვერვის, „ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროების, პოლიტიკური რუკებისა და ისტორიული თარიღების უკან დაიმალონ, მოსწავლეებს კი მხოლოდ მექანიკური ნაწილი დაანახონ. ჩვენც ვერაფერს ვხვდებით და ვხედავთ გაქვავებულ ადამიანებს, რომლებიც გვაწვალებენ, საკონტროლოებს გვაწერინებენ, გვსჯიან მხოლოდ იმიტომ, რომ ამის შესაძლებლობა აქვთ და შეუძლიათ მშობლებთანაც მაგრად გაგვიფუჭონ საქმე. სამაგიეროდ კი, თავიანთ ვნებებს საიდუმლო ცხოვრებაში ღვრიან. ცხოვრებაში, რომელიც სამუდამო მიმალვისთვისაა განწირული.

როგორც მიმოწერიდან ირკვეოდა, ქართულის მასწავლებელსა და მაღაზიის გამყიდველს მხოლოდ ვირტუალური სიყვარული აკავშირებდათ. დემნა ცდილობდა, როგორმე სახლში ამოეტყუებინა ციური, ყოველი მომდევნო უარის შემდეგ კი მასში სექსის მონსტრი იღვიძებდა და მსუბუქი ეროტიკა ძალადობრივ პორნოსიუჟეტში გადაიზრდებოდა ხოლმე. ასე მთავრდებოდა ერთწლიანი მიმოწერის ყოველი დღე. ყველაზე ხშირად – ამ სიტყვებით: „მაგ ლამაზ ფეხებშუა მაინც გაგიკეთებ“. სიმართლე ვთქვა, დემნას მიმოწერამ არანაირი ზიზღი არ გამიჩინა. პირიქით, ვიღაც მოლაპარაკე სახელმძღვანელო ადამიანად გადააქცია ჩემს გონებაში და ხორცი შეასხა. სრულიად უინტერესო კაცი უცებ პერსონაჟად გადაიქცა. თუმცა მაკვირვებდა ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიზმზე მოლაპარაკე ულვაშიანი კაცი, რომელსაც მუდამ დაკრავდა ოფლის არაგამაღიზიანებელი სუნი და ციური დეიდას ფუმფულა ფუჩურში დიდი პენისის გამთხრელი პორნოვარსკვლავი ერთი და იგივე ადამიანი – დემნა კაშია იყო. წლების შემდეგ კი მივხვდი, რომ რომანტიზმსა და აგრესიულ სექსს შორის ნახევარი ნაბიჯია – მაშინ, როცა ბუდაპეშტის ცენტრში, კაფეში მჯდომ უსაყვარლეს, ირანული წარმომავლობის ბრიტანელ მეგანთან ერთად ჯერ ღამის ცაზე გამოკიდებულ ციმციმა ვარსკვლავებზე ვლაპარაკობდი, რამდენიმე წუთში კი ამავე კაფეს ტუალეტში მასთან ორალური სექსით ვიქცევდი თავს. დემნას მიმოწერაში ყველაზე გულისმომკვლელი ის იყო, რომ შვილსა და მაღაზიის გამყიდველს იმდღევანდელ სპექტაკლზე დასწრებას ემუდარებოდა. ერთისგან ჩვეული დუმილი იყო პასუხად, ციურისგან კი – უარი.

თავი II
შაკო და ბექა ჩანქსელიანები, რომელთაგან ერთ-ერთმაც სამი წამით დამასწრო

ტყუპებთან ერთად, 1997 წლიდან მოყოლებული, 2007 წლის 17 აპრილამდე ვიხდიდი სასჯელს ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის 206-ე საშუალო სკოლაში. ისე, შაკოს და ბექას სახელით არავინ მიმართავდა. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქალაქი სერიალ „ბლანკოს ქვრივით“ მოიწამლა, ეს ტყუპი ძმები ფილიპე და ნიუვანი გახდნენ. ეს მეტსახელები შერჩათ და შერჩათ. იმათგან განსხვავებით, ჩანქსელიანებს ზებუნებრივი ტალანტები არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, შაკო მაგრად ხატავდა, განსაკუთრებით ტიტველ ქალებს – უჯრებიანი რვეულების უკანა გვერდებზე. ბექას კი... ბექა ვერ იყო ბოლომდე დალაგებული. პირველი კლასიდან მოყოლებული, რაც თავი მახსოვს, მაგათ გაშველებაში ვიყავი: ჯერ ფეხბურთის თამაშის დროს ულეწავდნენ თავ-ყბას ერთმანეთს, მერე კი „ქაუნთერ სტრაიკის“ დროს ასისხლიანებდნენ. არასოდეს გადამივარდება გონებიდან ბექას ნასიამოვნები სახე, როცა შაკოსთან დანით მიპარვას და აჩეხვას შეძლებდა ხოლმე. „ییییش, ییییش, გამოიღე”, – ყვიროდა. ტყუპებს შორის დანთებულ მარადიულ ცეცხლს მასწავლებლებიც ხშირად ასხამდნენ ნავთს – ხან შაკოს ქების ფონზე ბექას სახალხო ძაგებით, ხან კი მათ ფოტოებს საამაყოებისა და სამარცხვინოების სტენდების საზღვარზე ზუსტად გვერდიგვერდ გამოფენდნენ ხოლმე.

ტყუპების მტრობა 2005 წლის სექტემბერში მინელდა, როცა კლასში ელენე გადმოვიდა, ბექა კი მასზე გადაერთო. სიმართლე ითქვას, მასწავლებლებსაც აღარაფერი ჰქონდათ საწუწუნო – ელენესთვის თავის მოსაწონებლად ბეშქენამ სწავლა დაიწყო, გაკვეთილზე აღარ აგვიანებდა, საჭირო ოთახში გასვლას მხოლოდ მაშინ ითხოვდა, თუ მართლა უნდოდა, პედაგოგებს აღარ ეუზრდელებოდა, დავალებები მოჰქონდა და, წარმოიდგინეთ, ქიმიის ლაბორატორიულზე წარმატებული ცდაც კი ჩაატარა საკუთარი სურვილით. ძალიან მარტივი, მაგრამ მაინც ექსპერიმენტი. ძმებში მშვიდობამ დაისადგურა, მაგრამ ჩემსა და ბექას შორის დაიწყო ცალმხრივი მტრობა. მე ზედმეტად მშიშარა ვიყავი იმისთვის, რომ მასთან ჩხუბი გამებედა, მაგრამ დღესა და ღამეს ვათენებდი გეგმების დაწყობაში. ერთხელ ოთახის კედელზე მაგისი ფოტოებით, ჩემ მიერ შექმნილი სკოლის შენობის ნახაზით, დიდი სტრატეგიაც კი შევქმენი კაი ამერიკელი დეტექტივივით. ყველაზე სასაცილო თუ სატირალი ისაა, რომ უწყინარი ბიჭიდან შურიან მოხუცად ზუსტად სამ წამში გადავიქეცი. ამდენი წამით დამასწრო ბექამ იმის თქმა, რომ ელენე უყვარდა. ჩვენი უბნის წესების მიხედვით კი, ტერიტორია უკვე მონიშნული იყო – იქით გადასვლა აღარ შეიძლებოდა. და როცა მტაცებლები საკუთარ ტერიტორიას შარდით ნიშნავენ, ჩემნაირი ჩმორები იფსამენ ხოლმე. სულ სამი წამი და არც ერთი წამით მეტი.

არ ვიცი, რას ასახელებდა იმდროინდელი ქართული მედია 2007 წლის მთავარ თეატრალურ მოვლენად, მაგრამ, ჩემი აზრით, იმ წლის მთავარი სპექტაკლი დემნა კაშიას დადგმული „ხევისბერი გოჩა“ იყო, რომელშიც შაკოს ონისეს როლი შეხვდა, ბექას კი – გუგუასი.

თავი III
„ხევისბერი გოჩა“ – ერთმოქმედებიანი სპექტაკლი სკოლის სახურავზე

კუბოკრულ პერანგში გამოწყობილი დემნა კაშია ქორწილში მისულ ყასაბს ჰგავდა. ღელავდა, ბოლთას სცემდა და ოხრავდა. სააქტო დარბაზში ვიყავით და მაგისი ქშენა მთელ სივრცეს იპყრობდა. წაკითხული მიმოწერის შემდეგ როგორღაც გაუცხოება მქონდა ამ კაცთან. არადა, ვიცოდი, სინამდვილეში რაზეც ფიქრობდა – სახურავზე საგანგებოდ დატოვებული სამი ცარიელი სკამიდან თუ შეივსებოდა რომელიმე. გენერალური რეპეტიცია გავიარეთ და სახურავზე ასასვლელად მოვემზადეთ. ელენეს თავშალი ჰქონდა მოხვეული და უცნაური ფორმის ბიბილოებზე ვერცხლის საყურეები უბზინავდა. ყველაზე მეტად ის მაცოფებდა, რომ განცდებისა და ღელვის გამო, ელენე თაფლისფერ თვალებს ხშირად უკრავდა ბექას, რომელიც გაშტერებული უყურებდა და უცინოდა.

უცებ ბექას ხელი მოვხვიე და დერეფანში გამოვიყვანე.

– რა ხდება? – მკითხა.

– რაღაც უნდა გითხრა.

– მითხარი, დროზე, ავდივართ.

– ამას იმიტო გეუბნები, რო ჩემი ბრატი ხარ. შენი ძმაც ჩემი ბრატია, მარა შენ უფრო ხარ.

– ებიჯო, თქვი.

– ბეშქენ, წეღან შენმა ძმამ მთხოვა, ელენეს ჩანთაში წერილი ჩამედო.

– რა წერილი? – ბექას თვალები აენთო.

– არ ავარდე ეხლა.

– ეეეე, თქვი.

– ბიჭო, ტიტველი ელენე ყავდა დახატული.

– რა თქვი, ბიჭო?

– ხო, სუ ტიტველი, რა. ძუძუები და სუ ტიტველი, რა.

ბექა გაქვავდა და დამუნჯდა. მე კი, როცა მივხვდი, რომ საქმე დაიძრა, უფრო გავუტიე.

– ნახატის ქვეშაც ეწერა რაღაც.

ბექამ სივრცეს მიშტერებული თვალები ჩემკენ შემოაბრუნა.

– რა ეწერა?

– დამშვიდდი ეხლა.

– ჰე ეხლა, თქვი.

ისეთი სახე მივიღე, თითქოს შევწუხდი. ვითომ ვინანე ჩემი გულწრფელობა.

– მაგ ლამაზ ფეხებშუა მაინც გაგიკეთებო, – გამახსენდა დემნას მიმოწერა.

ასეა, ყველაზე სასტიკი იდეები უცაბედად მოგდის თავში. სიტყვა დავამთავრე თუ არა, კლასიდან დემნა მასწავლებელი და მსახიობები გამოეფინენ და ხმაურით დაიძრნენ კიბეებისკენ. დემნა თუთიყუშივით იმეორებდა: „გრძნობით, გრძნობით". ბექა კი ნახირს ჩამორჩენილი ძროხასავით მოგვყვებოდა უკან. თან ყბას ყბაზე ისე აჭერდა, მასტიკამოსმული იატაკის ჭრიალს ფარავდა.

სახურავი სავსე იყო და ავედით თუ არა, ტაშმა იხუვლა. იმ სამი სკამიდან კი მხოლოდ ციური დეიდას დაეკავებინა ერთი. ისეთი მორიდებით იჯდა, თითქოს იცოდა, რომ მათი მიმოწერა წავიკითხე. დემნა კაშია აცეტებული იყო. ციურის დანახვაზე დირიჟორივით გაშალა ხელები და შესავალი სიტყვა წარმოთქვა იმის შესახებ, რა ნიჭიერები ვიყავით და როგორი მადლობელი იყო ჩვენი, რომ ქართული ლიტერატურის უკვდავ საგანძურს ვაცოცხლებდით. იქ შეკრებილებიდან მხოლოდ სამს გვქონდა მოსვენება დაკარგული: მე, ციურის და ბექას, გონებადაცურებულ სვანს, რომელსაც ორი წლის წინ მოპოვებული სიმშვიდე დავურღვიე. მასში ძველი დემონები გავაცოცხლე.

სპექტაკლი ზომიერად უნიჭოდ მიმდინარეობდა. დემნა ციურის არ აშორებდა თვალს, ციური კი – ბუშმალის ხეს, რომელიც სახურავიდან ხელისგულივით მოჩანდა. მე ველოდი, როდის დადგებოდა ბექა ჩემ მიერ დანაღმულ ადგილზე და შემორჩენილ მოსვენებასაც ნელ-ნელა ვკარგავდი. და სწორედ იმ მომენტში, როცა დავიქუხე, „წყეულიმც იყავ, ყველასგან მოძულებულო", ბექა ადგილიდან მოწყდა და საკუთარ ძმას შეასკდა. ხალხმა იფიქრა, რომ ეს დემნა კაშიას ინტერპრეტაციის ნაწილი იყო და ტაში დაუკრეს: რეჟისორს – იდეისთვის, ბექას კი – სამსახიობო ოსტატობისთვის. შაკო გაკვირვებული ცდილობდა ძმის მოშორებას, დემნა და მთელი დასი გაოგნებული იდგნენ, მე – ულვაშებში ჩაღიმებული. ციურიმ კი მაშინღა მოწყვიტა თვალი ბუშმალის ხეს, როცა ჩოჩქოლის ხმა გაიგო. ხალხი იცინოდა.

ხანდახან ისეთ ნაღმებს ვდებთ მიწაში, რომელთა სიძლიერე და დამანგრეველი ძალაც არ ვიცით. ფეხზე ძლივს წამომდგარ შაკოს საკუთარი ძმა კიდევ ერთხელ დაეჯახა და ბოლო, რაც დავინახე, სახურავიდან მოწყვეტით გადაშვებული ჩემი მეგობარი იყო.

იმ დღის შემდეგ სამი რამ აღარ მომხდარა: მე აღარასოდეს მინახავს ტყუპები – არც შაკოს პანაშვიდზე მივსულვარ. და დემნა კაშია აღარასდროს ჩამოსულა „ადნაკლასნიკებისთვის". იმავე საღამოს ტყუპების მამამ, გუჯა ჩანქსელიანმა სპექტაკლის ყველა დამსწრის სახლი ჩამოიარა და ერთი და იგივე რამ სთხოვა. ჩვენთან რომ მოვიდა და კარზე კაკუნი გავიგე, კანკალმა ამიტანა. მეგონა, რომ მომაგნეს. საბოლოოდ კი სახლში შემოვიდა განახევრებული კაცი, რომელიც სულ რამდენიმე საათში დაბერებულიყო. გუჯას მარჯვენა ხელის არც ერთ თითზე აღარ ჰქონდა შერჩენილი ფრჩხილები და ნუნებიდან სისხლი მოსდიოდა. ჩემდა საბედნიეროდ, სწრაფად მთხოვა, რაც უნდოდა: პოლიციასთან უნდა გვეთქვა, რომ ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა, ფეხი დაუცდა და გადავარდა. ციხეს სასწაულით გადაურჩა დემნა კაშია, რომელსაც მოკითხეს, რატომ გარისკა სპექტაკლის სახურავზე ჩატარება. სამაგიეროდ, ისეთი პანჩური ამოარტყეს და ისეთი იარლიყით გააგდეს სამსახურიდან, რომ არც ერთმა სკოლამ აღარ მიიღო.

ჩვენი კლასი დაიშალა. მე დაკითხვის დამთავრებისთანავე გამიშვეს სოფელში ოთხი თვით. ალბათ დანარჩენებსაც ეგრე მოექცნენ. 2007 წლის 17 აპრილს ჩვენ მოსწავლეები შევედით სკოლაში, იქიდან კი, ერთი ადამიანით ნაკლები, მაგრამ ზრდასრული ადამიანები გამოვედით.

ამ ამბავს საერთოდაც არ მოვყვებოდი, თბილისში დაბრუნებულს, ძველი ამბების გახსენებისას, დედაჩემისთვის შემთხვევით რომ არ მეკითხა დემნა კაშიას ამბავი.

– საწყალი ვეღარავის ცნობს. გაბომჟებულია, ჩაფსმული დადის. წინასწარმეტყველებს ყიდის სკოლასთან.

– რას?

–წინასწარმეტყველებს, – გაეღიმა დედაჩემს, – ხო გითხარი, გაგიჟდა-მეთქი.

– რას ნიშნავს, წინასწარმეტყველებს ყიდის?

–ლარიანს მისცემ და ფურცელზე დაწერილ წინასწარმეტყველებას მოგცემს.

–ახლა იქ იდგება?

–სულ მანდ დგას. რა ვიცი, მანდ იქნება ალბათ. არ გინდა მისვლა, მაინც ვერ გიცნობს. ხო გითხარი, ვერავის ცნობს-მეთქი.

სკოლასთან მივედი და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ სპილო დამაჯდა გულზე. დემნა ჯიხურის გვერდით იდგა და ბუშმალის ხეს უყურებდა. ფრთხილად მივუახლოვდი. არ ვიცი, რისი მეშინოდა. შიში იყო საერთოდ? იქნებ პირველად სწორედ მაშინ გავაცნობიერე ჩემი საქციელი ბოლომდე. ან იქნებ წლებმა ჩემს ქვეშაფსიობას ვერაფერი მოუხერხა და ისეთად დამტოვა, როგორიც მაშინ ვიყავი. ფეხმომტვრეულ მაგიდაზე რკინის ლარიანი ჩუმად დავდე.

– ერთი წინასწარმეტყველება, თუ შეიძლება.

დემნამ ნელა გამომხედა, თვალი თვალში გამიყარა და გაბანჯგვლულ სახეზე ხელი მოისვა.

– მაშ, მხოლოდ ერთი?

– ერთი.

დემნამ მაგიდაზე დაყრილ პატარა ფურცლების გროვას დიდხანს უყურა, მაგრამ, როგორც ჩანს, იქიდან ვერც ერთი ამოარჩია საჩემოდ. უცებ ჯიბიდან თავმომძვრალი პასტა ამოიღო, უფილტრო სიგარეტის კოლოფს გვერდი მოახია, დაიხარა და ფურცელზე რაღაც დაწერა. მერე ეს ფურცელი ხელისგულში მოიქცია, დაჭმუჭნა და გამომიწოდა. ვეღარ მოვითმინე და იქვე გავხსენი. „სცენიდან ჩამოსასვლელს ვერ იპოვი", – ეწერა მუყაოს ნაგლეჯზე. გული უფრო ამიჩქარდა და დემნას ავხედე. ის კვლავაც ფიქრებში წასულიყო და თვალი ისევ ბუშმალის ხისთვის გაესწორებინა.

– ვერა? – ვკითხე.

უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ვერასდროს?

– ვერასდროს.

საღამო იყო, მზე ჩადიოდა. თავზემოთ გადაჭიმულ სადენებთან ღამურები დაფრინავდნენ, ჩვენ კი ყველანი ერთად ვიდექით სახურავზე.

დიანა ანფიმიადი

მარსზე წყალი იპოვეს

ᲑᲘᲕᲘ

7 საათი. გაღვიძების დრო. საბანი მარჯვნივ გადავაგდე, წამოვხტი. იატაკი ცივია, იკბინება. მეორე ფეხი, აი, მარჯვენა ჩუსტი, მარცხენა ჩუსტი, ფეხი ჩავდგი. დედა, ალექსიმ გაიღვიძა! რვა საფეხური, სამზარეულოში ჩავდივარ. დედას ვარდისფერი ხალათი აცვია, ვარდისფერია ვარდი, დედას ხალათი, ბლოკნოტი, ვაშლი. არა. ვაშლი ყოველთვის ვარდისფერი არ არის. ვაშლი ხილია. ხმა მოდის, საყვარელი ხმა, შორიდან, მიახლოვდება. ალექსი, შემომხედე, ალექსი, შეხედე, დედა გიყურებს, თვალები სულ ახლოს მოაქვს და ცხვირზე გკოცნის, დედას ტკბილი სუნი აქვს, ცხვირი ცივი მაქვს, ალექსის ცივი ცხვირი აქვს.

– დე, ხომ არ შეგცივდა, პირი დაიბანე, კბილები გაიხეხე და ჩაიცვი.

კბილები გაიხეხე, ალექსი, ჯაგრისზე კბილის პასტა წაუსვი, ვარდისფერი პასტა, როგორ დაგავიწყდა თუ დამავიწყდა, როგორცაა. მარწყვის გემო აქვს, ცოტას ჩავყლაპავ რა, ცოტას. ალექსი, კარგად გაიხეხე, მარჯვნივ, მარცხნივ, უკანა მხრიდან, ენაც უნდა გაიხეხო? რა სასაცილოა. პირი დაიბანე, თვალები ამოიბანე, იქ რაღაცეები გროვდება ხოლმე, წირპლი, დედა ასე ეძახის. ალექსის არ უყვარს ასეთი სიტყვები.

– დე, ჩაიცვი და ისაუზმე, ყიყლიყო ხომ გინდა? ჩაის დალევ თუ კაკაოს?

გუშინ ალექსიმ ჩაი დალია, დღეს – კაკაო.

– კაკაო.

– კარგი, ჩაიცმევ თუ მოგეხმარო?

ალექსი ტანზე იცვამს. ჯერ თავი უნდა გაყო მაისურში, მერე მარჯვენა ხელი, მერე მარცხენა ხელი, მკლავში თავი არ გაგეტევა, რა სასაცილო ხარ, ალექსი. შარვალი ადვილია, დედამ თქვა, მარტო თასმიანი შარვლები, ელვას ვერ იკრავსო. ჯერ თასმის ერთი ბოლო მოკეცე, მერე მეორე მოკეცე, მერე გადააჯვარედინე, მერე გამოსწიე. ყოჩაღ, ალექსი, რა მაგარი ხარ!

– ცოტა ხანს აცალე, გაცივდება, დე.

ცოტა ხანი რამდენია?

– სამი წუთი აცადე, რომ პირი არ დაიწვა.

– სამი წუთი არის ასოთხმოცი წამი.

– მოლეკულებს ჭამს ალექსი და მოლეკულებს აყოლებს.

– ალექსი, ცოტა ჩქარა, ხო?

– ალექსი, ჭამე ყიყლიყო, არ მინდა ყიყლიყო, ჭამე-მეთქი ყიყლიყო, ალექსი, დააყოლე კაკაო, არ მინდა, ჩქარა დააყოლე, დედა, ალექსიმ ჭამა დაამთავრა.

– კარგი ბიჭი ხარ, ჩანთა მზად გაქვს, ფეხსაცმელი სუფთაა. მე გამოგიყვან დღეს, სადილის მერე მოვალ.

– რომელ საათზე მოხვალ?

– სამიდან ოთხამდე, ოღონდ, დე, გთხოვ, არ ინერვიულო, 10 წუთი თუ დამაგვიანდა რა.

– ხუთის ათ წუთამდე?

– ჰო, ჩემო პატარა ციფერბლატო.

– ცისფერბლატი რა არის?

– არაფერი, სწრაფად ჭამე, გვაგვიანდება.

ფანჯრიდან ყურება კარგია. მარჯვნივ მიმავალი მანქანები დათვალე. ერთი, ორი, ოცდაათი, შავი მანქანების რაოდენობა ორჯერ მეტია წითელზე. ამ ბოძის მერე კიდევ თექვსმეტი ბოძია და მივალთ.

– არ დაიღალე? დაასვენე ტვინი.

– ოცდაცამეტი, რატომ წავიდა მარცხნივ, მერამდენე იყო? აუ, ამერია, აუ.

– ნუ ტირი, დე, მოდი, ჩამეხუტე.

ალექსი დედას ეხუტება, დედას ტორტის სუნი აქვს, ტორტი დაბადების დღეზე უნდა გაჭრან, სანთლების გარეშე, ცეცხლი არ მომწონს თუ არ მოსწონს? რა ვქნა.

– დედა, სამნახევარჯერ ჩაგეხუტა ალექსი.

ნახევარია, როცა მარტო მარჯვენა ხელს ხვევ.

აი, სკოლა, ალექსი, ეს შენი სკოლაა.

დრო

ალექსი სულ კითხულობს, რომელი საათია, როდისაა შუადღე, როდის დაღამდება, რამდენ წამში მოვალ სახლში, რამდენი წუთი აქვს დავალების დასაწერად და სათამაშოდ, საჭმელად და სხვა საჭიროებებისთვის.

მივხვდი მიზეზს, მეგონა, გუშინ დამავიწყდა კრებაზე წასვლა, რომელიც სინამდვილეში დღესაა. დღესაა დედლაინი, რომელიც სინამდვილეში გუშინ იყო და სხვა ვინმე თუ არ დამეხმარა დროში ორიენტაციაში, ისე როგორ გამოვა?

ჰოდა, მეხმარება ალექსი: დედიკო, 360 წუთში განახავ.

დედა

ალექსი თვლის პლანეტებს:

მერკური

იუპიტერი

მარსი

ვენერა

სატურნი

ურანი

დედამიწა

მიყურებს.

– დედას მიწა, დედას მიწა.

მისამართი

შენ ხარ ჩემი მისამართი, – მითხრა ამ დილით.

ძილის წინ

– ალექსი, ტვინი უფრო მთავარია თუ გული?

– გული.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ტვინი იძინებს.

გულის ფანცქალი

გულის ფანცქალი მინდა, – დილიდან ითხოვს ალექსი.

პატარა ბიჭი

პატარა სკვერში ვიყავით, ალექსი ქვიშაში თამაშობდა. საქანელასთან ერთი პატარა, დიდთვალება ბიჭი იყო, ცოტა შელახული ფეხსაცმელებით და იდაყვებთან მოთხვრილი ჯემპრით. თავისთვის ლაპარაკობდა, ყური დავუგდე,

– დედა, აი, ათი წუთიც ვიკატავებ და წამოვალ.

– დედა, აი, ერთიც დავტრიალდები და წამოვალ.

– დედა, ჩამოვსრიალდები ახლა, მიყურე.

კარგად მივიხედ-მოვიხედე და დედა მაინც ვერ დავინახე.

ჩვენ რომ მოვდიოდით, ბებომ მოაკითხა, შაოსანმა.

ქება

„ასფურცელას“ თანამედროვე ვერსია, სხვები რომ წლობით იზრდებიან, ეს დღეობით. სკოლაში წასვლამდე ალექსი ამბობდა, რომ იყო სამი წლის და უნდოდა სოსკა, სკოლის პირველი დღის მერე, როცა მადლობა გადავუხადე, რა კარგი ბიჭი ხარ-მეთქი, მითხრა, რომ შვიდი წლისაა, დღეს მასწავლებელმა შეაქო და სტიკერი ჩაუკრა და ალექსიმ მამას უთხრა, რომ 18 წლისაა და მისი მანქანა უნდა.

ასე იზრდებიან ბავშვები, როცა აქებ.

ბაბუაჩემი

81-ის რომ ვიქნები, ბაბუაშენი ვიქნები და კარაქიან პურს არ მაჭმევ, – მემუქრება ალექსი.

მეტაფორები

– ჰაერი შუშაა.

ცა თოვლის ბაბუას სახლის ჭერია.

ალექსი – დედიკოს კვირტი.

ლექსი

ბიჭმა ლექსების წერა დაიწყო:
„ქალაქში არის შემოდგომა
შემოდგომაში არის ნოემბერი
ნოემბერში არის წვიმა
წვიმაში არის წვეთი
წვეთში არის ფორტეპიანო“

ორღანი

– ალექსი, როგორი იყო ორღანი?
– ბევრი.

მეგობარი

დღეს დილით ფოფომ მითხრა, ალექსის ისეთი ბუმბულია ხელი აქვს, ეზოში რომ ჩავდივართ, სულ მას ვკიდებ ხელსო, ეზოში სულ მე დამდევს და სულ მეკითხება, რამდენი წლის ხარო, რცხვენია ლაპარაკიო.

სამაგიეროდ ინგლისურის ყველა ასო იცის და სიტყვების შედგენაც შეუძლია, წარმოიდგინე, ყველა ასო თავიდან ბოლომდეო.

რვეულები

ალექსის რვეულები წამოვიღე სკოლიდან, როგორც წესი, მინაწერებით და ნახატებით ძალიან ბევრს ვიგებ ხოლმე.

როგორ უჭირს ერთ ადგილას გაჩერება და როგორ აძალებს თავს ჩემი ბიჭი. ერთ ადგილას მიუწერია: „ალექსი, ასჯერ დაჯექი“ – ეტყობა, ბევრჯერ ადგა და დაჯდომა მოსთხოვეს; მეორეგან: „წუთი ძალიან ძნელია“ და მესამეგან ჩამოთვლილი აქვს: „გაკვეთილის ბოლომდე დარჩა 30 წუთი, 20 წუთი, 15, წუთი, 10 წუთი :))“

რისგან შედგება?

თავის თავს უსვამს კითხვას:
– ალექსი რისგან შედგება? ალექსი შედგება ადამიანისგან და სისხლისგან, არა? :))

მატარებელი

რომ დაღამდა, გაუფართოვდა თვალები:
– დე, მატარებელი ღამეში შევიდა.
მერე შუქი ჩააქრეს მატარებელში.
– დე, ღამე მატარებელში შევიდა.

ექიმთან

დღეს ექიმთან ვიყავით ჩაწერილები, ზუსტად მივედით, მაგრამ სანამ ანკეტა იპოვეს, ჩვენი რიგი გავიდა და სხვა შევიდა, მერე კიდევ სხვა და მოკლედ, ნახევარი საათი რიგში მოუწია ალექსის ყოფნა. თან საშინლად ცხელოდა და ძალიან გაღიზიანდა, მობეზრდა, ტირილი და წუწუნი დაიწყო. ერთი მელოტი კაცი ამოიჩემა, იტირებდა, მივიდოდა და ეტყოდა – მაკოცე – ის კაცი აკოცებდა, კიდევ მაკოცე. შენ რა კაი ტიპი ხარო, კარგად იმხიარულა იმან.

მერე ჩვენი დრო რომ მოვიდა, ექიმმა, თვითმფრინავი გამასწრებსო და ვერ მიგვიღო.

მოკლედ, წამოვედით იქიდან და კიდევ წაიწუწუნა, ის კაცი სადააო.

საღამოს ვკითხე, რას გადაეკიდე იმ კაცს, რა გინდოდა-მეთქი და თავზე ნათურა ჰქონდა და მომეწონაო.

პრიალა თავი ჰქონდა და განათება ირეკლებოდა და შუქ-ჩრდილებს ამუღამებდა ბიჭი.

მშიშარა

მშიშარა ბავშვებს რას უშვრებით? ქარის ზუზუნი რომ გიგანტური ბუზის ხმა ჰგონია და ხვლიკები – საშიში დინოზავრები?

მშიშარა დედა

მშიშარა დედებს? სკოლაში რომ შვილებს უშვებენ?
რა ეშველება, როცა აღარ ვეყოლები.

მასწავლებელი

მგონი, მართალი იყო გიგა, პირველ კლასში არ შეხვიდეო, რომ მითხრა. სანამ ეგენი ჩაფსმას და ტირილს გადაეჩვევიანო. ყველა განაკაწრზე და დალურჯებულ ფეხზე შენ უნდა ინერვიულოო, რატომ უნდა გაიკაწრონ-მეთქი, ვუთხარი, სკოლაა თუ უღრანი ტყე. გეგონოსო. რანაირები არიან, პაწუკები, საყვარლები.

ალექსი? თავიდან ძალიან მეშინოდა. სხვა მასწავლებლები ასეთ ბავშვებზე რას არ ამბობდნენ, იკბინებიან, სხვას ურტყამენ, თავს იზიანებენ, ვერაფერს გააგონებ, გაკვეთილს შლიან, გენიოსები არიან, ცალკე ყოფნა ურჩევნიათ, ბავშვები არ უყვართო.

ის კი შემოვიდა, ყველა მერხი გადათვალა და ფანჯარასთან დაჯდა. მშვიდია და საყვარელი, ამოიჩემებს რამე ნივთს და დადის იმითი. ხან წიგნია, ხან გატეხილი სათლელი. კიდევ ფანქრებს ჭამს, ფანქრის გულებს. ფსიქოლოგმა თქვა, შფოთვაო, ნერვიულობს ძალიანო. წერა უყვარს, სულ გაავსო თავისი რვეული ქართული, არაბული, ინგლისური ანბანით, პირველ კლასშივე სხაპასხუპით კითხულობს და არითმეტიკაც იცის. სკამზე ჯდომა უჭირს. ვეუბნები, ალექსი, მიდი, დაფა გაწმინდე, ალექსი, მოდი, ხელი ჩამომართვი, ალექსი, აბა, გარეთ გადი და ნახე, დერეფანში ჩვენი ნახატები ისევ კიდია? ალექსი, აბა, ბავშვები დათვალე და გვითხარი, ვინ აკლია? ალექსი, მოდი, მათემატიკის დავალება ერთად გავასწოროთ. ზოგჯერ ორჯერ უნდა გაუმეორო, სადღაც დაფრინავს.

ზოგჯერ ძირს წვება. ბავშვებს ძალიან უკვირთ. ერთ დღეს თეკლა გვერდით მიუწვა და გულზე ხელი დაადო, მერე ააყენა და მერხთან დასვა. სიმღერის გაკვეთილზე ყურზე ხელს იფარებს, დერეფანში რომ ვუშვებ, იქ მღერის. ძალიან ჭკვიანია, გამრავლების ტაბულა იცის, უარყოფითი რიცხვები, თასმას ვერ იკრავს.

გაკვეთილებს სახლში მეცადინეობს, დედა ეხმარება, ეხმარება რა, ეხმარებოდა.

ძალიან გაგვირთულდა მდგომარეობა, როცა ის ამბავი მოხდა. ერთი კვირა არ უვლია, მერე მამამ მოიყვანა, თქვა, რომ დედა იმ სამარშრუტოში იჯდა, გომბორზე რომ გადატრიალდა.

თქვა, რომ მალე გარდაიცვალა, არ უწვალია. მითხრა, რომ ალექსიმ ვერ გაიგო, სადაა დედა, რომ სულ ელოდება და ეძებს და ამიტომ, თუ ცუდად მოიქცა, არ გავუჯავრდე. ცოტა ხანს დაველოდო.

მაგიდაზე ასტრონომიის დიდი წიგნი დაუდო, ლოყაზე აკოცა და წავიდა.

სამი საათიდან ალექსიმ შფოთვა და კარისკენ ცქერა დაიწყო. ვერაფრით დავამშვიდე. ამ დროს ძალიან რთულია, მისი ყურადღება მიიპყრო, ხატვაც შევთავაზე, დაფის გაწმენდაც, ეზოშიც ჩავედით, კალკულატორიც ვათხოვე.

– სამიდან ოთხამდე დედა მოვა ალექსისთან, – მითხრა, როცა მასთან მივედი და ჩავეხუტე.

ვერაფერი ვუთხარი.

ოთხი გახდა.

– დედამ თქვა, რომ ათი წუთი თუ დააგვიანდა, არ ინერვიულოს ალექსიმ.

ალექსიმ წუთების თვლა დაიწყო, ხმამაღლა, წამები, წუთები, წამები, წუთები. ბავშვებს ჯერ გაუკვირდათ, მერე ჩათვალეს, რომ რაღაც თამაშია და აყვნენ.

კლასში ოცი ბავშვი წამებს ხმამაღლა ითვლიდა, ითვლიდა და ითვლიდა. ლამის გავგიჟდი.

– ქართულის მასწავლებელო, დედა სადაა? – მკითხა ბოლოს, როცა წუთების თვლით დაიღალა და საათიც ხუთს გადასცდა.

ახლა რაღა ვქნა, ბავშვებს მშობლები მოაკითხავენ.

მის მერხთან ვდგავარ თავდახრილი. ასტრონომიის წიგნი დავინახე და დაუფიქრებლად წამოვროშე:

– ალექსი, დედა მარსზე გაფრინდა.

არც დაფიქრებულა, განერვიულდა, სახე წამოუწითლდა და თვალები ცრემლებით აევსო, სხაპასხუპით, ძალიან ჩქარა, ავტომატის ჯერივით მომაყარა:

– **პლანეტა მარსი:** მასა: 6.4185*1023 კგ, დიამეტრი: 6790 კმ, სიმკვრივე: 3.934 გ/სმ3, გრავიტაცია ეკვატორზე: 3.69 მ/წმ2 ანუ 0,376 g, წნევა: 0,7-0,9 კპა, საშ.მანძილი მზიდან: 227936637 კმ, საშ.ორბიტ.სიჩქარე: 24077 მ/წმ.

ატმოსფეროს ძირითადი შემადგენლობა: ნახშირბადი – 95,32%, აზოტი – 2,7%, არგონი – 1,6%, ჟანგბადი – 0,13%.

მერე ცრემლიანი თვალები მომანათა და გაბრაზებულმა მიყვირა:

– მარსზე წყალი არაა, იქ რა უნდა ქნას დედამ?

ვერაფერი ვუთხარი, ჩახუტება ვცადე, მაგრამ არ მიმიკარა, ისე ღონივრად მკრა ხელი, უკან გადავვარდი. ამ დროს მამამ მოაკითხა და წაიყვანა, მტირალი, აღშფოთებული, ხელებსა და ფეხებს იქნევდა და დედას ითხოვდა.

ძალიან დავიღალე, შინ მივედი და მივხვდი, რომ ვერც რვეულებს გავასწორებ, ვერც ხვალინდელ გაკვეთილს დავგეგმავ, ვერც ახალ დავალებებს მოვამზადებ. ლეპტოპი დაუფიქრებლად გავხსენი, გიგას დაველაპარაკები, იქნებ ცოტა დავმშვიდდე.

თითებმა საძიებო განყოფილებაში თავისით აკრიფეს „მარსი“.

„მეცნიერებმა მარსზე წყლის მასის არსებობის დამადასტურებელი საბუთი **აღმოაჩინეს**. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ პლანეტის სამხრეთ ნაწილში, ყინულის საფარქვეშ დაახლოებით 20 კმ სიგრძის ნაპირის მქონე ტბაა განლაგებული“, – წავიკითხე ერთ-ერთ საიტზე.

საათს შევხედე, ძალიან გვიანია, ეძინება, მაგრამ ბლოკნოტში მშობლების ტელეფონები მაინც მოვიძიე და ალექსის მამას დავურეკე.

– დიახ, – ნახევრად მძინარე, მოგუდულმა ხმამ გამცა პასუხი.

– ალექსის ვერ დაველაპარაკები?

უცებ გამოფხიზლდა.

– იცით, ხვალ სკოლაში მოსვლას ვაპირებდი, ასე როგორ შეიძლება, ასე დაუფიქრებლად როგორ შეიძლება!

– ალექსი დამალაპარაკეთ რა.

– სძინავს. თუმცა, ერთი წუთით...

ტელეფონში მშვიდი სუნთქვა მესმის, მხოლოდ ფშვინვა, ბავშვის, თანაბარი. ხმაურით სუნთქავს, დედა ამბობდა, რომ პოლიპები აქვს.

– ალექსი, მეცნიერებმა მარსზე წყალი აღმოაჩინეს, გესმის, ალექსი, წყალი აღმოაჩინეს! – ჯერ ხმამაღლა, მერე ჩურჩულით... მერე კი ვერ ვლაპარაკობ და მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სიტყვებს, სულელურ სიტყვებს წარმოვთქვამ.

მეორე მხარეს დუმილია, მერე ტელეფონი ძირს დავარდა. შემეშინდა. ტელეფონთან მამა მოვიდა:

– რა უთხარით? უხარია, ხტუნაობს, ხელებს იქნევს და ოთახში დარბის.

– დაველოდები.

მოვიდა, ჩქარა სუნთქავს, ოდნავ უსტვენს კიდეც სუნთქვისას.

– ქართულის მასწავლებელო, ხვალ ალექსი მოვა სკოლაში და აღარ იტირებს, – მეუბნება და ტელეფონს მითიშავს.

ეთერ ქუთათელაძე

მარი მასწავლებელი

ეთერ ქუთათელაძე

მე ფატიმა მქვია, გვარს შეგნებულად არ ვიტყვი, რადგან მეშინია, თქვენც იგივე რეაქცია არ გქონდეთ, როგორიც ადრე ჩემს მასწავლებლებს ჰქონდათ.

– კარგი გოგოა, შეხედე, რა თვალ-წარბი აქვს, მაგრამ რად გინდა, აზერბაიჯანელია და თხუთმეტი წლისას გაათხოვებენ.

ასეთი დახასიათება მოჰყვებოდა ხოლმე ჩემს გამოჩენას.

ისე, დედაჩემი მართლა თხუთმეტი წლის გათხოვდა. ქორწილის დღემდე ჩემი მშობლები ერთმანეთს არ იცნობდნენ, მერე ათი წელი შვილზე ოცნებობდნენ. ბევრი ეხვეწნენ მამაჩემს, გააგდე ეგ უშვილო ქალი, რად გინდაო, მაგრამ მამაჩემმა ვერ გაიმეტა დედაჩემი გასაგდებად და ხალხის დასაცინად. ათი წლის თავზე დავიბადე მე. დედაჩემს მამაჩემის ნათესავები დღემდე უშვილოს ეძახიან.

– აბა, ის რა ქალია, ქმარს ბიჭს რომ ვერ გაუჩენსო.

დედა მარნეულში დაიბადა, სკოლაში იქ დადიოდა. მეგობრების შეძენაც კი ვერ მოასწრო, ისე გაათხოვეს. ამიტომ იძახის, რომ ერთადერთი მეგობარი, ვინც ჰყავს, მე ვარ.

მამაჩემი თბილისში დაიბადა, იმის მამა და კიდევ იმის მამაც, ყველანი ვეძისში დაბადებულ-გაზრდილები არიან.

ექვსი წლის რომ გავხდი, მშობლებს და ჩემს პაპებს შორის პირველად ვნახე კამათი და აყალმაყალი. დედაჩემის მამა ჩემს აზერბაიჯანულ სკოლაში მიყვანას ლამობდა, ხოლო მამაჩემი და პაპაჩემი – ქართულში.

პაპაჩემი ამბობდა: ჩემი შვილიშვილი ქართულ სკოლაში უნდა მივიდეს, ჩვენ აქ დავიბადეთ, აქ გავიზარდეთ და აქაური განათლება უნდა მიიღოს, მერე სკოლას რომ დაამთავრებს, ამას ენაცვალოს პაპა, უმაღლესში ჩააბარებს, სტომატოლოგი გამოვა და პაპას ოქროს კბილებს ჩაუსვამსო.

საბოლოოდ, პაპაჩემმა გაიმარჯვა: ქართულ სკოლაში მიმიყვანეს. პირველ დღეს თავზე დიდი ბაფთები დამასვეს, არც მომწონდა და თან ძალიან მტკენდა თავს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არც მიფიქრია. დედაჩემმა კარადიდან საზეიმო თავშალი გადმოიღო, თავისი ხელით მოქარგული, მძივებით მორთული და მოიხვია თავზე. მთელი ოჯახი გამომყვა, დედაჩემის მშობლებიც კი ჩამოვიდნენ მარნეულიდან, ჩემი სკოლაში წასვლა რომ ეზეიმათ. მეც ბედნიერი მივდიოდი. მეგონა, როგორც სახლში ვიყავი ყველაზე მნიშვნელოვანი, სკოლაშიც ასეთივე სტატუსით გაგრძელდებოდა ჩემი ყოფა, მაგრამ ჩემი მოლოდინი და იმედები იმავე წელს გაქრა. ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩემ გვერდით ჯდომა და დასვენებაზე ჩემთან თამაში არავის უნდოდა.

ახლა მეცხრე კლასის მოსწავლე ვარ. ექვსი სასწავლო წელი ისე დავხურე, რომ წესიერად ვერავინ შემამჩნია – ვერც მასწავლებელმა და ვერც მოსწავლემ. მხოლოდ სიის ამოკითხვისას მიწევდა მეთქვა „ვარ“ და ამით სრულდებოდა ჩემი და მასწავლებლების ურთიერთობა.

ვიჯექი ჩემთვის სულ უკანა მერხზე, ფანჯარასთან, და სახატავ რვეულში მუდმივად ჩიტებს ვხატავდი.

ღმერთო, რამდენი ჩიტი მყავს დახატული, ზოგი ფერადი, ზოგიც შავ-თეთრი, ზოგი დიდი და ზოგიც პატარა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ყველა ჩიტს ფრთები ჰქონდა გაშლილი და ფრენის პროცესში იყო დახატული. არც ერთი იჯდა ხეზე, არც მიწაზე, არც ადამიანების სიახლოვეს მოდიოდნენ, ყველა ჩემი ჩიტი ფრთაგაშლილი ცაში ნავარდობდა. ახლა ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს კითხვას:

– ნეტა, მარტო ჩიტებს რატომ ვხატავდი?

პასუხი კი მარტივია: ალბათ ჩიტივით მეც მინდოდა ფრენა, ამ კედლებიდან გაქცევა, ჰაერში ირაოს შეკვრა და თავისუფლება.

როცა გაკვეთილები სრულდებოდა და ზარი ირეკებოდა, ყველა ხმაურით წამოიშლებოდა ხოლმე. ერთიმეორეს ასწრებდნენ საკლასო ოთახიდან გაქცევას, მე კი ბოლოს ვდგებოდი, ვალაგებდი ჩანთას, მოვიკიდებდი ზურგზე და მივუყვებოდი სახლისკენ გზას, მივდიოდი ნელა და მშვიდად, თან ვფიქრობდი ჩემთვის: „ნეტა, რომელი ჩიტი ვარ?“

მაგრამ უმალვე ეს აზრი მიტივტივდებოდა თავში, რომ ჩიტი კი არა, ღამურა ვარ – ღამურა, რომლის დანახვისაც ყველას ეშინია, ყველა გაურბის. ღამურა ვარ იმიტომ, რომ აზერბაიჯანელი ბავშვები ქართველს მეძახიან, რადგან ქართულ სკოლაში დავდივარ, ქართველები კი – აზერბაიჯანელს. ისე მივედი მეექვსე კლასამდე, წესიერად არც ქართული ვიცოდი და არც აზერბაიჯანული.

მარტო პაპაჩემი წამოიძახებდა ხოლმე თავისთვის: ჩემი შვილიშვილი სტომატოლოგი უნდა გამოვიდეს და ლამაზი ოქროს კბილები უნდა ჩამისვასო.

კარგად მახსოვს ის დღე. ოქტომბრის ბოლო იყო, ამინდს უკვე სუსხი შეჰპაროდა. მათემატიკის გაკვეთილი გვქონდა, საკლასო ოთახის კარი გაიღო და დირექტორი შემოვიდა. ყველა ფეხზე წამოვდექით. დირექტორს ახალგაზრდა ქალი შემოჰყვა, მოკლე შავი თმით, ჭრელყვავილებიანი კაბით, ქუსლთან გაცვეთილი ყავისფერი ფეხსაცმლით. დირექტორმა ხელით გვანიშნა, რომ დავმსხდარიყავით. ჩვენც დავსხედით. მოლოდინით აღსავსე თვალებით ველოდებოდით მისი ვიზიტის მიზეზს, და მანაც დაიწყო:

– გამარჯობა, ბავშვებო, გაიცანით თქვენი ახალი დამრიგებელი და ისტორიის მასწავლებელი. ეკა მასწავლებელი სხვა სკოლაში გადავიდა სამუშაოდ და მის მაგივრობას მარი მასწავლებელი გაგიწევთ. დამიჯერეთ, მალე შეგიყვარდებათ და დამეგობრდებით. მე ვიცი, რომ კარგი ბავშვები ხართ და მასახელებთ ახალ მასწავლებელთან.

მარი მასწავლებელმა გაგვიღიმა, მაგრამ იმდენად უარყოფითი შეძახილები, ემოციები და შორისდებულები გაისმა ჩვენი კლასიდან, რომ მან და დირექტორმა მყისიერად დატოვეს საკლასო ოთახი.

იმ დღეს მარი მასწავლებელი აღარ შემოსულა ჩვენთან, მისთვის თვალი არც დერეფანში და არც საკლასო ოთახში არავის მოუკრავს.

ბავშვები იძახდნენ: ალბათ შეეშინდა ჩვენი, გადაიფიქრა და გაიქცაო.

თუმცა კარის ყოველ გაღებაზე მას ველოდით, ჩვენთვის, ჩუმად, გულში.

გოგოები დასვენებაზე მის ჩაცმულობას განიხილავდნენ.

– რანაირი კაბა ეცვა?

– ან თმები როგორ ქონდა, ნახეთ?

– ეგ რა არის, დახეული ფეხსაცმელი რომ ეცვა, ეგ თუ შეამჩნიეთ?

იმ დღეს კლასიდან გაქცევას რატომღაც არავინ ლამობდა, თითქოს ყველა ფეხს ითრევდა. არც მე მინდოდა წასვლა.

მეორე დილას, სკოლაში რომ მივედი და საკლასო ოთახის კარი შევაღე, კართან გავშეშდი. ჩვენი ახალი მასწავლებელი, ჭრელყვავილებიანი კაბით, და ჩემი ეგრეთ წოდებული ორი „ძველი ბიჭი“ კლასელი საკლასო ოთახში დამხვდნენ – მერხებს ასწორებდნენ, საუბრობდნენ და თან გულიანადაც იცინოდნენ. მარი მასწავლებელმა დამინახა, გამიღიმა და ბოთლი მომაწოდა:

– აჰა, გაიქეცი და აავსე წყლით ეს ბოთლი, მერე მოდი და ყვავილები მორწყე. შეხედე, ეს საცოდავები სულ გადამხმარან. ეგებ მორწყვით ცოტა გამოვაცოცხლოთ.

– მეე? – ვიკითხე გაკვირვებულმა და გამოვართვი ბოთლი.

მე, ფატიმას, ხომ არასოდეს არავინ მასაქმებს, არც მხედავს და არც მამჩნევს.

– ხო, შენ, რა იყო? – გაიკვირვა მასწავლებელმა.

– აუ, მასწ, მაგას გაანებეთ თავი რა. მაგან ყვავილების მორწყვა კი არა, ლაპარაკიც კი არ იცის. მომეცი, მომეცი ერთი ეგ ბოთლი, წყლითაც მე ავავსებ.

ჩემი კლასელი მომიახლოვდა, ბოთლი რომ გამოერთმია. მეც მორჩილად გავუწოდე. მარი მასწავლებელმა კი შეაჩერა, ხელზე შეეხო და უთხრა:

– გაანებე, მოიტანოს, დამიჯერე, შეძლებს. შენ კიდევ მე აქ მჭირდები, აქ უნდა დამეხმარო.

მერე მე შემომხედა და მანიშნა, რომ გავსულიყავი და წყალი მომეტანა.

მივდიოდი დერეფანში, ბოთლი გულზე მქონდა მიხუტებული და ჩემთვის ვფიქრობდი: „მე, აზერბაიჯანელი ფატიმა, არ გავთხოვდები თხუთმეტი წლის. მე, აზერბაიჯანელ ფატიმას, მექნება ჩემი პროფესია და ჩემი სამსახური. მე, აზერბაიჯანელ ფატიმას, მოვა დრო და დამინახავენ ადამიანები და შევუყვარდები“. მოვრბოდი და თან ნახევარი წყალი ზედ მესხმებოდა, მაგრამ მსიამოვნებდა და მიხაროდა.

კლასში შემოვედი და ზარიც დაირეკა. ყველა ჩვენ-ჩვენს ადგილას დავსხედით. მეც ჩემს უკანა მერხთან, ფანჯარასთან მივედი, დავჯექი, გავამზადე რვეული ჩიტების დასახატად, ამ დროს კი გაკვირვებით მკითხა ისტორიის ახალმა მასწავლებელმა:

– ფატიმა, შენ მანდ მარტო რატომ ზიხარ? მოკიდე ახლავე შენს ნივთებს ხელი და წინ გადმოდი ნინის გვერდით.

დაიწყო ისტორიის გაკვეთილი.

მარი მასწავლებელმა ჩანთიდან ტელეფონი ამოიღო, ჩიტების ჭიკჭიკის ხმა ჩართო. ფანჯრის რაფაზე შემოდო და დაელოდა ჩვენს რეაქციას. ვერ გავერკვიეთ, რა უნდა გაგვეკეთებინა. მერე ერთს გაეცინა, მეორეს, მესამეს... და ასე ცოტა ხანში მთელი კლასი ბოლო ხმაზე ვხარხარებდით. მარი მასწავლებელი იდგა და გვიღიმოდა. ბოლოს, როცა სიცილით დავიღალეთ, გამორთო ტელეფონი და გაგვაჩერა.

– მიხარია, ასეთი კარგი ბავშვები რომ ხართ. ჩიტების ენაც კი გესმით, გაიგეთ, რა სასაცილო ამბავი მოყვნენ ჩიტებმა. წარმომიდგენია, ადამიანის ნათქვამს როგორ კარგად და საფუძვლიანად გაიგებთ.

ასე უცნაურად დაიწყო ისტორიის ახალი გაკვეთილი.

ქვეყნის ისტორიას ჩვენი ისტორიები მოჰყვა, მსოფლიო და სამოქალაქო ომებს – სკოლის და კლასის დაპირისპირებები, მათი განხილვა და განეიტრალება, სახელისა და გვარის წარდგენას კი – საქართველოს კუთხეების გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა.

და აი, დადგა დრო, რომლისაც ყველაზე მეტად მეშინოდა. უნდა ავმდგარიყავი და სახელთან ერთად გვარიც მეთქვა.

წამოვდექი, მაგრამ უცებ მარი მასწავლებელმა ხელით მანიშნა, გავჩერებულიყავი, ახალი რუკა დაკიდა დაფაზე და საქართველოს მეზობელ ქვეყნებზე დაიწყო საუბარი. მოგვიყვა, რომელი ქვეყანა როდის და როგორ ედგა მხარში საქართველოს. ყველაზე ბევრი ქართველების და აზერბაიჯანელების საუკუნოვან მეგობრობაზე ისაუბრა, გაიხსენა აზერბაიჯანელი მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, რომლებსაც საქართველოში უმოღვაწიათ. როდესაც დაასრულა, მთხოვა, ავმდგარიყავი და საკუთარი სახელი და გვარი მეთქვა.

და აი, მაშინ პირველად ჩემს ცხოვრებაში ავდექი და ამაყად ვთქვი:

– მე, ფატიმა ბაირამოვა, ეროვნებით აზერბაიჯანელი, სარწმუნოებით მაჰმადიანი, დავიბადე საქართველოში და ვარ საქართველოს მოქალაქე. მე ვარ ამაყი ჩემი ეროვნებით, ჩემი ტრადიციებით და სარწმუნოებით, და ბედნიერი იმით, რომ ვარ საქართველოს მოქალაქე.

მე, ფატიმა ბაირამოვა, ახლა უკვე მეცხრე კლასის მოსწავლე ვარ. სკოლაში სიხარულით მივდივარ და თავი ღამურა აღარ მგონია. კლასში შესვლის დროს ფანჯარას ვაღებ, მერე ბოთლს ვავსებ წყლით და ყვავილებს ვრწყავ. ამ დროს ჩემი კლასელები ზოგი დაფას წმენდს, ზოგიც მერხებს ასწორებს. ზარის დარეკვამდე და გაკვეთილის დაწყებამდე კლასში მარი მასწავლებელი შემოდის, ჭრელყვავილებიანი კაბით, ჩვენთან ერთად ჯდება მაგიდის კიდეზე და კლასის ამბებს ვუყვებით. მერე ზარიც ირეკება და ეს ხმაც გვიხარია, იმიტომ რომ მარი მასწავლებელი ახალ რუკას დაკიდებს დაფაზე და ახალი საინტერესო გაკვეთილის ახსნას დაიწყებს.

მე, ფატიმა ბაირამოვა, აღარ ვზივარ მარტო უკანა მერხზე, აღარც სახატავ რვეულში ვხატავ ჩიტებს. კლასში მეგობრები მყავს და გაკვეთილების სწავლაც მიხარია. მომავალში მეც ისტორიის მასწავლებელი მინდა გამოვიდე, მარი მასწავლებელივით. ამას რომ ვამბობ, პაპაჩემს გული წყდება და წუწუნით იძახის: მინდოდა, სტომატოლოგი გამოსულიყავი და ახალი და ლამაზი ოქროს კბილები ჩაგესვა ჩემთვისო. მაგრამ მაინც ბედნიერია – ბედნიერი იმით, რომ მისი დამსახურებით, ქართულ სკოლაში მიმიყვანეს და მისი ერთადერთი შვილიშვილი უმაღლეს სასწავლებელში აპირებს სწავლის გაგრძელებას.

თუ თქვენ საჯარო სკოლაში მუშაობთ და იქ არაქართველი მოსწავლეები სწავლობენ, აუცილებლად იპოვით ერთ ფატიმას, რომელიც კლასში მარტო ზის უკანა მერხზე და ჩიტებს ხატავს.

თეა თოფურია

სპილო ოთახის კუთხეში

– სხვა გზა არ არის, მე-13 სკოლაში უნდა შევიყვანოთ, თორემ ძალიან სტანდარტული ბავშვი იზრდება, – უთხრა დედამ მამას.

პირკატა მეცა. მე-13 სკოლაზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ იქ განსაკუთრებით რთული ბავშვები მიჰყავდათ, სხვა სკოლებში ვერაფრით რომ ვერ აჩერებდნენ, ისეთები. ეგრევე ტირილი დავიწყე, მაგრამ დამაწყნარეს, ეს ის არ არის, შენ რომ გგონიაო.

თუმცა მთლად არც ის იყო, რაც ჩემს მშობლებს ეგონათ. როცა საკლასო ოთახში შევედი, აღმოვაჩინე, რომ თეთრი პერანგი და რუხი ქვედაკაბა მარტო მე მეცვა, ყველა დანარჩენი ისე იყო მოსული, თითქოს პიკნიკზე დაუძახესო.

– გაიცანით, ეს არის ტიტა, – თქვა მასწავლებელმა.

ყველამ ხელი დამიქნია. დავჯექი და ირგვლივ მიმოვიხედე. დაახლოებით ოცი ბავშვი იქნებოდა.

– ტიტა, ეს ექსპერიმენტული სკოლაა, ანუ აქ მთლად ისე არ ასწავლიან, როგორც სხვა სკოლებში. ჩვენი ყოველი დღე ექსპერიმენტია, რომელსაც ჩვენ თვითონ ვიგონებთ. შენ ახალი ხარ, დაგვაკვირდი და თვის ბოლოს შენც შემოგვთავაზე შენი ექსპერიმენტი.

გაოცებისგან პირი დავაღე და, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც. რა ექსპერიმენტი უნდა შემეთავაზებინა, ნამდვილად არ ვიცოდი და ეჭვი მქონდა, ვერც თვის ბოლოსთვის მოვიფიქრებდი.

„რა უცნაური კლასია“, – გავიფიქრე და თითქოს დასტურად, გვერდით მჯდომმა ხელი ასწია.

– მასწ, შეიძლება ხვალ ჩემი ექსპერიმენტის დრო იყოს?

– შეიძლება, თუ რამე კარგს შემოგვთავაზებ.

– კი, მასწ, მოდით, ხვალ ზღვაზე ვიმეცადინოთ.

პირი უკვე დაღებული რომ არ მქონოდა, ნამდვილად ამის გაგონებაზე დავაღებდი. მეგონა, მასწავლებელი ეტყოდა, სისულელეს ნუ ლაპარაკობო, მაგრამ ამის ნაცვლად თქვა:

– გადასარევია, ხვალ ყველამ წამოიღეთ საცურაო კოსტუმი.

ხუთივე გაკვეთილი ზედ ზღვის ნაპირას ჩატარდა. მათემატიკა და ქართული ქვიშაზე ვწერეთ, ინგლისურად ტურისტებს ველაპარაკეთ, შესვენებებზე კი ზღვაში ვბანაობდით.

– ხვალ რას ვშვრებით? – იკითხა ბოლოს მასწავლებელმა.

– ხვალ ყველა ცალ-ცალი ფეხსაცმლით მოვიდეთ, – დაიყვირა რომელიღაცამ.

– კარგი, ოღონდ ისეთი ფეხსაცმელები შეარჩიეთ, ერთი სიმაღლის ძირი ჰქონდეს, ასე არ გადაყირავდებით.

– ძალიან უცნაურ ადგილას კი მოვხვდი, მაგრამ მომწონს, – ვუთხარი დედას, სახლში ფეხსაცმელს რომ ვარჩევდი.

– ეს საუკეთესო სკოლაა ქალაქში, თავისუფალ ბავშვებს ზრდიან. ამიტომაც გადმოგიყვანეთ. შენ რას შესთავაზებ, უკვე იცი?

– ჯერ არა.

მეგონა, თვის ბოლომდე რამეს მოვიფიქრებდი, მაგრამ ჩემს კლასელებს ისეთი უცნაური აზრები მოსდიოდათ თავში, ჩემი იდეები მათთან შედარებით არაფერი იყო. თუ განსაკუთრებულს

ვერაფერს მოიფიქრებდნენ, ჩვეულებრივი გაკვეთილი ტარდებოდა. ერთხელ ზედიზედ სამი ჩვეულებრივი გაკვეთილი გვქონდა. ნამდვილად მოწყენილობისგან დავიხოცებოდით, ნატას თავში რომ არ მოსვლოდა, მოდით, ხვალ ანდაზების კონკურსი ჩავატაროთო. ჩემმა ანდაზამ – შავი ცხვარი ბანვით მოჰკლეს, თეთრი – დაუბანლობითო – მესამე ადგილიც კი აიღო.

ამის შემდეგ წავიდა და წავიდა. ჩემი კლასელების ფანტაზიას ბოლო არ უჩანდა: ერთ დღეს ჩვენივე შეკერილი ტანსაცმლით მოვედით, მეორე დღეს ყველამ თავისი შინაური ცხოველი მოიყვანა, მათ შორის ერთმა – ქათამი; მესამე დღეს ლექსები ვწერეთ, მეოთხე დღეს საკუთარ თავს სახელი შევურჩიეთ და მთელი კვირა ჩვენივე მოფიქრებული სახელები გვერქვა; კიდევ სხვა დღეს ველოსიპედის ტარება გვასწავლეს... და ბოლოს:

– ტიტა, შენ რას შემოგვთავაზებ?

განსაკუთრებულს ვერაფერს ვფიქრობდი და მასწავლებელს საცოდავი სახით შევაჩერდი. ჩემი გამოისობით ხვალ ჩვეულებრივი გაკვეთილი არ აგვცდებოდა.

– ტიტა?

– ვერაფერს ვფიქრობ, მასწ.

კლასმა ამოიოხრა.

– კარგი, ხვალ ჩვეულებრივი გაკვეთილი გვექნება, ზეგამდე რამე მოიფიქრე.

მაგრამ მდგომარეობა არც ზეგ შეიცვალა და არც მაზეგ.

– არ შეიძლება, რომ გამომტოვოთ და სხვამ მოიფიქროს? – ვკითხე ალექსანდრეს, როდესაც დიდ შესვენებაზე ეზოში ვისხედით.

– სხვა დროს ასეც შვრებიან ხოლმე, მაგრამ არა ახალმოსულებზე. ერთხელ მაინც უნდა მოიფიქრო რამე.

– თავში არაფერი მომდის, შენ რომ პირველად მოხვედი, რა მოიფიქრე?

– ვარსკვლავები დავინაწილეთ. მას შემდეგ კლასში ყველას საყვარელი ვარსკვლავი ან პლანეტა აქვს და მის შესახებ ყველაფერი იცის.

– მშვენიერია, და შენი რომელია?

– ბეთელჰეიზე.

– რატომ მაინცდამაინც ის?

– ძალიან დიდია და ლამაზი სახელი აქვს, თან უსაშველოდ შორსაა. მასზე ბევრი არაფერი ვიცით. მარსი რომ ამერჩია, ორსაათიანი პრეზენტაციის მოწყობა მომიწევდა.

მე გამეცინა.

– ნეტა მეც მომაფიქრდებოდეს რამე. ბავშვები ალბათ უკვე ველარ მიტანენ.

– არა, რატომ, ჩვენ გვიყვარხარ.

მაგრამ საქმე წინ მაინც ვერ მიდიოდა და მასწავლებელიც იძულებული გახდა, წესები შეეცვალა.

– კარგი, ტიტა თვის ბოლომდე ისევ იფიქრებს. აბა, თქვენ რა იდეები გაქვთ, ბავშვებო?

ყველამ ერთდროულად ასწია ხელი. კიდევ უფრო შემრცხვა.

– გისმენთ!

და ისევ წავიდა და წავიდა: ჯერ გამოქვაბულის ბავშვები ვიყავით და კედლებზე ბიზონები დავხატეთ; მერე მთელი კვირა საკუთარ სიზმრებს ვიწერდით. ყველაზე საინტერესო სიზმრის „პატრონმა“ ჯილდოც კი მიიღო. შემდეგი გაკვეთილი ფუღუროს დიზაინი იყო, უნდა წარმოგვედგინა, რომ ფუღურობში ვცხოვრობდით და იქ ავეჯი გვედგა. ერთ გაკვეთილზე შუასაუკუნეებშიც კი დავბ-

რუნდით – ისეთი ტანსაცმელი გვეცვა, როგორიც მე-10 საუკუნეში და საგნებსაც იმავეს ვსწავლობით, ლათინურსაც კი.

თუმცა ყველაზე მეტად მაინც ლუკას იდეა მომეწონა – გაკვეთილები ღამე ჩაგვეტარებინა. სკოლაში კარგა დაბნელებულზე მივედით და უკან ღამის პირველ საათზე დავბრუნდით. სხვებს მშობლებმა მოაკითხეს, ჩემი გაცილება კი ალექსანდრემ ითავა, თითქოს ისიც ჩემსავით მეშვიდეკლასელი არ ყოფილიყო. კიდევ კარგი, სკოლა სახლის პირდაპირ იდგა.

– ხვალ ჩემი ექსპერიმენტის რიგია, – მითხრა ალექსანდრემ, – იცი, რის თქმას ვაპირებ?

– არა, რა თქმა უნდა.

– სიყვარულის დღე რომ იყოს და შეყვარებულებმა ერთმანეთს ჟასმინის ყვავილები აჩუქონ.

– სიყვარულის დღე ხომ ისედაც არის.

– ჰო, მაგრამ მე მინდა, ამ კვირის ბოლოს იყოს, 25-ში.

– შესთავაზე, შეიძლება მოეწონოს. აი, მე რა ვქნა, ერთი იდეაც რომ არ მომდის თავში? თან რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მით უფრო ვშტერდები. თითქოს სპილოსხელა დარდი დამყვება უკან. ხანდახან მერხთან რომ ვზივარ, მგონია, ოთახის კუთხეში დიდი სპილო დგას. ერთი-ორჯერ გვერდიც კი ავუარე.

ალექსანდრე იცინოდა.

– ეგ არაფერი.

ალექსანდრეს იდეა მასწავლებელს მართლა მოეწონა. გადაწყდა, კვირის ბოლოს სიყვარულის დღე ყოფილიყო, მანამდე კი, ანდრიას წყალობით, თმის შეჭრამ მომიწია. სწორედ მან გამოაცხადა, ორშაბათს ყველამ ვარცხნილობა შევიცვალოთო. არც სამშაბათი იყო ნაკლები: ჩანთები გავცვალეთ და მთელი დღე ლუკას უზარმაზარ პორტფელს დავათრევდი. ოთხშაბათს ნატას თავში მოუვიდა, დასაზუთხად მოცემულ ლექსზე სიმღერა დაგვეწერა, ხუთშაბათს უკვე დაპატარავებული ტანსაცმელი მოვიტანეთ ღარიბი ბავშვებისთვის, პარასკევს კი მერხზე ჟასმინის თაიგული დამხვდა.

ყვავილები სასწრაფოდ ჩანთაში ჩავჩურთე და, აწითლებული, სკამზე დავჯექი. ლიტერატურის მასწავლებელი გაკვეთილს ხსნიდა. ნამდვილად ალექსანდრეს დადებული იყო. ეს სიყვარულის დღეც, როგორც ჩანს, საგანგებოდ ამისთვის მოიფიქრა. ამ სკოლის ექსპერიმენტებით იმდენად ვიყავი გაოცებული, რომ აქამდე ისიც კი არ მიფიქრია, ჩემი თანაკლასელი ბიჭებიდან ვინმე მომწონდა თუ არა. ახლა პირველად დავფიქრდი და ჩემდა უნებურად აღმოვაჩინე, რომ ალექსანდრეს მიმართ გულგრილი არ ვიყავი.

– ტიტა!

ძალიან გამიკვირდა, როდესაც ავიხედე და ლიტერატურის ნაცვლად მატემატიკის მასწავლებელი შემრჩა ხელში. როგორც ჩანს, ზარი ორჯერ ისე დაირეკა, ვერაფერი შევამჩნიე.

– ტიტა, ხვალ შენი ჯერია, რამე მოიფიქრე?

წამოვიზლაზნე და ის იყო, უნდა მეთქვა, ვერაფერი-მეთქი, რომ უცებ თავში ერთმა აზრმა გამიელვა.

– რა იქნება, ერთხელ მასწავლებლებმა საგნები გაცვალოთ და ყველამ სხვა საგანში ჩაატაროს გაკვეთილი, მაგალითად, ლიტერატურის მასწავლებელმა – მათემატიკაში, მათემატიკისამ – უცხო ენაში, უცხო ენისამ – ფიზკულტურაში...

მასწავლებელს გაეცინა, ბავშვებმა ყიჟინა დასცხეს.

– კარგი იქნება, ტიტა. მე თანახმა ვარ.

დავჯექი. ხელები ჯერ ისევ მიკანკალებდა.

ოთახის კუთხეში სპილო ნელ-ნელა დაპატარავდა და ბოლოს გაქრა.

მიშა ბახსოლიანი

ბოლო გაკვეთილი

მიშა ბახსოღიანი

„სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ“.
აკაკი წერეთელი, „გამზრდელი“

უჩვეულო ხმაურმა დერეფანში მიმავალ მუდამ დინჯ კარლო მასწავლებელს ნაბიჯი ააჩქარებინა და საკლასო ოთახში შესვლამდე რამდენიმე მეტრით ადრე ქოშინი დაეწყო. ცდილობდა, არ შეემჩნია, მაგრამ ბოლოს დანებდა, ამოიხვნეშა და გაჩერდა, მოიხარა, ხელებით მუხლებს დაეყრდნო და რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა. როგორც კი გაწითლებული სახე დაუმშვიდდა, წელში გაიმართა და საკლასო ოთახში მაქსიმალურად მკაცრი გამომეტყველებით შევიდა, ისე რომ ბავშვებისკენ არც გაუხედავს. თავისი მაგიდისკენ წავიდა, დაჯდა, საკლასო ჟურნალი გადაშალა და მშვიდად ამოიკითხა:

– არველაძე!

– ვარ, მასწ, – უპასუხა ბიჭმა და იქვე გასროლის ხმა გაისმა. ტყვიამ ოთახი გადაკვეთა და მასწავლებლის მკლავი ოდნავ გაკაწრა. მოულოდნელობისგან დამფრთხალ კარლოს სკამი უკან გაექცა, სახე მაგიდას ჩამოარტყა და იატაკზე დაეხეთქა. ცოტა ხანს გაუნძრევლად იწვა, შემდეგ ძალა მოიკრიბა, ცალი ქუთუთო ასწია და ოთახს გახედა. პირველი, რამაც გააკვირვა, უჩვეულო სიბნელე იყო. ვიღაცას მერხები ფანჯრებისთვის აეფარებინა. მერხებითვე იყო აწყობილი უცნაური, სახელდახელო ბარიკადა, რომლის უკანაც მთელი მეათე ბ კლასი იწვა. გიო არველაძე კი მათ შორის იარაღით დადიოდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, პირველი ვისთვის ესროლა. მერე მასწავლებელს გამოხედა და ხელით ანიშნა, ადექიო. ადგა, ვერ ინძრეოდა, მარცხენა მუხლი უჩვეულოდ უკანკალებდა. რამდენჯერმე ხელი ჩაირტყა და სცადა, გაეჩერებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გიოს გახედა, ვერაფრით მოიფიქრა, რა უნდა ეთქვა და თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა.

– არ მინდოდა, მასწ, შემთხვევით გამივარდა. უცბად რომ თქვით ჩემი გვარი, არ ველოდი. მართლა არ მინდოდა, თქვენ არაფერ შუაში ხართ, – სწრაფ-სწრაფად მიაყარა გიომ. გაკვეთილსაც ასე ჰყვებოდა ხოლმე, თითქოს ზეპირად ჰქონდა ნასწავლი და ერთი სული ჰქონდა, ბოლოში როდის გავიდოდა. ვინმე თუ შეაწყვეტინებდა, ისე იბნეოდა, გაგრძელებას ვეღარ ახერხებდა და თავიდან იწყებდა. – მაპატიეთ, მასწ, ნეტა საერთოდ არ მოსულიყავით, ორი წუთიც და კარს ჩავკეტავდი. ახლა თქვენ მოგიწევთ. მიდით, მასწ, გამოხურეთ უკვე, თორე ხმას გაიგონებენ და ყველანი აქ მოვლენ. მე კიდევ ამათ გარდა არავინ მჭირდება.

კარლო კარისკენ დაიძრა. უცნაური იყო, მაგრამ იქ არავინ მოჩანდა. დერეფანში უჩვეული სიჩუმე იდგა, არსად ჩანდნენ უწყვეტად დაჭერობანას მოთამაშე უმცროსკლასელები, არც მანდატურები.

„ალბათ გაკვეთილები დაიწყო“, – გაიფიქრა, კართან მისულს კი მეორე ფიქრი აეკვიატა და სანამ კეტავდა, გაქცევა მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა და თავისი მაგიდისკენ წავიდა. მისდა გასაკვირად, როგორც კი გაქცევა გადაიფიქრა, შიში გაუქრა და მიუხედავად იმისა, რომ არ იცოდა, რა უნდა ექნა, დამშვიდდა.

– თუ გინდათ, წადით, მასწ, თქვენგან მართლა არაფერი მინდა, – თითქოს ფიქრებს მიუხვდა გიო.

– თუ წინააღმდეგი არ ხარ, ვიქნები, – მაქსიმალურად წყნარად თქვა კარლომ, – რაც არ უნდა იყოს, ჩემი გაკვეთილია.

გიომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ანიშნა, დანარჩენ ბავშვებთან მისულიყო. ყველა გულდაღმა იწვა, ხელები თავზე ელაგათ და რატომღაც თვალები ჰქონდათ დახუჭული. არა, მკვდარი არავინ იყო, სუნთქავდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი იყო გიოს ბრძანება და ზედმეტი მოძრაობის გაკეთებასაც ვერ ბედავდნენ. კარლო იატაკზე დაჯდა, ზურგი ბარიკადს მიაყრდნო და უმისამართოდ იკითხა:

– ახლა რა იქნება, რა უნდა ვქნათ?

– ახლავე გაიგებთ ყველაფერს, – უპასუხა გიომ, ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო, ფეისბუკ-ლაივი ჩართო და ოთახის გადაღება დაიწყო, შემდეგ ტელეფონი სახესთან მიიტანა და ხმამაღლა ალაპარაკდა:

– გამარჯობა. მე გიო არველაძე ვარ. ექსპერიმენტული სკოლის მეათე ბ კლასის მოსწავლე. გაფრთხილებთ, თუ ერთი ადამიანი მაინც მოუახლოვდება სასწავლო ოთახს, ყველას დავხოცავ, ან იმდენს მაინც, რამდენზეც ტყვიები მეყოფა! პატრულის მანქანებიც არ მოაყენოთ ფანჯრებთან, არც მეგაფონით დაიძახოს ვინმემ, არც ფსიქოლოგის ზარი მინდა, არც ჩემი მშობლების! პირველივე შემოსულ ზარზე ვისვრი. პირველივე ხმაურზე. როგორც კი დაეჭვდები, რომ რამეს აპირებთ, მაშინვე ვისვრი! ძალიან გთხოვთ, ნერვები არ მომიშალოთ, ისედაც ერთი სული მაქვს, როდის ჩავხოცავ ამ დამპლებს. ესენი, – გიომ კიდევ ერთხელ მოატარა ოთახს ტელეფონი, – ჩემი მჩაგვრელები არიან. დიდი ხანია, ცხოვრებას მიწამლავენ და არც ერთს არ დავინდობ. თავიდან თითქოს ჩემი მეგობრები იყვნენ, სადღაც მეშვიდე კლასამდე. მერე ეს გადმოვიდა, – ერთ-ერთ ბავშვს მიუშვირა ტელეფონი გიომ, – და ყველაფერი შეიცვალა. რატომღაც ამითვალწუნა, ხან თავში წამომარტყამდა ხელს, ხან ფეხს დამიდებდა და ძირს გავიშხლართებოდი, სადილის ფულსაც ხშირად მართმევდა. ერთხელ ჩანთაში ძაღლის განავალი ჩამიდო და მერე მთელი კლასი მყრალას მეძახდა. სხვა საზიზღარი მეტსახელებიც დამარქვა. ყველაზე ძალიან ვერ ვიტანდი ცალფეხას, ვითომ ჩვეულებრივი სახელია, მაგრამ ბავშვობიდან ფეხი ნახევრად პარალიზირებული მაქვს, ძლივს დავათრევ და ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული თემაა. სწორედ მაგის გამო თავსაც ვერ ვიცავდი, ან ამხელა მუტრუკს რანაირად მოვერეოდი. ერთი-ორჯერ ისე მცემა, სახლში ძლივს მივედი. ვერც ვერავის ვეუბნებოდი, არ მინდოდა, ჩემს მეტსახელებს ჩამშვებიც დამატებოდა. ვცადე, მამას დავლაპარაკებოდი, მაგრამ მითხრა, რომ კაცი უნდა ვყოფილიყავი და კაცურად მოვქცეულიყავი. სკოლიდან გადაყვანაზეც არ დამთანხმდა. ამ არაკაცს კი თანდათან ყველა მიემხრო. ყველამ ერთად ამითვალწუნა. ყველა შეთანხმდა, რომ ჩემი ჩაგვრა ნორმა იყო. ყველას შევძულდი. ის კი არა, მეც მივეჩვიე ამ ჩაგვრას და როგორც დამსახურებულს, ისე ვიღებდი. სამწუხაროდ, ერთი ადამიანიც არ გამოჩნდა ისეთი, ვინც ჩემთან მეგობრობას გააგრძელებდა, არც გოგო, არც ბიჭი. ერთადერთი იმედი სკოლის დასრულება იყო, მაგრამ ახლახან ისეთი რაღაც მოხდა, რომ ბოლომდე გამანადგურა და თან თითქოს გამომაფხიზლა. ორი კვირის წინ ბოლო გაკვეთილზე სკოლის სარდაფში ვიყავით. იქ შრომის კაბინეტია, სხვადასხვა ნივთის დამზადებას გვასწავლიან, ძალიან მიყვარს და არასდროს ვაცდენ. იმ დღეს გაკვეთილი რომ დამთავრდა, მასწავლებელი წავიდა, ჩვენ კი ნება დაგვრთო, მუშაობა შესვენებაზეც გაგვეგრძელებინა. ბავშვების უმრავლესობა მასწავლებელთან ერთად გავიდა, მერე კი ყველანი უკან დაბრუნდნენ და მაიძულეს, სათითაოდ ყველასთვის ფეხსაცმელები ენით გამეწმინდა, თან იცინოდნენ და ფოტოებს მიღებდენ. როგორც უკვე ვთქვი, ჩაგვრას შეჩვეული ვიყავი, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდა. იმ დღეს გადავწყვიტე, შური მეძია. ახლა მეც ამავეს გაკეთებას ვაპირებ: მინდა, რომ ყველა მათგანმა ფეხსაცმელები გამილოკოს, მერე კი არ ვიცი, რა იქნება, მართლა არ ვიცი... – აქ გიოს ნერვებმა უმტყუნა და ყვირილი დაიწყო: – შეიძლება ყველა დავხოცო კიდეც, ყველა, კარლო მასწავლებლის გარდა. კარლო მასწავლებელს არაფერი დაუშავებია, ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ როგორ უნდა შეემჩნია, როცა ამდენი ადამიანი ერთად ატყუებდა? კიდევ ერთხელ გიმეორებთ: არავინ გაბედოს ოთახთან მოახლოება, თორემ სროლას დავიწყებ.

ბავშვები ისევ არ ინძრეოდნენ. ზოგი ჩუმად ზლუქუნებდა, ეგ იყო და ეგ. კარლოს სახელო მოეხია და ხელი შეეხვია. მოსმენილისგან გაოგნებულს, ყბა იმხელაზე ჩამოვარდნოდა, რომ თითქმის იატაკს ეხებოდა. ის იყო, ლაპარაკის დაწყება გადაწყვიტა, რომ გიომ ჟურნალი მოუტანა.

– სიის ამოკითხვა გააგრძელეთ, ჩემ შემდეგ კიდევ ოცდასამი ბავშვია. მგონი, დღეს არავინ გვაკლია, ჯერჯერობით მაინც. გვარს რომ გაიგონებთ, მოხვალთ და ჩემს ფეხსაცმელს ალოკავთ, თორემ კი იცით, რაც მოხდება, – ბავშვებს დაუყვირა გიომ.

კარლომ ჟურნალი გადაშალა, მაგარმ სიის წასაკითხად ძალა არ ეყო.

– დამშვიდდი, გიო, რაც არ უნდა მომხდარიყო, ახლა მათ ცხოვრებას კი არა, ისევ შენსას ანგრევ. შენ კარგი მოსწავლე ხარ, ციხე კი შენნაირებისთვის ძალიან ცუდი ადგილია.

– ჩემნაირებისთვის... კი მაგრამ, როგორი ვარ მე... იცით საერთოდ რამე ჩემ შესახებ?

– შენ კეთილი ბიჭი ხარ, უბრალოდ, მეგობრებმა გული გატკინეს.

– უბრალოდ... უბრალოდ... რა უბრალოდ... შემხედეთ, რას დავემსგავსე.

– მაპატიე, უბრალოდ კი არა, ძალიან გატკინეს გული. ვინმესთან უნდა მისულიყავი და გეთქვა. ჩემთან უნდა მოსულიყავი. თავიდანვე, სანამ საქმე აქამდე მივიდოდა. ყველაფერს მოვაგვარებდი და არც ახლაა გვიან.

– გეყოფათ, კარლო მასწ. ფეხებზე მკიდია თქვენი დარიგებები. სია წაიკითხეთ ან წადით ამ ოთახიდან, სანამ გვიან არ არის.

– ბელიაშვილი, – ჟურნალში ჩაუხედავად თქვა კარლომ და თითქოს ხელი ჩაიქნიაო, თვალები დახუჭა.

ერთ ერთი გოგო წამოდგა, გიოს მიუახლოვდა, უსიტყვოდ დაიჩოქა და ფეხსაცმლის ლოკვა დაიწყო, თან სლუკუნებდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა. გიო გაშეშებულივით იდგა და ტელეფონით იღებდა.

– ბენდელიანი, გოგებაშვილი, გოგია, – აგრძელებდა კარლო კითხვას. ბავშვებიც რიგრიგობით ლოკავდნენ ფეხსაცმელს და თავიანთ ადგილს მორჩილად უბრუნდებოდნენ. უცბად კარლომ სიის კითხვა შეწყვიტა და გაუბედავად იკითხა:

– საიდუმლო თუ არ არის, იარაღი სად იშოვე?

– სახლში. მამას ჰქონდა, არასდროს ხმარობდა, მარტო ახალ წელს ისროდა ხოლმე და რამდენჯერმე მეც მასროლინა. ერთხელ დავინახე, სად შეინახა და რომ დამჭირდა, ავიღე. შურისძიებაზე რომ ვფიქრობდი, ბევრი იდეა მომივიდა. თავიდან ბენზინის ყიდვა და სკოლის დაწვა მინდოდა. მერე გადავწყვიტე, ყველას სათითაოდ დავხვედროდი, მაგრამ მივხვდი, რომ ვერ მოვერეოდი და კიდევ უფრო დამცინებდნენ. იცით, დაცინვა რა ცუდია? მაგას სჯობს, ყველაზე მაგრად გცემონ და მერე თავი დაგანებონ, მაგრამ ესენი პირანიებივით არიან. ბოლომდე გჭამენ. ცხადშიც და სიზმარშიც.

– მართლა ვწუხვარ, გიო. ძალიან ბევრი გიტანჯია, მაგრამ ამით ვერაფერს გამოასწორებ.

– არაფრის გამოსწორებას არ ვაპირებ. მინდა, იგივე იგრძნონ, რასაც მე ვგრძნობ: შიში და, რაც მთავარია, სირცხვილი. მინდა, ყველაფერი დასრულდეს. ესენი დასრულდნენ. მინდა, კითხვა გააგრძელო.

– კარგი, ერთსაც გეტყვი და გავაგრძელებ. სად გეჩქარება, ხომ ხედავ, არავინ აპირებს მოსვლას. პატრულმა მიიღო შენი გზავნილი, სერიოზულად აღიქვა, რაც თქვი, ამათი დანაშაულიც ყველამ შეიტყო და დაუსჯელები არ დარჩებიან. შენ კი ყველაფერს გაპატიებენ, მიხვდებიან, რომ ძალიან აღელვებული იყავი. არავინ დაგადანაშაულებს. მშობლებიც იამაყებენ შენით, მიხვდებიან, როგორი ვაჟკაცი შვილი ჰყავთ, რომელმაც ამდენს გაუძლო და მაინც იპოვა თავის თავში ძალა, რომ საჭირო დროს შეჩერებულიყო.

– გაჩერებას არ ვაპირებ. გააგრძელე კითხვა, გააგრძელე, რამდენჯერ უნდა გითხრა! გააგრძელე, დროზე გააგრძელე! – ბოლო ხმაზე აყვირდა გიო.

– ისინი მაინც გაუშვი, ვინც ფეხსაცმელები უკვე გალოკა. მათ ხომ უკვე ზღეს საკუთარი დანაშაულისთვის.

– ვერავინ ვერ გავა, სანამ მე არ ვიტყვი, – ყვირილი გააგრძელა გიომ, – ვერ ელირსებიან. ჯერ კიდევ არ ვიცი, რისი ღირსები არიან, ასე მარტივად ვერ გამოძვრებიან. შეიძლება დავხოცო კიდეც... ის მაინც, და ისიც, და კიდევ რამდენიმე, ვინც ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია.

– კარგი, გასაგებია, მაგრამ მარტივად უკვე ვერავინ გამოძვრება. გარეთ გასულებსაც ჯოჯოხეთური ცხოვრება ელით. ჯერ პატრულთან მოუწევთ ლაპარაკი, შეიძლება უმრავლესობა დაიჭირონ და კოლონიაში გაუშვან. ეგეც რომ არა, წარმოიდგინე, რას უზამენ მშობლები, მეგობრები, ნათესავები, რა თვალით შეხედავენ. მათ სახეს ყველა დაიმახსოვრებს, სადაც უნდა წავიდნენ, ყველგან ეცოდინებათ, რა ჩაიდინეს. დატოვე ისინი თავიანთი სირცხვილის პირისპირ და აცადე ცხოვრებას, შენ მაგივრად გაუსწორდეს.

გიომ საპასუხოდ პირი გააღო, მაგრამ ხმის მაგივრად არაფერი ამოუვიდა. თითქოს სალაპარაკო დრო გაეხარჯა და ახლის შესაძენად ფული არ ჰქონდა. მერე ბავშვებს შორის გაიარ-გამოიარა, იმ ბიჭს, რომელსაც ყველაზე მეტად ვერ იტანდა, წიხლი წაარტყა, იარაღი ხელიდან ხელში გადაიტანა, კეფაზე დაადო და უთხრა:

– ახლა შენი ჯერია, ალოკე!

– რა ჩემი ჯერი, ჩემამდე შვიდი ბავშვია სიაში, – უადგილოდ გაიკვირვა თაზომ, რომელიც თან მართალი იყო: მაწავლებელს სიის კითხვა რომ გაეგრძელებინა, კიდევ კარგა ხანს არ მოუწევდა ფეხსაცმლის გემოს გაგება. მაგრამ მერე თავი დახარა და ისედაც გაპრიალებული ფეხსაცმლის თავიდან გაპრიალებას შეუდგა. როდესაც ჩათვალა, რომ დაამთავრა, გაჩერდა, მაგრამ გიომ ისევ თავიდან დაწყება აიძულა და ასე რამდენჯერმე გაიმეორა. ბოლოს გიოსაც მობეზრდა, კარლოსკენ შებრუნდა და ჰკითხა:

– დარწმუნებული ხართ, რომ ამათ დაიჭერენ და არა მე?

– რა თქმა უნდა, შენ ეს ყველაფერი აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინე, რომლამდეც სწორედ მათმა დანაშაულებრივმა ქმედებამ მიგიყვანა.

– მაგრამ თქვენ ხომ ლიტერატურის მასწავლებელი ხართ, კანონები საიდან იცით?

– დამიჯერე, გიო, არ გატყუებ, მე თვითონ...

– კარგი, კარგი, თანახმა ვარ, – შეაწყვეტინა გიომ, რომელსაც სახე რადიკალურად შეცვალა, თითქოს სხვა ადამიანი გახდა. მისი ცვლილება კარლომაც შეამჩნია და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ მოულოდნელად გიომ ლაპარაკი განაგრძო: – ყველას გავუშვებ, ამის გარდა, – ისევ თაზოს მიაშტერდა, – თან ერთი პირობა მაქვს: ეს შენ უნდა მოკლა. იარაღს ვერ მოგცემ. ამიტომ მოიფიქრე, როგორ იზამ. შეგიძლია გაგუდო, ფანჯრიდან გადახტომა აიძულო, თავში სკამის ფეხი ჩაარტყა. მოკლედ, რამე უნდა მოიფიქრო. მაგის გაშვება მართლა არ შემიძლია. არც სხვები იმსახურებენ, მაგრამ ეგ მთავარშია დამნაშავე. რას ამბობდი წეღან სირცხვილზე?

– დატოვე ისინი თავიანთი სირცხვილის პირისპირ და აცადე ცხოვრებას, შენ მაგივრად გაუსწორდეს, – საზეპიროსავით გაიხსენა კარლომ.

– აი, ეგ ვის პირისპირაც არ უნდა დატოვო, წყობიდან გამოიყვანს, სათავისოდ გამოიყენებს, მაინც თავისას გააგრძელებს. მაპატიეთ, კარლო მასწ, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ: თუ გინდათ, ყველა გადაარჩინოთ, ეგ უნდა მოკლათ. პირობას ვდებ, არავის არაფერს დავუშავებ.

– ხო მაგრამ, არ შემიძლია.

– უნდა შეძლოთ. ოცდაორი ბავშვის ბედი თქვენს ხელშია, და ჩემიც.

– რას ამბობ, გიო, ხომ იცი, რომ არ შემიძლია.

– კიდევ ერთხელ გეუბნებით: სხვა გზა არ გაქვთ. თუ გინდათ, სიის კითხვა განაგრძეთ და ვის გვარსაც იტყვით, იმას მოვკლავ, მაგრამ რა აზრი აქვს, მაინც თქვენ იქნებით დამნაშავე.

– არ შემიძლია, არა! – აქ უკვე კარლოც წყობიდან გამოვიდა, აყვირდა და ადგომა სცადა, მაგრამ ერთ ადგილზე გაუნძრევლად ჯდომისაგან ფეხები დაბუჟებოდა და მოწყვეტით დაეცა. თაზომ მომენტით ისარგებლა და კარისკენ გაიქცა, მაგრამ ერთ-ერთმა კლასელმა ფეხზე ხელი წაავლო და ძირს დაეხეთქა. ბავშვები ყველა მხრიდან დაესივნენ და თაზო იატაკზე გააშეშეს, მერე ერთ-ერთმა გიოს შეხედა და უთხრა:

– ბოდიში, გიო, ყველაფერი ამის ბრალია, ჩვენც გვეშინოდა, შენ რომ არა, ჩვენ მოგვდგებოდა. მართლა თუ გაგვიშვებ, ჩვენ მოვკლავთ, ჩვენ რა, მე, ზურა და ლექსოც ვეყოფით, აი, ნათიაც დაგვეხმარება, ვერც ეგ იტანს. თუ საჭირო იქნება, სხვებსაც დავიხმარებთ. შენ არაფერი დაგბრალდება, ვიტყვით, რომ ჩვენით ვქენით.

თაზო მთელი ძალით ყვიროდა და გაშვებას ითხოვდა, თან ყველას აგინებდა.

გიომ ჯერ კარლოს გადახედა, შემდეგ თაზოს გარშემო მოხრილ ბავშვებს და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია.

ბავშვებმა თაზო ბოლომდე შებოჭეს და ის იყო, გაგუდვა უნდა დაეწყოთ, რომ კარლო მასწავლებელი საბოლოოდ გამოერკვა და თავისი მკაცრი ხმით დაიძახა:

– ახლავე მოშორდით!

ბავშვები შეჩერდნენ, მაგრამ არ დაემორჩილნენ. ყველანი ისევ გიოს უყურებდნენ. კარლომაც გიოს შეხედა და გააგრძელა:

– კარგი, შენი გაიტანე. ვაღიარებ, რომ მართალი ხარ, უფრო სწორად, არ ხარ, მაგრამ სხვა გზას ვეღარ ვხედავ. შენს დასაჭერად და იარაღის წასართმევად რომ გამოვვარდე, მესვრი და მერე მინიმუმ ხუთ ბავშვს მაინც მოკლავ. ასე ახლო მანძილიდან აცილება, რომც მოინდომო, გაგიჭირდება. არ მინდა, ამათ ფსიქიკა გაუნადგურდეთ, ისედაც საშინელება ხდება მათ თავებში. მოდი, ისე ვიზამ, როგორც შენ გინდა და თაზოც ნაკლებს იწვალებს.

კარლო ადგა და თაზოს თავზე დაადგა. ის ისევ ბავშვებს ჰყავდათ დაჭერილი და ხელს არ უშვებდნენ.

– აბა, ადექი და ფანჯარასთან მიდი, – შეაგულიანა თაზო, რომელიც თავსაც ვეღარ ამოძრავებდა და ზიზღიანი თვალებით უყურებდა. – მიდი, ეგ შენი ბოლო შანსია. იქნებ გადარჩე, მეოთხე სართული არც ისე მაღალია.

– არსადაც არ დავდგები, შე დამპალო ბებერო, – კიდევ აყვირდა თაზო, – შენ თვითონ გადახტი, თუ გინდა. მე თავი დამანებეთ, ყველანი შემეშვით, – გაიბრძოლა და ხალხის მოშორება სცადა, მაგრამ ისევ არ გამოუვიდა.

– დაიწყეთ, კარლო მასწ, გელოდებით, – დააჩქარა გიომ, – ახლავე დაიწყეთ ან მოშორდით. თქვენ თუ ვერ იზამთ, მსურველი ბევრია.

კარლომ თვალები დახუჭა, თაზოს გვერდით ჩაიჩოქა და ხელები ყელზე შეამოაჭდო.

ლუკა ბაქანიძე

გზაზე ძალი მიდიოდა

ღუკა ბაქანიძე

გაკვეთილები უკვე დაწყებული იყო, დერეფნებში ჩამომდგარ სიჩუმეს კი, მისი აზრით, სწორედ რომ ძალიან მოუხდებოდა კარის ავისმომასწავებელი ჭრიალი, ან წყლის წვეთების მონოტონური წანწკარი, როგორც საშინელებათა ფილმებშია ხოლმე. იდგა დირექტორის კაბინეტის კართან, კედელს უდარდელად მიყრდნობოდა და თავისუფლად ესმოდა, როგორ უმეორებდა დირექტორი მოთმინებით და თავაზიანად დედამისს: გასაგებია და ვწუხვართ, რომ სტრესულ მდგომარეობაშია, გისამძიმრებთ მთელი გულით, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენს შვილს სკოლაში ვეღარ დავტოვებთო. დედამისმა გაუბედავად შესთავაზა: ზარალი რომ ავანაზღაუროთ? იმ ფარდებს კიდევ თავად მოვიტანდით, რაც იყო, იმაზე უკეთესს... აქ შეცბა, რადგან მიხვდა – უხერხულად გამოუვიდა, ფარდები რომ დაუწუნა სკოლას და დირექტორსაც წყენა დაეტყო ხმაში: რას ვიზამთ, ქალბატონო, დიზაინერს ვერ მოვიწვევთ ხოლმე, მაგრამ როგორი ფარდებიც არ უნდა ეკიდოს, ბავშვმა არ უნდა წაუკიდოს ცეცხლი, თუ ნორმალურია. აქ დირექტორიც მიხვდა, უნებურად შვილი რომ გამოულანძღა ქალს და უხერხულობის დასაფარად მტკიცედ და გადაწყვეტილად მოუჭრა: თქვენს შვილს ჩვენს სკოლაში ვეღარ გავაჩერებთ, სამწუხაროდ, და საერთოდაც, არსებობს სპეციალური სკოლები პრობლემური ბავშვებისთვის... სიჩუმე ჩამოვარდა, ბიჭი კიდევ იდგა დერეფანში და ცდილობდა, წარმოედგინა, რა ჯანდაბა იყო ეს „სპეციალური“ სკოლა, ათასგვარ ფანტასმაგორიულ სურათებს ჩმახავდა წარმოსახვაში და ერთობ ხალისობდა, რადგან სულ არ აწუხებდა სკოლიდან გადასვლა. უცებ გაიგო, როგორ ამოსკდა დედამისს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ქვითინნარევი ხმით: მესამე სკოლას იცვლის უკვე, ორ თვეში მესამე სკოლას! და მერე დირექტორის წყნარი პასუხიც მოეყურა: ვწუხვარ და ვიზიარებ, ქალბატონო, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით.

დილაუთენია გავიდა სახლიდან, ჭიშკარი ფრთხილად გამოიხურა და გაუყვა გზას. გასცდა სოფელს, პატარა ნაკადულთან შეჩერდა და გულდასმით შეარჩია სათევზაოდ გამოსადეგი გრძელი და სწორი ლერწამი, შემდეგ მოტეხა, მხარზე გაიდო და გასცდა ნაკადულსაც, უნაპიროდ გადაშლილ, გადახრიოკებულ მდელოებს შეუყვა. სადღაც იქით, გორაკების მიღმა ახსოვდა პატარა ტბა, სადაც მამამ წაიყვანა ერთი-ორჯერ და თევზაობას ასწავლიდა, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭს ამაზე სულელური და მოსაწყენი საქმიანობა არ ეგულებოდა. გზა ხომ არ შემეშალაო, ფიქრობდა, მაგრამ ცოტა ხანში მოშორებით გამოთეთრებული მიწის ზოლი შეამჩნია, ნათოვლარივით რომ მოჩანდა და იქით გაეშურა: იცოდა, ტბიდან გამომავალ პატარა არხს წაადგებოდა მალე, მარილიან ნაპირებში მოქცეულს. ტბაშიც და არხშიც მომლაშო წყალი იდგა და წვიმიანობის ჟამს, როდესაც დიდდებოდა და ნაპირებს ლახავდა, ასეთ თეთრ ზოლებს ტოვებდა, რომლის სალოკავად ტურები მოდიოდნენ ხოლმე შებინდებულზე და გაუთავებლად გაჰკიოდნენ. ადრე, მამასთან ერთად რომ დადიოდა ამ გზაზე, ტურების სულ არ ეშინოდა, ახლა კი ჰორიზონტი ყურადღებით მოათვალიერა: უდაბური ველები გადაშლილიყო ყველგან და იოლად შეამჩნევდა რაიმეს, მოძრავს. მალე არხსაც მიადგა და მის გვერდით პატარა ბილიკს ჩაუყვა. ამ დროს პირდაპირ მისკენ, ბილიკზე მომავალი უზარმაზარი ცხოველი შეამჩნია და შიშისგან გააცია. ერთხანს იდგა და გამალებული ფიქრობდა, სად დამალულიყო, მაგრამ გარშემო

არც ხე მოჩანდა, არც ბუჩქი. ბოლოს არხში შევარდა, დაბალ წყალში ტანსაცმლიანად ჩაწვა და ცხოველს მიაჩერდა. მალევე მიხვდა, ეს ჩონჩხივით გამხდარი და ძლივს მოლასლასე არსება ძაღლი რომ გახლდათ და ცოტა დამშვიდდა, რადგან ქვეყანაზე ყველაზე მეტად ძაღლები უყვარდა, მაგრამ ცოფიან და ავ ძაღლებზეც სმენოდა ბევრი, ამიტომ განაგრძობდა თბილ დინებაში წოლას და ძაღლს უთვალთვალებდა. ძაღლი ბიჭს გაუსწორდა და ნაპირზე დაგდებული ჩანთა და ლერწმის ჯოხი საფუძვლიანად დაყნოსა. შემდეგ თავი ნელა მოატრიალა, პირდაპირ ბიჭს შეხედა საწყალი, გატანჯული მზერით და ბიჭმა ინსტინქტურად იგრძნო, რომ აქ მისთვის ცუდი არავის სურდა, რომ საფრთხე არ იყო, მაგრამ მაინც ეჭვით ათვალიერებდა ალაგ-ალაგ ბალანგაცვენილ, ჩონჩხადქცეულ დიდ ყვითელ ძაღლს, ზოგან კოშტებად რომ მოუჩანდა ტანზე რაღაც, შავი ყურძნის მარცვლებივით. ბოლოს გადაწყვიტა, გზა გაეგრძელებინა. წყლიდან ამოძვრა, ძაღლს ფრთხილად მიუახლოვდა, სწრაფად წამოკრიფა თავისი ჩანთა და ლერწმის ჯოხი და ბილიკს გაუყვა, თან დროდადრო უკან იხედებოდა. მალე დარწმუნდა, არავინ რომ არ მოსდევდა და მშვიდად გააგრძელა გზა ტბისკენ.

– არც ისე იშვიათი რამაა ჩვენს პრაქტიკაში. გარდატეხის პერიოდში მყოფ ფსიქიკაში, ცამეტი წლის ასაკში მძიმე სტრესი არანორმატიულ, და ხშირად აგრესიულ გამოვლინებას პროვოცირებს ხოლმე. ამით მოზარდი ქვეცნობიერად ცდილობს იმ შიშთან შეწინააღმდეგებას, იმ გაურკვევლობისგან გათავისუფლებას, რასაც მასში სტრესის შემდგომი განცდები იწვევს... თქვენი ბიჭის შემთხვევაში სახეზე გვაქვს აშკარად გამოხატული პირომანია, რაც, ერთი მხრივ, გასაგები და შედეგობრივია, რადგან მისი სტრესი სწორედ ცეცხლთან ასოცირდება, მაგრამ, მეორე მხრივ, დასაფიქრებელია, რადგან ასეთ დროს კი არ უნდა უყვარდეს, ასე თავდავიწყებით კი არ უნდა მიელტვოდეს ცეცხლის ალს, არამედ პირიქით: უნდა ეშინოდეს. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, სწორედ შიში რომ აღძრავს ასეთ უკუღმართ ლტოლვას, მისი ხასიათის სპეციფიკიდან, თავად ბიჭის სულიერი სტრუქტურიდან გამომდინარე. გამუდმებული მეთვალყურეობა და ფრთხილი მიდგომაა ამ დროს საჭირო, ბავშვს სამუდამოდ რომ არ დაუზიანდეს ფსიქიკა. გარემოს შეცვლაც არ აწყენდა დროებით, შედარებით წყნარ ადგილას, სადმე სოფელში ყოფნა, ბუნებასთან სიახლოვე...

ბიჭი ოთახში იჯდა, იქაურობას ინტერესით ათვალიერებდა და მეორე ოთახიდან ვიღაც სათვალიანი, მელოტი კაცის ლაპარაკს უსმენდა, რომლის ინჩიბინჩიც ვერ გაეგო. არც ის კაცი ჰგავდა ექიმს და არც ოთახი – ექიმის კაბინეტს, როგორიც სკოლებში იყო ხოლმე. ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლის იერი ჰქონდა აქაურობას და ბიჭი ხვდებოდა, რომ მოატყუეს, როცა ფრთხილად შეაპარეს, ექიმთან უნდა წავიდეთო. ეს გაუთავებელი ლოლიავიც უკვირდა, რასაც მის მიმართ იჩენდა ყველა ბოლო ხანებში, და ძალიან აღიზიანებდა, სიბრალულით რომ ათვალიერებდნენ ახლობლები და ოჯახის წევრები. თავად ღრმად იყო დარწმუნებული, რომ არაფერი სჭირდა. სჭირდა კი არა, პირიქით: მოსწონდა ის გამბედაობა და თავზე ხელის აღების ნეტარი შეგრძნება, მანამდე საერთოდ რომ არ ჰქონდა და სწორედ იმ ამბის შემდეგ გაუჩნდა. მოკლედ, არც ისე ცუდად გრძნობდა თავს და მარტო დედამისი ეცოდებოდა, ცრემლიანი თვალებით რომ შემოჰყურებდა სულ, და იქით ანუგეშებდა: კარგად ვარ, დე, არაფერი მჭირს, ნუ გეშინია. დედას კიდევ ბიჭის ხელზე, თითებში სწრაფად და ნერვიულად ათამაშებულ სანთებელაზე გადაჰქონდა მზერა – ათასჯერ გადაუმალა უკვე, თუმცა ისევ შოულობდა ბიჭი საიდანღაც და ცდილობდა, ყველასთვის შეუმჩნევლად ეტარებინა ჯიბით, მაგრამ თავისდა უნებურად კვლავ ხელში გადაიტანდა ხოლმე და თითებში ატრიალებდა.

ტბის ნაპირას დიდი, ყვითელი ძაღლი იწვა, თავი თათებში ჩაერგო და ბიჭის თევზაობას ადევნებდა თვალს. ბიჭი მუხლამდე წყალში იდგა და სულ ამაოდ მისჩერებოდა ტივტივას – არ მოდიოდა თევზი. ტბის ნაპირებზეც და გარშემოც, სადაც თვალი მიუწვდებოდა, ადამიანის ჭაჭანი არ იყო, მარტო სადღაც შორს მოჩანდა ასანთის კოლოფივით მინდორზე მბობღავი ტრაქტორი, შავი კვამლის ქულები რომ ასდიოდა. დროდადრო ძაღლს გახედავდა ხოლმე და თუმცა ის ერთობ მშვიდობიანად გამოიყურებოდა, მაინცდამაინც არ ჩქარობდა ნაპირზე გასვლას. „ალბათ ჰგონია, თევზს ვუწილადებ. ალბათ სხვა მეთევზეებსაც ასე ელის ხოლმე ნაპირზე“, – ფიქრობდა ბიჭი. ბოლოს, შიშველი ბეჭები ძალიან აეწვა და მტკიცედ გადაწყვიტა, სადმე ლელქაშების ჩრდილს შეფარებოდა, სანამ მზე შუბისტარს გადასცდებოდა და ცოტა მაინც მოაკლდებოდა ძალა. მოტრიალდა და უცებ ძაღლის გვერდით ჩაცუცქული, შორტებიანი და ბიჭივით წელსზემოთ შიშველი, წვერგაბანჯგვლული კაცი დაინახა. ნაპირზე გასვლა გადაიფიქრა და კაცი ეჭვით შეათვალიერა. „საიდან გაჩნდა, მე ამის. საიდან მოახლოვდა, თვალი რომ ვერ მოვკარი ამ უდაბნოში“, – ფიქრობდა და სულ უფრო უნდობლად უყურებდა კაცს. მერე იქვე ბალახზე მიგდებული ანკესი შეამჩნია და ცოტა დამშვიდდა. „თევზაობს ესეც“, – დაასკვნა და ისევ შეტრიალდა, ტივტივა მოისროლა წყალში.

– შენია ძაღლი? – მოესმა ნაპირიდან.

– არაა ჩემი, არხთან ამეკიდა, – უკანმოუხედავად უპასუხა ბიჭმა.

ერთხანს სიჩუმეს მხოლოდ ბაყაყების ყიყინი არღვევდა და მერე ისევ მოესმა:

– ცოდოა.

– ხო, ავადაა ალბათ, – გაეხმიანა ბიჭი.

– შეჭამენ ესენი, თუ არ მიხედა ვინმემ, – თქვა კაცმა.

ბიჭს გააჟრჟოლა:

– ტურები?

– არა, ტკიპები, – გაეცინა კაცს.

ბიჭს გაუკვირდა, მოიხედა და დაინახა, კაცი ძაღლს თხილისოდენა შავ მარცვლებს რომ აძრობდა ტანიდან, ძაღლი კი ჩუმად წკმუტუნებდა, სტკიოდა ალბათ.

– ტკიპაა ეგა? მეც დავუნახე რაღაცა შავები, – ინტერესით ჰკითხა ბიჭმა, თან გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ უქრებოდა უნდობლობა.

– მაგიტომაა ასე ჩონჩხივით, მთელ სისხლს და ძალას ტკიპები აცლიან, – აუხსნა კაცმა და მოულოდნელად შეეკითხა: – საიდან ხარ?

ბიჭი ერთხანს დაფიქრდა, რაიმე ხომ არ მოვიგონოო, მაგრამ ამ სიცხეში დაეზარა წარმოსახვის გაშლა და პირდაპირ მოახსენა:

– ქალაქიდან გადმოვედი საცხოვრებლად. აქ უნდა ვისწავლო აწი.

კაცი ძაღლს მოეშვა და ბიჭი ინტერესით შეათვალიერა:

– ხოო? მეც ქალაქიდან გადმოვედი.

შენ რაღატომ გადმოხვედი და საერთოდ, ვინ ჯანდაბა ხარო, – კინაღამ ჰკითხა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა. „სულ არ მკიდია, ვინაა და რატომ გადმოვიდა?“ – დაირწმუნა თავი და თევზაობა გააგრძელა, თუმცა ტივტივა ისევ გაუნძრევლად ეგდო წყალში.

საათზე მეტხანს იდგა ასე და ბოლოს ძალიან დაიღალა, ჩამოჯდომა მოუნდა. არც თევზი უახლოვდებოდა სატყუარას. ხანდახან ნაპირისკენ იხედებოდა, სადაც კაცი კვლავ მოთმინებით და დაუღალავად აცლიდა ძაღლს ტკიპებს. ბიჭმა ტივტივა ამოიღო, ნაპირისკენ გასწია და მოულოდნელად წყალში ჩაემხო პირქვე: ვერც კი შეამჩნია, ისე ჩაფლულიყო მუხლამდე შლამში. სწრაფად წამოხტა დარცხვენილი და კაცს გახედა, მაგრამ ის ისევ ხმაგაუღებლად აგრძელებდა თავის საქმიანობას. ბიჭმა გადაწყვიტა, ვერ შემამჩნიაო, და ნაპირზე გავიდა.

– ჩაეფალი, ხომ? – უბრალოდ, გაუღიმებლად თქვა კაცმა, – ეგრე იცის თევზაობამ.

– რაის თევზაობამ, ვერაფერი დავიჭირე, – ხელი ჩაიქნია ბიჭმა და ძაღლის გვერდით ჩაცუცქდა ისიც.

– რას დაიჭერდი, ამ ტბაზე აღარაა თევზი კაი ხანია, – გაეცინა კაცს.

ბიჭს გაუკვირდა:

– აბა, ანკესი რო გაქვს შენც? – თან ენაზე იკბინა, თქვენობით უნდა მიმემართაო, მაგრამ რატომღაც ასაკობრივ ზღვარს ვერ გრძნობდა, და საერთოდაც, სულ უფრო და უფრო მოსწონდა.

კაცი ძაღლს შეეშვა და აუხსნა:

– თევზაობა მიყვარს, თორემ ისე ვერ ვიტან თევზს.

– აჰა, გასაგებია, – ჩაილაპარაკა ბიჭმა, თუმცა ვერაფერს მიხვდა. მერე ძაღლს გაუბედავად შეუყო ხელი ბალანში, ერთ მსხვილ ტკიპას წაავლო ხელი, გააცალა და ზიზღით მოისროლა ტბაში. ძაღლმა ხელი გაულოკა.

მოდიოდა ხრიოკზე, წყურვილით პირი უშრებოდა, თან შიოდა და დედის გაკეთებულ ცივ აჯაფსანდალს და კოკა-კოლებით გამოტენილ მაცივარს ნატრობდა. უცებ გაღმა სერიდან ტურის კივილი შემოესმა და განუყრელი სანთებელა ინსტინქტურად მოისინჯა ჯიბეში, თუმცა ჩანთაშიც ეგდო სათადარიგო. ამასობაში ეულ ტურას სხვა ტურებიც აჰყვნენ და მთელი ჰორიზონტი აკივლდა თითქოს. ბიჭმა იქვე შორიახლოს მზისგან გამომხმარი რამდენიმე დაბალი ბუჩქი შენიშნა. სწრაფად მივიდა, ბუჩქებთან ჩაიცუცქა და ხელის კანკალით შეეცადა, სანთებელათი ცეცხლი მოეკიდებინა, მაგრამ ქარი ძლიერდებოდა და სანთებელა უქრებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაუკიდა ტოტს და ქარმაც ნელ-ნელა ჯერ ხმელ ბალახს და შემდეგ სხვა ბუჩქებს გადასდო ალი, ფართო კოცონი გაჩაღდა და ბიჭს შიში გაუქრა. კოცონის შორიახლოს ფეხი მოირთხა და ალს მიაჩერდა: ბუჩქები და ბალახი სწრაფად იწვოდა და დიდხანს ვერ გაძლებდა კოცონი, მალე ჩაქრებოდა. ბიჭი ფეხზე წამოდგა და გზას გახედა:

იქნებ ის მეთევზეც აქეთ მოდისო, მაგრამ კაცის ჭაჭანი არ იყო არსად. ამასობაში ცეცხლი თანთადან ქრებოდა, მზეც ჰორიზონტს უახლოვდებოდა, ბიჭმა კი იცოდა, ტურები სწორედ მოსაღამოებულზე რომ მოუახლოვდებოდნენ არხს. ისიც იცოდა, ტურაზე მშიშარა ცხოველი რომ არ არსებობდა, მაგრამ ბაბუის მონაყოლიც კარგად ახსოვდა: ზამთარში ყაზარმაში მიმავალი მთვრალი ჯარისკაცი შეჭამესო ტურებმა ამ მინდვრებზე. უცებ შეამჩნია, ყმუილი რომ აღარ ისმოდა. ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა, მარტო ქარი დაჰქროდა ველებზე და ნაცეცხლარზე ადენილ თეთრ კვამლს აქეთ-იქით ფანტავდა. შემდეგ ზემოთ აიხედა და დაინახა, როგორ სწრაფად ფარავდა ცას ნაცრისფერი ღრუბელი, რომელშიც ხანდახან ელვა კვესავდა. ბიჭმა ჩანთა აიღო, ლერწმის ჯოხს ძუა მოხსნა და შეინახა, ჯოხი კი დატოვა იქვე და გზას გაუყვა. ქუხილი სულ უფრო და უფრო მკაფიოდ ესმოდა, უკვე ზედ თავზემოთ, და წვიმის პირველი წვეთებიც დაეცა. მიდიოდა სწრაფად და დროდადრო უკან იხედებოდა იმედით: დამემგზავროსო იქნებ ვინმე, ან ის წვერგაბურძგნილი ტიპი, ან თუნდაც ყვითელი ძაღლი მაინც გამოჩნდესო სადმე. ამ დროს იქაურობა დღესავით განათდა, ჰაერში ოზონის სუნი დატრიალდა და მალევე ისეთი იქუხა, რომ ბიჭი გზაზე ჩაიცუცქა და თავზე ხელები წაიფარა. ქალაქში არც ქუხილს აქცევდა ყურადღებას და არც ქარიშხალს, ჩართავდა კომპიუტერს და თამაშობდა, მაგრამ აქ, ამ უდაბურ მდელოებზე სხვაგვარად იყო საქმე, არც თავშესაფარი მოჩანდა სადმე და ბიჭს ცხოვრებაში პირველად ეწვია მარტოობის და მიუსაფრობის განცდა. უმწეობისგან ცრემლები მოაწვა ყელში. ამასობაში კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო და მიდიოდა მთლად გალუმპული, ხანდახან ფეხსაცმელზე აკრულ ტალახის კოშტებს დაიბერტყავდა და ისევ მიდიოდა. უცებ გორაკიდან გამოჩრილი, გადაჭრილი ნათობსადენი მილი შეამჩნია და იქით გაეშურა. მიუახლოვდა, შეათვალიერა, ბოლოს კიდეზე ხელი წაავლო და შიგნით შეძრომას შეეცადა, მაგრამ სველ რკინაზე ხელი ვერ მოიკიდა და ძირს მოადინა ბრაგვანი. ბედს არ შერიგებია, მეორედაც სცადა და ამჯერად მიზანს მიაღწია, მილში შეძვრა და შიგნით მყუდროდ მოკალათდა.

დედა სამსახურში იყო, მამა, როგორც ყოველთვის, სარდაფში ჩხირკედელაობდა რაღაცას. ბიჭმა დრო იხელთა, სააბაზანოში შევიდა და საშხაპის გვერდით კედელზე მიმაგრებულ გაზის დიდ გამათბობელს – „კალონკას“ მიადგა, ქვეშიდან ბრტყელტუჩა შეუყო, კარგა ხნის წინ შეგულებული ჭანჭიკი მოხსნა და ჯიბეში ჩაიდო, თან გულდასმით შეამოწმა, რაიმე ხომ არ ზიანდებოდა, მაგრამ გაზის მილები სულ სხვა მხრიდან შედიოდა და გამოდიოდა, ამ ჭანჭიკის გარდა კი მისი მსგავსი რამდენიმე ჭანჭიკი მოჩანდა გამათბობელზე. ბიჭი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ერთი ჭანჭიკი თუ დააკლდებოდა ამ გაუგებარ მექანიზმს, არაფერი დაშავდებოდა. თანაც, მის სამეგობროში უკვე ყველას არბალეტი ჰქონდა, მარტო თვითონ ეჭირა უხეიროდ ნაჩორკნი, მამამისის გაკეთებული მშვილდისარი და არბალეტის ასაწყობად სწორედ ასეთი დეტალიღა აკლდა, რომელსაც ვერსად მიაგნო და ბედზე ამასწინათ შემთხვევით გადააწყდა გაზის გამათბობელზე. საქმეს მორჩა, გამათბობელს ხელი დაუტყაპუნა და სრულიად დამშვიდებული შევიდა თავის ოთახში, ჭანჭიკი უჯრაში შეინახა და კომპიუტერს მიუჯდა. ცოტა ხანში გაიგო, როგორ შემოვიდა მამამისი სახლში და ონკანი მოუშვა. მერე ბიჭის ოთახში შემოიხედა და უთხრა: შენ სულ ასე უნდა იჯდე კომპიუტერთან? გადი გარეთ, ნახე, გაზაფხულის რა მშვენიერი ამინდია, გაიარ-გამოიარე! ბიჭს არც შეუხედავს, ისე ჩაილაპარაკა: ხო, კაი, გავალ მერე, – და თამაში გააგრძელა. მამა ერთხანს დაფიქრებული უყურებდა, შემდეგ თმა აუჩეჩა: წავიდეთ ხვალ სათევზაოდ? ბიჭი შეყოყმანდა. თევზაობა არ ეხატებოდა გულზე, მაგრამ მამა უყვარდა ძალიან და არ უნდოდა, ეწყენინებინა. ბოლოს უნდილად ამოღერღა: ხვალ ონლაინ-შეკრება გვაქვს გეიმერებს. გეგმას ვაწყობთ, ბოსი უნდა მოვკლათ ხვალ. თან მამას გახედა ფრთხილად. მამა ხმაგაუღებლად, სევდიანად შემოჰყურებდა. მერე ჩუმად თქვა: აჰა, ბოსი უნდა მოკლათ ესე იგი... კი ბატონო, რა გაეწყობა, მაშინ მარტო წავალ. ბიჭმა უცებ წარმოიდგინა წყლისპირზე სულ მარტო ჩამომჯდარი მამა და გული მოეწურა, მაგრამ მონიტორისთვის მაინც არ მოუშორებია თვალი. მამა ოთახიდან გავიდა და კარში თავისთვის ჩაილაპარაკა: ეჰ, შვილო, შენხელა რომ ვიყავი... შენხელა რომ ვიყავი... თან კარი გაიხურა და გავიდა. ბიჭს ისე შერცხვა, ყურები გაუხურდა. წამით დაუძლეველი სურვილი მოეძალა, მიეგდო სადმე ჯოისტიკი, გასულიყო გარეთ და ევლო, სულ ევლო, ევლო, საითაც გაიხედავდა, რომ მერე მამამისივით, მძიმე-მძიმედ შემოსულიყო სახლში, ჩექმებზე ტალახაკრული, კოცონის კვამლის სუნით აქოთებული, ქარში აქერცლილი სახით და ჰორიზონტჩამდგარი მზერით... მაგრამ მის თითებს ისევ ჯოისტიკი ჩაებღუჯა მაგრად და ბიჭმა გაიფიქრა: სისულელეა. გარეთ ყველაფერი სისულელეა. და გააგრძელა თამაში.

ის-ის იყო, კვლავ შეიყოლია თამაშმა და სულ გადაავიწყა მამამისიც და თევზაობაც, გამაყრუებელი აფეთქების ხმა რომ გაისმა, მთელი სახლი იძრა და ბიჭი რაღაც ძალამ წინ გაისროლა. ერთხანს ხალიჩაზე იყო გაშოტილი და მერე წამოდგომას შეეცადა, მაგრამ თავბრუ დაეხვა, ისევ ჩაიჩოქა და არწყია. შემდეგ მოახერხა და ნელ-ნელა ფეხზე წამოიმართა, თავისი ოთახის კარი გამოაღო და იმწამსვე სახეში ეცა ცხელი ბუღი და მტვრის კორიანტელი. გაურკვევლობამ და აუტანელმა შიშმა მუხლები აუკანკალა, თუმცა მაინც განწირულად, ბანცალ-ბანცალით და ხველებით მიიწევდა სადარბაზო კარისკენ. ამ დროს არაადამიანური ღრიალი შემოესმა და ადგილს დაეყინა, ლოჯიისკენ გაიხედა და გაარჩია, სასტუმრო ოთახის და ლოჯიის გამყოფი შუშაბანდი საერთოდ რომ გამქრალიყო, სააბაზანოს ნაცვლად კი ცეცხლის კედელი გიზგიზებდა. იდგა და სიზმარში მყოფივით, უაზროდ, გაუნძრევლად მისჩერებოდა ცეცხლს. უცებ ალში რაღაც მოძრაობა შენიშნა და კვლავ მოესმა ყურისწამღები, არაადამიანური ღრიალი. მა, – თქვა ბიჭმა და შუშის ნამსხვრევებით მოფენილ იატაკზე ჩაიკეცა. – მა, – დაიჩურჩულა ისევ, სანამ გონებას დაკარგავდა.

რამდენჯერ უცდია. გონების მთელი დაძაბვით, მთელი თავისი ბავშვური ძალით რამდენჯერ გამოუხმია მეხსიერებიდან რაიმე სხვა, ნებისმიერი, ან სუნი, ან თვალები, ან ხელები; გამოუწელია ძლივძლივობით სადღაც შორიდან, თითქოს მოუახლოვებია კიდეც, მოუწევია

სულ ახლოს, და ის იყო, გაუჩნდებოდა კანის ამხორკლავი რწმენა და იმედი, ის იყო, სადღაც გადაიკარგებოდა ეს ყოვლის წამლეკავი დანაშაულის შეგრძნებაც, რომლისგანაც საწოლიდან წამოდგომაც არ უნდოდა ხოლმე ბიჭს, რომლისგანაც, საერთოდ, არც გაინძრეოდა, მოძრაობაზეც კი უარს იტყოდა, რომ არა დედა, რომ არა დედამისის სიბრალული... რამდენჯერაც მოიახლოვებდა მამამისს ისევ, ცოცხალს და ნამდვილს, სწორედ ამ დროს ამოიმართებოდა რაღაც კედელივით მისი ქვეცნობიერიდან და აეფარებოდა ყოველს, სადაც მამა იგულისხმებოდა, აეფარებოდა და ნელ-ნელა აწვებოდა და ჩქმალავდა, მიათრევდა სადღაც უკუნეთში ყველა მოგონებას, ამის გარდა – ამ წყეული ცეცხლის ალის გარდა... არც დედამ, არც ბებიამ და ბაბუამ, არც იმ სათვალიანმა ტიპმა, ძალიან ჭკვიანი რომ ეგონა თავი და ბიჭს ათასგვარ სისულელეებს ეკითხებოდა – არავინ იცოდა, რომ აღარ შეეძლო მამამისის გახსენება, თუ არა ასე, ამგვარად: მხოლოდ ცეცხლში მოდიოდა მამა, მხოლოდ ცეცხლის ალით შეეძლო ბიჭს მისი გამოხმობა, სულ იოლად და თავისუფლად...

გარეთ ცა ფეხად ჩამოდიოდა, წამდაუწუმ შუაზე სკდებოდა თითქოს მთელი ცა, და ბიჭი მილიდან ხედავდა, დღესავით რომ ჩახჩახდებოდა დროდადრო იქაურობა. ასეთ ავდარს არ გადასწყდომია არასოდეს. ქალაქური უწყინარი ქუხილი, ამ მეხთატეხასთან შედარებით, ტუალეტის ბაკიდან წყლის ჩაშვების ხმას ჰგავდა. ასეთი პეიზაჟებიც აპოკალიფსურ საშინელებათა ფილმებში თუ ენახა მარტო აქამდე, და ეშინოდა ბიჭს, ცივ რკინაზე ჯდომითაც იყინებოდა და ვერც ამჩნევდა, ყოველ დაქუხებაზე თავისდა უნებურად მილის სიღრმეში რომ ჩოჩდებოდა, და რაც უფრო მეტად ინაცვლებდა შიგნით, მით უფრო უნელდებოდა შიში და სიმყუდროვის განცდა ეუფლებოდა. სულ აღარ იხედებოდა გარეთ, სადაც მილის შემოსასვლელი მრგვლად ეკიდა უსასრულო წყვდიადში, სხვა პლანეტასავით. სანთებელა აანთო და ალს მისჩერებოდა, სანამ არ გახურდა სანთებელა და თითები არ დაეწვა. ცოტა რომ გაგრილდა, ისევ სცადა ანთება, მაგრამ ვეღარ აანთო – გაზი გასთავებოდა, მეორე, სათადარიგო სანთებელა კი გარეთ ეგდო გალუმპულ ჩანთაში. ბოლოს ოთხზე დადგა და ხოხვით შეუყვა მილს სიბნელეში. გორაკის სიღრმეში შედიოდა, სადაც სულ უფრო დაგუდულად და ყრუდ აღწევდა ხმა გარედან, და მიხოხავდა ბიჭი სიწყნარისკენ, სიმყუდროვისკენ.

– გამოდი გარეთ! – მოესმა უცებ ძალოვანი, მკაცრი და მჟღერი ხმა, ექოდაკრული, – თითქოს უხმობდა თავად სამყარო. ბიჭი გაიტრუნა.

– გამოდი გარეთ! გამოდი გარეთ! გამოდი გარეთ! – ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა, მთელ მილს ავსებდა და ბოლოს ბიჭი დაემორჩილა მას, შემოტრიალდა და მილს უკან გამოუყვა ხოხვით. გამოსასვლელს რომ მოაღწია, მრგვალ დისკოში წვერგაბანჯგვლული თავი გაარჩია.

– ეს ხო ისაა, – იცნო ბიჭმა და თავადვე გაუკვირდა, ისეთი შვება იგრძნო. საჭირო ყოფილა ადამიანი გვერდით, ავდარში. შემდეგ მილიდან ჩახტა და კინაღამ ზედ დაეცა დიდ ძაღლს.

– არ გიკბენს, ნუ გეშინია! – დაუყვირა კაცმა და ერთიანად გალუმპულ ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლმა კუდი გააქიცინა და ბიჭმა შეამჩნია, რომ სულ არ გამოიყურებოდა ისე უბედურად, როგორც დილით, არხთან მოჩანდა. მერე კაცი შეათვალიერა ელვის შუქზე. „ისე არიან, გეგონება, სადმე მყუდრო ოთახში ისხდნენ ბუხართან“, – გაიფიქრა ბიჭმა და პატივისცემა იგრძნო ორივეს მიმართ.

– შენია, ხო? – კაცმა სველი ჩანთა მიაწოდა და მილს ახედა: – ეგრევე მივხვდი, აქ რომ შეეფარებოდი ავდარს.

– ხო, სიმშრალეა შიგნით, – ყვირილითვე უპასუხა ბიჭმა და გაეღიმა.

– კაია ხომ წვიმაში ყვირილი? – მიუხვდა კაცი და თავადაც გაეღიმა. – არ შეიძლება, – უთხრა მერე, – როცა ქუხს, რკინასთან მიკარება საშიშია.

ბიჭმა ცას ახედა.

– აქ, გარეთ უფრო საშიშია. წელან დავინახე, მეხი როგორ ჩამოვარდა.

კაცი ყურადღებით დააკვირდა.

„დედაჩემივით რო მიყურებს, სიბრალულით“, – გაიფიქრა ბიჭმა და ბრაზი მოაწვა.

კაცმა თვალი აარიდა და ღრმად ჩაისუნთქა რამდენჯერმე. შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ ბიჭმა კარგად გაიგო, რაც თქვა:

– რომ არ გეშინოდეს, უნდა შეიყვარო.

ბიჭი ერთხანს ნათქვამის გააზრებას ცდილობდა. მერე გაუბედავად ჩაეკითხა:

– ვინ, რა უნდა შევიყვარო?

– ყველაფერი! – გაუღიმა კაცმა და ხელები ფართოდ გაშალა.

ბიჭმა შეათვალიერა. „ხომ არ ურიკინებს ნეტა?“ – გაივლო გულში.

ბოლოს მხნეობა მოიკრიბა:

– ვინ ხარ?

– შენი ახალი სკოლის მასწავლებელი! – სულ უბრალოდ, სასხვათაშორისოდ უპასუხა კაცმა.

გაოგნებული მიაჩერდა.

„ფუ, შენი... – შეიგინა გულში. შემდეგ გაიფიქრა: – მეხუმრება, ალბათ“.

გამომცდელად უყურებდა კაცს, წვიმა რომ ჩამოსწურწურებდა სახეზე და წამწამებს სასაცილოდ ახამხამებდა, და თანდათან რწმუნდებოდა, რომ არ ეხუმრებოდნენ.

– ჰოო? – ჩაილაპარაკა ბოლოს უხერხულად და გაუკვირდა თავისი სიმშვიდე; სულ არ გასჩენია დისტანცირების და სიუცხოვის განცდა, რაც აქამდე მუდამ ჰქონდა პედაგოგებთან ურთიერთობისას.

– ჰო! – დაემოწმა კაცი და ყვითელ ძაღლს დრუნჩზე წაავლო ხელი, გაეთამაშა.

– ფუ, შენი! – წამოსცდა ბიჭს ახლა უკვე ხმამაღლა და შეცბა, გაუბედავად გახედა, მაგრამ კაცს გაუთავებელი ელვის შუქზე მხიარული ნაპერწკლები უთამაშებდა თვალებში, შემდეგ კი ვეღარ მოითმინა და გემოზე გადაიხარხარა. ბიჭიც აჰყვა.

და მოდიოდნენ გზაზე კაცი, ბიჭი და ძაღლი. „რომ არ გეშინოდეს, უნდა შეიყვარო“, – კაცის ნათქვამზე ფიქრობდა. კოკისპირულად წვიმდა, ცაზე წამდაუწუმ ელვა იკლაკნებოდა და ქუხდა გამაყრუებლად, და ბიჭი უეცრად მიხვდა, რომ აღარასოდეს დასჭირდებოდა სანთებელა მამის გამოსახმობად; რომ ის ყოველთვის მის გვერდით იქნებოდა ისედაც: წვიმაშიც, ქუხილშიც, ტყრების ყმუილშიც...

სანთებელა შეუმჩნევლად ამოიღო ჯიბიდან და გზაზე დააგდო.

ნინო ქაღაბიძე

თეთრი ხელჯოხი

ნინო ქადაგიძე

ბავშვებს სუნით ვცნობ. შევალებ საკლასო ოთახის კარს და იქვე მერხთან რომ ზის გაბრიელი, წამოდგება და მომადებს მუცელზე ხუჭუჭა თავს, მომეტმასნება. ფეხის ხმით მცნობს. მე თავზე ვეფერები, მერე თითებს ძლივს ვითავისუფლებ მისი თმის ხვეულებიდან. დედამისი ამბობს, შავი თმა აქვსო. ბავშვობიდან მახსოვს, შავი როგორიცაა. დიდი ბებია რომ გარდაიცვალა, დედაჩემს ეცვა შავი კაბა – საჭირისუფლო. ახლაც მზარავს, მახსოვს, გულში რომ ჩავეხუტე და მერე თვალები გავახილე, ვეღარაფერი დავინახე, შემეშინდა და ტირილი დავიწყე. ეგ არის შავი.

თვალებში რომ ჩინი გიქრება, კი ვერაფერს ხედავ, მაგრამ შავი ფერი მაინც არ არის. თვალებს იქით ინთება რაღაცა, შუქ-ბრწყინვალება. ეს რა შუქია, დღემდე არ ვიცი. სანამ ხედავდი, მანამდე თუ შეიყოლე დღის ანარეკლი და ის სინათლეა... ან იქნებ საკუთარი სულის ნათებაა? მე მგონია, რომ რაღაცნაირი, მქრქალი, იისფერი შუქ-ელვარება აკრავს სულს, თუმცა, რა ვიცი...

პირველ კლასში ექვსი მოსწავლეა. ჩამოვივლი მერხებს შუა და სუნით ვხვდები, ვინ არის გაკვეთილზე, ხანაც სუნთქვით ვცნობ. სანამ მხედველობას დავკარგავდი, მაშინაც მასწავლებელი ვიყავი და ვასწავლიდი: „აი ია“.

ახლა ეს ბავშვები მასწავლიან: „აი სამყარო“. ალბათ სიცოცხლის ბოლომდე დავრჩები ამ სკოლაში და ვიქნები მასწავლებელი – ბავშვების მოსწავლე.

გაბრიელი დაბადებიდან უსინათლოა, ბარბარეს, კატოს , ლუკას, ანას და სოფიას, ასე თუ ისე, ახსოვთ მზისყური, მქრქალად ხედავენ.

მზისყურზე გამახსენდა, წინა კვირას გავიარეთ ახალი თემა: „გაზაფხული“. ვთქვით, რომ ხეები მწვანდება, დღე იმატებს და თანდათან თბება, ისმის ჩიტების გალობა, იშლება ია, ენძელა და ფურისულები. ხან თუ წვიმს, მზეც ანათებს ხოლმე და ცისარტყელა გადაეკვრება ცაზე შვიდფერა. გაბრიელი აჭუჭყუნდა, როგორი ფერია მწვანე, ყვითელი ან იისფერიო? დავამშვიდე, ხვალ აგიხსნი-მეთქი. ჩვენი სკოლის ადმინისტრაციას ვთხოვე, ბავშვები დილიდან ბოტანიკურ ბაღში მოეყვანათ მშობლებს და იქ ჩამეტარებინა გაკვეთილები. სკოლის დირექტორი დამთანხმდა. გაბრიელის დედაც გამოგვყვა. ბავშვები პლედებზე დავსხი, ჩავკიდეთ ხელი ერთმანეთს, ასე, წრეში ჯაჭვისებურად, და კიდევ ერთხელ ვუთხარით ჯერ გვერდზე მჯდომს და მერე სამყაროს: „მე შენ მიყვარხარ“. ჩახუტებისა და მოკითხვის შემდეგ ჩანთიდან ფრთხილად ამოვიღე და ჩამოვატარე იის კონა მათ პაწაწინა ნესტოებთან. ბავშვებმა ყვირილი ატეხეს. იცნეს იები. გაბრიელი მიხვდა იასამნისფერის სუნს. მერე გარშემო რამდენიმე ღერი ჟიჟო, ახლად ამოწვერილი ბალახი გავსრისე ხელით და ვაყნოსინე ჩემს ხელისგულებზე. ბავშვებმა ისევ ჟრიამული ატეხეს და იცნეს ბალახი. გაბრიელმა მითხრა, რა მიწასავით თბილი ხელისგული გაქვს, მასწო. გაბრიელმა ისწავლა სუნით, მწვანე და მიწისფერი როგორიცაა. ცოტაც გავიარეთ, გავისეირნეთ, გავისუსეთ ერთი ხის ქვეშ და ყური მივუგდეთ შაშვის გალობას. იქვე წავიხემსეთ მშობლების გამოტანებული ბუტერბროდებით.

გაბრიელი ისევ გამიჯიუტდა, აბა, რომ შემპირდი, აგიხსნი ყვითელსო? სულ დამავიწყდა! მოვძებნეთ მყუდრო ადგილი. ჩავამწკ-

რივე ექვსივენი პირით მზისაკენ, მეშვიდე – მე, ბოლოში დავდექი და... მზეს მივეფიცხეთ. სანამ ვიტყოდი, მზით გახუხულ მკლავებს და ერთმანეთის თმებს დაყნოსეთ-მეთქი, ხან ცხვირის წვერზე დაგვაწინწკლა, ხან შუბლზე, ხან ლოყაზე... გაბრიელის დედამ გვითხრა, რომ ცაზე ცისარტყელამ გამოანათა. ახედეს ბავშვებმა ცას და ალბათ მქრქალად დაინახეს, ახმაურდნენ. გაბრიელმა დაიყვინა, მე ყვითელი ვარო, კატომ – მე წითელიო... მოკლედ, შვიდივემ, მოსწავლეებმა და მასწავლებელმა, ცისარატყელას შვიდივე ფერი გადავინაწილეთ. გაბრიელის დედა მანქანისაკენ გაგვიძღვა, მერე მე დავდექი, ჯოხი გავიშვირე და ვთხოვე, ჩემს თეთრ ხელჯოხს მოჰკიდეთ ხელი-მეთქი. ბარბარე, კატო, ლუკა, ანა, სოფია და გაბრიელი, სიცილ-სიცილით, მატარებლის ვაგონებივით ჩამწკრივებულები მივედით მანქანასთან. სანამ ბავშვები ჩასხდებოდნენ, გაბრიელი ხელით მოვძებნე და მის კულულებს მაინც დავყნოსე. დედამისი ამბობს, შავი თმა აქვსო. ბავშვობიდან მახსოვს, შავი როგორიცაა. დიდი ბებია რომ გარდაიცვალა, დედაჩემს ეცვა შავი კაბა – საჭირისუფლო. ახლაც მზარავს, მახსოვს, გულში რომ ჩავეხუტე და მერე თვალები გავახილე, ვეღარაფერი დავინახე, შემეშინდა და ტირილი დავიწყე. ეგ არის შავი. გაბრიელის თმა კი ანათებს და რაღაც უცხო სუნი მოდის. მხედველობადაკარგული, როცა პირველად მაზიარა ჩემმა მოძღვარმა, მგონი, ეგ სუნი იდგა მაშინაც. სულ მგონია, რომ გაბრიელს შავი თმა კი არა, ყვითელი კულულები აყრია თავზე და ღვთის სურნელი ასდის.

მგონია, ხილული ქვეყნის სინათლე უფრო უხეშია, ვიდრე – უხილავის, იმ სამყაროსი, რომელსაც ჩვენში ვატარებთ.

ჰოდა, ამიტომაც ბედნიერი ვარ, ვზივარ კლასში და სუნით ვცნობ ბავშვებს.

ბარბარეს მწვანე სუნი აქვს, კატოს – წითელი, ლუკას – ნარინჯისფერი, ანას – იისფერი, სოფიას – ცისფერი, გაბრიელს – ყვითელი, მე – ალბათ თეთრი, ჩემი ხელჯოხისფერი. თუმცა, ვინ იცის...

ნათია ჩოსტიაშვილი

ლიზი ლმერთია

„იმის“ სახლის შესახვევთან რო უნდა ჩამევლო, კიდე ეგრე დამემართა – მუხლები გამიშეშდა. გამიშეშდა, ველარ ვხრი, ველარ მივდივარ. აქ ავლისას სუ ეგრე მემართება. უკან რო ვბრუნდები – აღარ. მე რო დილას სახლიდან გამოვდივარ, „ეგ“ ჯერ საწოლიდანაც არაა ამდგარი და რანაირად შემხვდება? მაგრამ ჩემ მუხლებს მაგდენი ფიქრი კი არ შეუძლიათ. ამათ მარტო ის იციან, რო ეს შესახვევი „მაგის“ სახლის შესახვევია. მარტო ის ახსოვთ, რო ერთხელ „ის“ ამ ადგილას დამხვდა. მაშინ რაც „იმან“ მითხრა, მე კი დავივიწყე, მარა ჩემმა მუხლებმა – ვერა. მაგ დღის მერეა, ადრე რო ვდგები ხოლმე და გავდივარ. „ეგ“ და დანარჩენები რო საუზმობენ, მე უკვე კლასში ვარ, ქოთნის იებს ვრწყავ. ეგრე მირჩევნია. ადრიანი როა, არავინ მხვდება არც გზაზე, არც სკოლაში. ეგრე უფრო მშვიდად ვარ. თან იებიც მიყვარს.

შევედი და წამოვიდა სკოლის დარაჯი ჩემკენ. კარგა ხანია, აღარ გამომლაპარაკებია ეგეც. იცის, რო აზრი არა აქვს. ხოდა, მიკვირს, ეხლა რო ადგა და მოდის.

– შენთვის კარგი ამბავი მაქვს, გოგო, – მეუბნება. – ჩემი გოგო ჩამოვიდა თბილისიდან და ეგ იქნება შენი ახალი მასწავლებელი. იცი, მე როგორი გოგო მყავს? ყველა მაგის მზეს ფიცულობს!

ცოტათი სკოლაში შემოსვლისასაც მემართება ხოლმე ეგრე, თითქოს ნაბიჯს ვერ ვდგამ და ჩემს თავს შიგნიდან ვაწვები, რო როგორმე გავიარო, მაგრამ ადრიანად რო დავიწყე მოსვლები, გადამიარა. ხოდა, ეხლა მუხლმა კი არ დამიჭირა, მე თვითონ შევანელე, ჩემით. მეთქი, გავიგო, რას მეუბნება. ოღონდ სალაპარაკოდ არ გავუჩერდი მაინც, წამოვედი ჩემი კლასისკენ ეგრე იატაკჩაჩერებული, ვითომ ამის ნათქვამი არც მესმის. არ ვიმჩნევ, რო დავიძაბე. ახალი ადამიანები არ მიყვარს. არც ძველები მიყვარან, მაგრამ იმათ შეჩვეული მაინც ვარ.

– არა უშავს, თუ არ მელაპარაკები, მე ხო ვიცი, რო გესმის. ჩემი გოგო კარქი გოგოა, კარქა მოგხედავს, არ შეგეშინდეს, – თავისთვის ამბობს, ხმადაბლა. მგონი, ბოლომდე არ სჯერა, რო მესმის. კარგი კაცია, კეთილი. ჩემბებო ყვარებია მაგას ახალგაზრდობაში, ჩემბებომ მითხრა.

კლასში შევედი და დაფაზე დიდი გველი, მატლი თუ ჭია ხატია, სათვალეები უკეთია ჩემნაირები და ქვემოთ აწერია: მსუქანი ოთხთვალა თია. ხო ვიცი, რო „მაგან“ გააკეთა, მაგრამ რა აზრი აქვს, რო ვიცი.

რო წავიკითხე, მუხლები უცებ კი დამება, მაგრამ ეგრევე ამეშვა და მივვარდი და ვშლი ეგრე, ხელებით, ფართხაფურთხით. მგონია, სანამ ფანჯრის რაფიდან ტილოს ავიღებ, ვინმე შემოვა და დაინახავს და დამცინებს. წავშალე და დავჯექი. არ ვიტირებ. იებს კი უკვე ველარ მოვრწყავ, მაგრამ არც ვიტირებ. არ უნდა ვიტირო. თუ ვიტირე, უფრო იმაზე, რო თიას ამბობს და მე კიდე თეა მქვია. მსუქანზე და ჭიაზე – არა. ჭიაა თუ უხსენებელი, „მაგის“ დახატულებს ვერ ვცნობ ხოლმე. წეღან რო ვთქვი, გველი-მეთქი, არ უნდა მეთქვა. სანამ ლაპარაკს მოვიძულებდი, ჩემბებო მეუბნებოდა, გველი კი არა, უხსენებელი უნდა თქვაო გველზე. გველზე კი არა, უხსენებელზე.

ერთხელ მათემატიკის გაკვეთილზე „იმან“ უხსენებელი დამიგდო მაგიდაზე და კიდე კარგი, ეგეთი ადრე მეც მქონდა და ვიცოდი, რო ნამდვილი არაა, რეზინისაა და ისე ძალიან არც შემეშინდა და არც შევხტი და არაფერი. ეგ და თავის დაქალები ჩაბჟირდნენ მაინც სიცილით. ისე იცინოდნენ, უხმოდ. მაგათ უხმოდ იციან ხოლმე ჩაბჟირება გაკვეთილზე.

ნათია როსტიაშვილი

მოვედი და ჩემბებო სახლში არაა. ამოვაძრე იმის დამალული გასაღები კალათიდან ისევ და შევედი დაკეტილი ოთახი რო გვაქვს. დღეს დიდი თეფში ავირჩიე, წვრილყვავილებიანი.

ჩავიტანე სარდაფში და როგორც კი პირველი ნატეხი ჩამოვამტვრიე, მთელი დღის ბოღმა უცებვე წამოიღო და მომეშვა. ხან ისე ვარ, სამი თეფში არ მყოფნის, საშუალოები. დღეს ბევრიც არაფერი მომხდარა. ის ნახატი არ ითვლება, არავის დაუნახავს და არ ვთვლი. კიდევ კარგი, ადრე მივდივარ და თუ რამე ხატია, ეგრევე ვშლი. დღეს ბევრი ვერ გაბედა. ეს ახალი მასწავლებელი დერეფანში იდგა და სუ ჩვენ გვიყურებდა. მარტო ერთხელ დაუძახეს სამასწავლებლოდან და „იმან“ მაშინ მოასწრო და მითხრა: „მსუქანო მატლო, ორ თვალს ხო არ მოიხსნიდი და ჩვენ წინ ცოტას ხო არ გაიხოხიალებდი, ჰა?“ და „იმის“ დაქალები მოკვდნენ სიცილით. ხმით. ნეტა მართლა მომკვდარიყვნენ. დასვენებებზე ხმით იციან ჩაბჟირება მაგათ. რატიმ ჩაიარა და გამიშეშდა მუხლები. იქნებ ვერც გაიგო, რაც მითხრეს. ნეტავი ვერ გაეგო.

წამოსვლისას აღარ ვიძაბები ხოლმე „იმის“ სახლის შესახვევთან. გაკვეთილები რო მთავრდება, მე ეგრევე გიჟივით გამოვვარდები ხოლმე კლასიდან და ვიცი, როცა „მაგის“ შესახვევთან ვარ, „ეგ“ ჯერ სკოლაშია. ხოდა, „მაგის“ შესახვევთან ვიყავი, რო გამეფიქრა, აჰა, თურმე მატლი ვყოფილვარ იმ ნახატზე-მეთქი და რაღაცნაირად გული დამწყდა. მეც კარგი სულელი ვარ, ვითომ უხსენებელი რითი ჯობია მატლს? მაგრამ მატლი საწყალი როა...

ბოლომდე დავტეხე ეს წვრილყვავილებიანი თეფში თავის ყვავილებივით წვრილად. გულზე მომეშვა. ნატეხები ჩემს საიდუმლო ქვაბში რო ჩავმალე, ჭიშკრის ჭრიალი და ჩემბებოს ხმაც ზუსტად მაშინ გავიგე. მიყვარს, ეგრე ზუსტად რო მოვასწრებ ხოლმე.

დღეს ამ ახალმა მასწავლებელმა გაკვეთილების მერე ფილმი გვაჩვენა. ერთი უშნო ბიჭი იყო, კი გამხდარი და უსათვალო, მაგრამ მაინც ჩემზე უშნო. მაგაზე იყო ფილმი. იმის კლასელები ამათზე უარესები იყვნენ. ისე დასცინოდნენ, მე მაგასთან შედარებით სამოთხეში ვარ. ისეთი ფილმი იყო, სხვანაირი. მე ხო რაც აღარ ვლაპარაკობ, აღარც ვტირი, მაგრამ ვუყურებ და უკვე ისე ვარ – გაძლებაზე. ასე მგონია, მერე რა, რო ბიჭია, თან უსათვალო და გამხდარი, მაინც ჩემზეა ეს კინო-მეთქი და მეტირება. ეკრანზე მაქვს თვალები ჩასობილი, ვერც ვინძრევი, არც ვახამხამებ. მეშინია, მარცხნივ, ეკრანის ცოტა გვერდზე არ გამექცეს თვალი და ცოტა გვერდზე კიდე „ეგ“ ზის და ალბათ მე მიყურებს და ბჟირდებიან ეგრე უხმოდ „ეგ“ და ისინი.

ფილმი რო დამთავრდა, მივხვდი, რო არ ყოფილა ჩემზე. თითქოს აქამდე არ ვიცოდი. იქ ის უშნო ბიჭი ბოლოს მთელ კლასს შეუყვარდა და აბა, ჩემზე რანაირად...

ამეებს ვფიქრობ და უცებ ეს ოხერი თვალი „იმისკენ“ არ გამექცა?!

მეთქი, მეჩვენება – არც დამცინის, არც მიყურებს, არც დაქალებს ეჩურჩულება. გაშეშებული ზის და ცრემლები ჩამოსდის. ცრემლები „ამის“ ლოყაზე. „ამისი“ ცრემლები, ნამდვილები. კარგად რო გამოვფხიზლდი, მივხვდი, რო მეც კი ვტიროდი და სხვებიც, მაგრამ „იმის“ ცრემლი სხვანაირად დაუჯერებელია მაინც, ძალიან დაუჯერებელი.

პატარა პეჩენიებით და ჟოლოს წუწნია კანფეტებით სავსე თასები გადმოალაგა მასწავლებელმა თაროდან. ლიზი. ლიზი ქვია. ჯერ „იმას“ დაარიგებინა კანფეტები ყველასთვის და მერე მე – პეჩენიები. რაღაცას ხვდება, მგონი. მე ხო ვერასდროს ვერ გავბედავ, მასწავლებელს ან ვინმეს ვუთხრა, ესენი რა დღეშიც მაგდებენ, მაგრამ თვითონ ხვდება ეს, თავისით. გვიყურებს ხოლმე დასვენებაზე, გვაკვირდება. ხან ძალიან ცუდად რო ვარ, ისე მომინდება, ჩავეხუტო, მაგრამ რას გავბედავ. წინა მასწავლებელზე არასდროს მომნდომებია, საერთოდაც არავისზე მომნდომებია რატის და ჩაპას გარდა.

იმ უშნო ბიჭზე რო ფილმი ვნახეთ, მაგაზე ლაპარაკობს ლიზი მასწავლებელი და მთელი კლასი უსმენს. თან მასწავლებელივით კი არ ლაპარაკობს, ჩვენი ტოლივით, შინაურულად. დარაჯთან ხო ვიტყუები ხოლმე, რო ვითომ არ მესმის, მაგრამ ეხლა კი არ ვიტყუები, მართლა. ლიზი ლაპარაკობს და მე კიდევ მიჭირავს „იმის” მოცემული ჟოლოს კანფეტი და ფოჩებს ვაწვალებ, ამ ფოჩების შრიალის იქით არაფერი მესმის. ხან თვალს გავაპარებ და ვუყურებ, როგორ ღეჭავს ჩემ მიცემულ პეჩენიას და რაღაცნაირად, თითქოს აღარ მეშინია უკვე „მაგისი“. უკვე ცოტათი მჯერა, რო ჩემი ფილმიც კარგად დამთავრდება.

რო წამოვიშალეთ სკამებიდან, მე ეგრევე კარებისკენ გავვარდი ჩემებურად და თეა

აქ, თავის შესახვევთან გადამკოცნა მეც და მუხლი კი გამიშეშდა უცებ, მაგრამ ეგრევე მივხვდი, ამის მეტად მე აქ მუხლი აღარ გამიშეშდება.

მოვდივართ და ლიზიმ ცას ახედა, გაულიმა და მეკითხება:

– კარგი დღე იყოო, არაა? – თან არ მიყურებს და ძალიანაც მიხარია, რო არ მიყურებს.

– თუ წინააღმდეგი არ იქნები, ერთხელ ბებიაშენის გამომცხვარ ქადაზე გეწვევი, – მეუბნება. – მთელი სოფელი აქებს. ჩაის მე წამოვიღებ, ჟასმინისაა, სურნელოვანი, მოგეწონება. თუ გენდომება, თან რაზეც გინდა, იმაზე ვისაუბროთ. თუ გინდა, მარტო ქადა ვჭამოთ და მე შენს ბებოს იმ ქადის რეცეპტზე დაველაპარაკები. იქნებ ოდესმე ჩემგანაც დადგეს დიასახლისი.

ამეებს ისე მეუბნება, თითქოს მე მე კი არა, ვინმე მაგის მეგობარი ვიყო. ისე მეუბნება, ვითომც არაფერი. თითქოს ის სუ სხვანაირი ამბები არ მომხდარა დღეს. მე ხო ვიცი, რო ჩემი გულისთვის გააკეთა ყველაფერი, მე ხო ვხვდები.

ჩემს სახლთან რო მოვედით, აბა, ხვალამდეო და გადასაკოცნად რო გადმოიხარა, უცებ კი ვიფიქრე, მეთქი, მორჩა, ეხლა მაგრად უნდა ჩავეხუტო, მაგრამ ვერ გავბედე ისევ.

ჩემბებო მართლა გემრიელ ქადებს აცხობს. ყიდულობენ ხოლმე აქ, სოფელში.

ერთხელ, ადრე, „იმან“ მითხრა, ბებოშენის ქადებს ხო არ მოიტანდი ხვალეო, ჰაო? საერთოდ, ეგეთი ლაპარაკი იცის: „ხო არ მოიტანდი, ჰა?“, „ხო არ იხოხიალებდი, ჰა?“, „ეხლა აქედან ხო არ დაახვევდი, ჰა?“

დილას ბებოს გასაყიდად გამზადებული ქადები ჩავიწყე ჩანთაში და წავედი სკოლაში. ხო სულ ადრე მივდივარ ხოლმე ისედაც, მაგრამ იმ დილას რო ადრე მივედი, ეგრე არასდროს.

რა კარგი ქადებიაო, – „იმან“ და ისე გამიხარდა! ამოვიღე და ორივე გაშლილ ხელზე დაწყობილი ქადები გავუწოდე. მოიცა, ჯერ ყველა შემოვიდეს, სხვებსაც გავასინჯოთო, ღორები ხო არ ვართ, მარტო ჩვენ რო ვჭამოთ ეს გემრიელობაო. კარგი- მეთქი, თავი დავუქნიე და სანამ ბავშვები მთელ კლასში მიდი-მოდიოდნენ და ზოგი დაფას ასუფთავებდა, ზოგი ჩანთიდან წიგნებს იღებდა, ზოგი თამაშობდა, მე ეგრე ძეგლივით ვიდექი შუა კლასში, გამოწვდილ ხელებზე ქადები მელაგა და ბედნიერებისგან ჩემდა უნებურად ვიღიმოდი. დაირეკა ბოლოს ზარიც და ყველა რო შემოვიდა, „ეს“ მეუბნება, იფ, რა კარგი სუნი აქვს შენ ქადებსო. თან სიამოვნებისგან თვალები აქვთ დახუჭული „ამასაც“ და თავის დაქალებსაც და იღიმიან. სუ არ მიკვირს, რო ჩემბებოს ქადის სურნელმა ესენიც გააკეთილა. მიდი, ჩემსავით თვალები დახუჭე და უსუნე, რა გემრიელი სუნი აქვსო, გახარებული მეუბნება. დავხუჭე მეც და ცხვირთან რო მივიტანე, ამომკრა „ამან“ ხელებს ქვემოთ მუშტები და ამომეყარა ეს ჩემბებოს ქადები სახეზე და დაიყარა მერე ძირს და ყველაფერი ჩამწყდა შიგნით და ჩამომცვივდა ქადებთან ერთად და დავრჩი ეგრე – გამოცარიელებული.

რამდენიმე კლასელს შევეცოდე, მაგრამ „ამის“ დაქალებისგან ყველამ იცის, რო "ეს" სპორცმენია. ღამღამობით სახლიდან იპარება თურმე და სხვა სოფლელებთან ჩხუბებზე დადის და იმარჯვებს. თან ხო გოგოა და მაინც. ხოდა, ეშინიათ ამათაც, რა ქნან. თან „ამას“ მართლა ხან თვალი აქვს ჩალურჯებული, ხან მკლავი, ეტყობა, რო მართლა ჩხუბობს, თორე იფიქრებ, რო „ამის“ დაქალები იტყუებიან.

ვიდექი ეგრე გამოცარიელებული და ამ სიცარიელეში ერთი ფიქრი მეგდო გასაძლებად: მთავარია, დღეს რატი არაა სკოლაში. მთავარია, რატის არ დაუნახავს. მოვბრუნდი და რატი არ დგას კარებთან?! მერე რა იყო, მაგის გახსენება არ მიყვარს, ჩემი და მუნჯი დათას საიდუმლოა. როცა ვატყობ, რო მახსენდება, ხელებს ვმუჭავ, ფრჩხილებს ჩავიჭერ ხოლმე მაგრად ხელისგულებში და რო მტკივა, ფიქრი აქეთ გადმომყავს, ამ ტკივილისკენ.

მაგ ქადების მოპარვის დღეს ღობიდან გადავძვერი ჩემ ოთახში. საღამოს ჩემბებო რო ამოვიდა, არც მეჩხუბა, არაფერი. ერთი ეგ თქვა, შეკვეთა მქონდა ჩასაბარებელი, ღამე გავათენე, დავაცხე და ამ სასიკვდილეს შეუჭამიაო, კარგად ვცემე და დავაბი, შიმშილში უნდა გასძვრეს სული მაგ მყრალ ვირსო – ჩაპაზე. ოღონდ სინამდვილეში ჩაპა ვირი არაა, ძაღლია.

სამზარეულოში რო შევიდა და ცხობა დაიწყო, ავდექი, ჩაკეტილი ოთახიდან ჭიქები ჩამოვიტანე ჩუმად სარდაფში. ხო ვიცი, რო აქედან სამზარეულომდე ხმა არ გადის, მაგრამ ძველი გადასაფარებელი გადავიფარე მაინც და ჭიქების დატეხვა იმის ქვეშ დავიწყე. მერე ჩაპას ბუნაგთან მივედი და ჩემი დასისხლიანებული თითები რო გადავუშალე თვალებთან ბოდიშივით, შეიძლება მაპატია, შეიძლება არა. არ ვიცი. ის კიდე ზუსტად ვიცი, მე თვითონ რო არასდროს ვაპატიებ ჩემ თავს. არც ამ ჩაპას ბოდიშისთვის დასერილი თითების ხათრით და არც იმ საიდუმლო სხვა ამბის ხათრით. ლიზი არ გვასწავლიდა მაშინ ჯერ. ნეტა მაშინ ლიზი მყოლოდა. ღამე სიცხემ ამიწია და გამიხარდა, რო ეს დღეები სკოლაში აღარ ვივლიდი.

იმ გადაკოცნის მეორე დილას „ამის“ შესახვევთან რო მივედი, დავაკვირდი და არც მუხლი დამება ადრინდელივით, არაფერი. ჩვეულებრივად ავიარე. გული კი ამიჩქარდა ისევ, მაგრამ ფეხი აღარ შემინელებია. ჯადო აეხსნა აქაურობას. ისე უცნაურად ვარ, თითქოს ისევ ფილმში ვარ. ბედნიერ ფილმში. ცოტა კი ვიყოყმანე, მაგრამ რახან მაინც ფილმია, უფრო გავბედე. უკან მოვბრუნდი და იმ ადგილას ახლიდან გამოვიარე. ისევ მოვბრუნდი და ისევ. ისევ. ვეღარ ვჩერდები, ვეღარც სკოლაში მივდივარ. მარტო იმაზე ვფიქრობ, რანაირი უშნო სიტყვაა ეს „ვიყოყმანე“. ჩემზე უშნო. ეგრე „ყოყმანი, ყოყმანი“ გულში ვიმეორებ და დავდივარ წინ და უკან სულელივით. ვეღარც ვჩერდები, ვერც გზას ვაგრძელებ. მერე წამოვედი როგორღაც და ახლა „ამის“ შესახვევის ხრეშიან გზას არ ავუყევი?! ზედმეტი სიხარულისგან მოშლილ ფეხებს „იმისი“ სახლის გზაზე მივყავარ და მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

ზოგჯერ მგონია, მარტო კლასელებს კი არა, ჩემი სხეულის ნაწილებსაც სუ არ აინტერესებთ ჩემი აზრი. თვითონ როგორც მოუნდებათ, ისე აკეთებენ სუ ყველაფერს. მუხლებზე და ფეხებზე ხო ვთქვი უკვე. ენაზე რა ვიცი, მაგან მგონი, ცოტა დამიჯერა. ან დაემთხვა, რო მე და მაგას ერთად აღარ მოგვინდა ხმის ამოღება. უფრო ეგ მეორეა. ხო, ჭამაზე კიდევ. თუ სკოლიდან მოვედი და ბებო არც სადმე გადის, არც ქადებს აცხობს, მაშინ თეფშებს და ჭიქებს ხო ვერ დავამტვრევ და მაგ დროს ჩემი პირი ჭამს და ჭამს. გინდა გემრიელი იყოს, გინდა უგემური, უმარილო, მლაშე ან ტკბილი. სულ ერთია. ჭამს და ჭამს ჩემი პირი, არ აინტერესებს, მშია თუ არა. ჭამს, არ ჩერდება. ახსენდება, დღეს „იმან“ რეები მეძახა და ჭამს, რო გულზე მომეშვას და მეც ამდენი ჭამისგან კუჭზე კი მაწვება, მაგრამ ბოლოს გულზე მეშვება მართლა. ერთი ეგაა, მერე უფრო მსუქანი ვხდები და მერე ისიც უფრო დამცინის. თეფშების დამტვრევა მირჩევნია ჭამას. თუ ძალიან ცუდად ვარ და წკიპზე ვარ, მაშინ – ჭიქების. თეფშების ნატეხებზე გადასერვა ძნელია ხოლმე. თან არც ასუქებს, არაფერი, მაგრამ ამეებს რო ვამტვრევ, ეგეც ხო საიდუმლოა და ყოველთვის არ მიხერხდება. თან სუ მეშინია, რო ჩემბებო ერთხელაც იმ ოთახში შევა და ნახავს, რო მაგის ყუთებში შენახული თეფშები და ჭიქები აღარაა.

ხან მომინდება ხოლმე, გაიგოს და მკითხოს, ეგრე რატომ ვაკეთებ. ან ის მკითხოს, სულ ცუდ ხასიათზე რატომ ხარო, თეაო. გულში ვიტყვი ხოლმე, აი, ოც დათვლამდე თუ მკითხავს, ყველაფერს მოვუყვები „იმაზე“. ერთხელ მკითხოს და მერე სულ მოვუყვები. აღარც მაგის თეფშებს დავტეხავ, არც ამდენს შევჭამ. მაგრამ არ მეკითხება. იმასაც თავის დარდები აქვს.

„იმის“ სახლთან რო მივედი, ლეღვის ხე კი დგას მანდ და ამოვეფარე, მაგრამ შიშისგან ყინულად ვიქეცი, ვერ ვინძრევი. მარტო გული მიგდია სადღაც გამლღვარში და დახტის ზევით-ქვევით თევზივით. და ყურებში მესმის სულ ხმები. რაღაცა მოგუდული ხმებივით მესმის და მეთქი, ყურებმაც აიშვეს, აჰა, მოიშალნენ ეგენიც. ეზოშიც არავინაა და არც ქუჩაში და მე კიდე მაინც ხმები მაქვს ყურებში. ვდგავარ და „იმის“ სახლის ფანჯარაზე ჩამოკიდებულ ფარდაზე დაქარგულ ჩიტებს ვუყურებ და მიკვირს. რა უნდა ამის ფანჯრებზე ჩიტებს? მგელი იყოს, ვეფხვი იყოს, მაგრამ ჩიტი?! და უცებ თვალებმაც აიშვეს თავის ნებაზე და მაჩვენებენ, ვითომ ფარდა ჩამოგლიჯა „ამან“ შიგნიდან და მინას მოადო სახე და ისეთია, შეშლილივით, ოღონდ თან ძალიან ტირის და დამინახა უცებ ვითომ. გაეხარდასავით თან, რო დამინახა და ხვეწნასავით მიყურებს და ტირის და უკნიდან ვიღაცამ თმაში მოქაჩა და შეათრია ვითომ ისევ ოთახში.

უცებ ვითომ ფანჯარას რაღაც მოასკდა შიგნიდან. მერცხალი რო შემოფრინდება ოთახში და გასასვლელს ეძებს, ეგრე. უცებ, მეთქი, ფარდის ჩიტები ხო არაა, ჩემებურად სულელურად გავიფიქრე და რა ჩიტი, „ამის“ დედაა და უცებ გამოაღო ფანჯარა და მეზობლებოოოო, ყვირის. და უკნიდან მიხურა ვიღაცამ და ხმა რომ უცებ ისევ მოიგუდა, უცებ მივხვდი, რო კი არ მეჩვენება, მართლია ეს ხმებიც და რასაც ვხედავ, მართალია ეგ ყველაფერიც. მივხვდი და უფრო გავიყინე. აღარ ვიცი, რა ვქნა, რა გავაკეთო.

გამოჩნდა ისევ „ეს“ ფანჯარასთან და ხელით მანიშნებს რაღაცას და ვუყურებ ეგრე ყინულივით, გაშტერებული. ვუყურებ და ტირის და სანამ მამამისის მუშტი მოხვდა, ხელი წაიღო ყელთან, გეხვეწებიო და უცებ გამოვფხიზლდი. მოვიხსენი ჩანთა, მივაგდე და მივრბივარ. ისე ძალიან მივრბივარ, ფრთებივით. მივვარდი ლიზის

ჭიშკარს და ძაღლი მაღლი არ გამხსენებია, შევვარდი და დგას ლიზი, მობილურში იყურება. მოვკიდე ხელი, მოვუჭირე ხელი და მოვარბენინებ უკანა გზაზე ეგრე, ფრანივით.

გაკვეთილების მერე სუ გვტოვებს ხოლმე მთელ კლასს, რაღაცეებს გვაკეთებინებს. ერთხელ სპექტაკლი დაგვადგმევინა. სცენისთვის ყუთებისგან რაღაცეებს რო ვაწყობდით, წებო მარტო მე მომცა და ყველა მე მთხოვდა და ვაძლევდი. ზოგი მადლობაო, მეუბნებოდა. „ეს“ თავიდან არ მთხოვდა და ლიზიმ უთხრა, დაწებება სჭირდება მაგ დეტალებსო, თეას აქვს წებო, სთხოვე და შენებურად კოხტად დააწებეო.

მერე თქვა ლიზიმ, გაზაფხულზე ცეკვები დავდგათო და მერე მე მითხრა ჩუმად, ხელებზე დასერილები უნდა მოირჩინო მანამდეო. მე მაქვს კარგი მალამო და მოგცემო. რა შუაში იყო, მაგრამ ეგრევე მივხვდი, რო რატისთან უნდა მაცეკვოს. გულში ვთქვი, რო ცოტა უნდა გავხდე გაზაფხულამდე და წამოსვლის წინ „ამან“ დერეფანში ფეხი რო წამომიდო, ხო როგორ ნერვებდაგლეჯილი დავბრუნდი, თან ბებოც სახლში დამხვდა და მაგრამ მაინც არ ვჭამე.

ერთხელ ლიზიმ ესეთი რაღაცა მოიგონა: თვალები დახუჭეთო. დავხუჭეთ და შუბლზე აგვაკრა ფურცლები. ზოგს რა ფერი, ზოგს რა ფერი. გაახილეთო და ისე რო, ხმა არ ამოიღოთ, დაჯგუფდითო. ჯერ ვერ მივხვდით და მერე უცებ მე მივხვდი და სამ გოგოს ვანიშნე, ცისფერები გაქვთ მიწებებული და ერთად დადექით-მეთქი. ეგეთ რამეებს უკვე ვბედავ, აღარ მეშინია, რო რამე შეცდომით არ ვთქვა და არ დამცინონ. სპექტაკლს რომ ვდგამთ და ექსკურსიებზეც დავყავართ ლიზის და ფილმების მერე ერთად გველაპარაკება, თითქოს აღარ ვართ ცალკე მე და ცალკე ესენი, კლასელები. ერთმანეთს ვეხმარებით, წებოს მიცემაა თუ გუნდების თამაში და მაგიტო. გაკვეთილების მერეც უკვე აღარ გავრბივარ ხოლმე სახლისკენ.

ხოდა, მანიშნებს ამ დროს რატი, რო მოდიო, ჩემი ფერის ფურცელი გაქვს შუბლზეო. მაგის მერე მიყვარს წითელი ფერი. ისე მიყვარს, რო თუ თეფშს წითელი ყვავილი ახატია, ვეღარ ვტეხავ. ვუყურებ სხვა ჯგუფებს, მეცინება: ზოგი ვერ ხვდება, ასე მუნჯურად როგორ უნდა გაიგოს ან ახსნას რამე და მე კიდე ისე მსიამოვნებს, რო ჩემსავით ხმას არ იღებენ ესენიც.

„ამის“ დაქალს ქონდა ყვითელი ქაღალდი. ჩამოგვიარა, გვანიშნებს, თქვენთან უნდა დავდგეო? თქვენთანო? და ჩვენ ყველამ ვუთხარით, არაო და გაცეცხლებული დადგა მარტო.

ლიზი ჩაეხუტა ბოლოს მაგას და ეუბნება, აბა, აგვიხსენი, რატომ დგახარ მარტოო. ამან უთხრა, სადაც მივედი, არ ჩამაყენეს თავისთანო. ეტყობა, მარტო მე მაქვს ეს ფერიო.

– და რა იგრძენი, როცა არ მიგიღეს და მარტო დარჩი?

ისე მზრუნველად ეკითხება ლიზი, რო, მეთქი, ეს მაგის ეგრე მარტო დასადგომად გამმეტებელი არ იყო. ალბათ შემთხვევით შეყვა ეს ერთი ცალი ყვითელი.

– მეწყინა. ყველა ჯგუფებად იდგა და მე კიდე მარტო დავრჩი, არავის უნდოდა, მაგასთან დავმდგარიყავი და მეწყინა, ცუდ ხასიათზე დავდექი.

– გასაგებია. რეალობაში თუ გიგრძნიათ მსგავსი რამ, ბავშვებო?

ეს რომ იკითხა, მივხვდი, რო კი არ შეყვა ის ყვითელი, სპეციალურად გააკეთა ლიზიმ ეგრე.

– ან თუ შეგიმჩნევიათ, რომ თქვენ გვერდით სხვას აქვს მსგავსი პრობლემა? ამაღამ იფიქრეთ და ხვალ მომიტანეთ ფურცლებზე დაწერილი. რაც ვთქვი, მაგის გარდა, გევალებათ, დაწეროთ თქვენი აზრი, როგორ შეიძლება ასეთი „ცალკე მდგომი“ ბავშვების დახმარება? თქვენ რა გაგიკეთებიათ იმისთვის, რომ თქვენს თანატოლს გარიყულად არ ეგრძნო თავი? რას გრძნობთ, როცა თავს მის ადგილას წარმოიდგენთ? რაც მთავარია, ეს პასუხები მხოლოდ ფურცლებზე არ უნდა დარჩეს, ჩვენ ყველამ რეალურად უნდა ვიზრუნოთ ერთმანეთზე.

„იმის“ ფანჯრიდან ჩანს ისევ ყველაფერი და ლიზი მივარდა ეგრევე ჭიშკარს, აბრახუნა, ჩაკეტილი ჰქონდათ შიგნიდან. მერე ვიღაცეებს დაურეკა და სანამ ისინი მოვიდოდნენ, მეზობლებსაც უბრახუნა. მეზობლის კაცები შეცვივდნენ მერე და გააკავეს ლანას მამა.

ლიზი აღარ იყო ლიზისნაირი. ვეფხვისნაირი გახდა. მეზობლის ქალს უყვიროდა, რას ქვია, ოჯახის საქმეში არ ერევითო. რომ მოეკლა ორივე, თავს როგორ აპატიებდით მერეო. ოცდამეერთე საუკუნეში ძალადობაზე როგორ უნდა გაჩუმდე ადამიანიო. იცით თქვენ, მერე მოძალადის შვილების ფსიქიკას რა მოსდისო? იღებთ ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობასო? და მერე მანქანებით მოვიდნენ ვიღაცეები, ლიზის დარეკილები. სასწრაფოც მოვიდა. ლანას დედა მაგათ წაიყვანეს და მამა – სხვებმა. ლიზი რო მეზობელს უყვიროდა, მაგ ქალს უნდოდა, ლანა თავისთან წაეყვანა, მაგრამ ლიზიმ უთხრა, ბავშვს მე მივხედავო.

უცებ მივხვდი, რო სახელს ვამბობ გულში და მიკვირს. ლანა, ლანა. ტირის და ლიზის ეხუტება. მკლავი აქვს დაწითლებული. გამეფიქრა, გაულურჯდება-მეთქი მანდ და უცებ მივხვდი, რო განა მართლა სპორცმენია, მამამისი რო ცემს, მაგიტო აქვს ხოლმე სუ ჩალურჯებული. უცებ ისე ძალიან შემეცოდა და ჩემ თავზე გავბრაზდი, რო რამდენჯერ მინატრია, რინგი ქვია თუ რაცაა, იქ, იმ ჩხუბებში ნეტა მოკლან-მეთქი. ლანა. ლანალანა. ლანა.

ვწერ ხოლმე ლიზის რაღაცეებს. თვითონაც მწერს. ერთხელ თქვა გაკვეთილზე, დაწერეთ, რაზე ოცნებობთო. ყველამ ხო დაწერა თავისი და მე ჩემბებოზე დავწერე. ჩემბებოს ოცნებაა, რაიონის გაზეთში რო რამე დაწერონ მაგაზე-მეთქი, ან ქადებს რო აცხობს, ან რამე. მთავარია, სურათიც რო დაბეჭდონ მაგისი-მეთქი. მართლა ეგრეა. ხოდა, მაშინ მითხრა ლიზიმ, შენზე ლაპარაკს არ უნდა გაექცეო, მოდი, შენზე მელაპარაკეო და ნახავ, როგორ კარგად იქნება ყველაფერიო. მაგის მერე ვწერ ჩემზე ყველაფერს ლიზის. თვითონაც მწერს და დილაობით წერილებს რო ვცვლით, ეგ მომენტი მიყვარს ყველაზე უფრო.

ორი საიდუმლო ხო მაქვს და მაგეების მოყოლის მეშინოდა. მეორე ისაა, ჩემბებოს თეფშებს რო ვპარავ და ვამტვრევ. ბოლოს მოვუყევი ეგ. არ გაბრაზდა, მკითხა, ბევრი დაგიგროვდა ნატეხიო? მეთქი, კი, რაც წერილებს გწერთ, იმდენს აღარ ვამტვრევ, მაგრამ ქვაბი გაივსება მაინც მალე. მოდი, შეეშვი გატეხას და მაგ ნატეხებისგან რა გააკეთო, მაგაზე იფიქრეო. სხვა მასალებს მე მოგცემო. შენ მდიდარი ფანტაზია გაქვსო და რაიონული კონკურსია სკოლების გამოცხადებული, ხელნაკეთ ნივთებზე და შენი იმედი მაქვსო. მეცო და სკოლასაცო.

რაც არ ვლაპარაკობ, ხო არც ვტირი, მაგრამ ეგ ბოლო რო წავიკითხე, ამეტირა. სარდაფში ვკითხულობდი, უკვე ერთი ნატეხი მქონდა სუპის თეფშზე ჩამოტეხილი მაგ დროს და გავჩერდი და ვიტირე. მერე წებო როცა მომცა, პირველი ეს თეფში დავაწებე და ავიტანე ისევ ჩაკეტილ ოთახში. მაგის მერე ეგ ოთახი აღარც გამიხსნია.

პირველი საიდუმლო კიდე ისაა, ქადები რო დამაყრევინა და უკან თურმე რატი მედგა, ყველაფერი დაინახა. გამოვვარდი კლასიდან და მივრბივარ ღრიალით. მივრბივარ და ვფიქრობ, რო აღარ შემიძლია მეტი. ვეღარ ვუძლებ, ღმერთო. თან რო ვიცი, რო ხვალაც ეგრე იქნება და სუ, ვეღარ ვუძლებ, როდემდე გავუძლო, აღარ მინდა და მდინარეა თან მაგ დილას ადიდებული. არც მეშინია, არაფერი. მარტო ის მინდა, რო აღარ ვიყო და დავისვენო...

დარაჯის ძმაკაცი როა, მუნჯი დათა, მაგან ამომათრია. კიდე კარგი, რო კი არ იტყუება, ნამდვილი მუნჯია, ვერ დაიყვირებს, რო ლამარას შვილიშვილი თავს იკლავს, ხალხო. ჩუმად გადამარჩინა და რო შევხედე, ეგრე თვალებით შევეხვეწე, რო სუ არავის უთხრა-მეთქი, დათა პაპა. გეხვეწები, ჩემბებოს არავინ გააგებინოს. ეგრე მუნჯურად ვთხოვე მუნჯ დათას და იმის თვალებიდან მივხვდი, რო არ გამთქვამდა. მაგის მერე აღარ დამილაპარაკია არავისთან, არც მარტო რო ვარ, მაშინ. თუ შენი გაგება არ უნდათ, რომც იყვირო, ვერ გააგებინებ. თუ ადამიანს შენი ესმის, მაშინაც ესმის, თუ მარტო თვალებში შეხედავ და არაფერს ეტყვი.

იმ ღამეს ლანას დედა ხო საავადმყოფოში იყო და ლანასთან ერთად მეც თავისთან დამტოვა ლიზიმ. დაძაბულები ვიყავით სამივე. მერე ლიზიმ თქვა, სანამ გემრიელ პიცას გამოგიცხობთ, დაგტოვებთ ცოტა ხანსო, თან ლანას ვიცი, ენდომება, მადლობა გადაგიხადოსო და გავალ მე, ხელს არ შეგიშლითო. ისეთი ღამე იყო, ძალიან სხვანაირი. მაგ ღამის მერე გავიგე, რო თურმე კარგად რო ხარ, მაშინაც გეტირება ადამიანს. ძალიან კარგად რო ხარ, მაშინ კიდე უფრო ძალიან გეტირება. ადრე მეგონა, ტირილი მარტო დარდისაა.

დავიწყე ქვაბში მოგროვილი ნატეხებისგან რაღაცეების გაკეთება. ჭიქებისები გადავყარე, სისხლი რომელზეც იყო, ისეთი თეფშებისებიც. ლიზი ლამაზი რამეების გაკეთების ვიდეოებს მაყურებინებს ხოლმე კომპიუტერში. ბევრს. მაგრამ გგონია, სახლამდე მახსოვს? ხოდა, ისევ ჩემი ჭკუით დავიწყე გაკეთება. მეც არ ვიცი, რას ვაკეთებ, მაგრამ ლამაზი კი გამოდის. სუ მახსოვს, რო ლიზის ჩემი სჯერა და უნდა გავახარო. ლიზი ამბობს, რო როგორც ამ დიდი ტკივილის დროს დატეხილი თეფშებისგან რაღაც ლამაზის აწყობა შეიძლება, ეგრე შეიძლება თვითონ ტკივილგადატანილი ადამიანისგან ბედნიერი ადამიანის შექმნა. არ მჯერა, მაგრამ თავს ვუქნევ, რო გაუხარდეს.

გაკვეთილების მერე რაღაცაზე უნდა დაგელაპარაკოთო, ჩვენი კლასის საიდუმლოზეო, ლიზიმ. მე უკვე ვიცი, რაზეც, გუშინ მკითხა და მეთქი, კარგი, ლიზი.

— რაიონული კონკურსია, ბავშვებო, სკოლების, ხელნაკეთი ნივთების თემაზე. თეას აქვს ძალიან კარგი ნამუშევარი, მაგრამ დასასრულებელია, დროში ვერ ვეტევით. თან მასალა სჭირდება. ვის გაქვთ ცისფერ და ან სტაფილოსფერყვავილებიანი თეფშები სახლში?

მე კი ვუთხარი ლიზის გუშინვე, ნატეხების მეტი რაა, ამოვარჩიოთ-მეთქი ქვაბიდან, ან ახლებს ჩამოვიტან ოთახიდან, ცისფერსაც, სტაფილოსფერსაც, მაგრამ ლიზის უნდა, სხვებიც დამეხმარონ. სხვების თეფშებიც რო იქნება, უფრო ძალიან გაუხარდებათ, თუ გავიმარჯვებთ. არც შური იქნება, არაფერი. თავის თეფშიანი ხო ყველას უხარია. და გამარჯვებაც ყველასი იქნება. არც დაცინვა, არაფერი. კარგი-მეთქი, ლიზი, როგორც იტყვი.

თან ვნერვიულობ, ჩემმა მოჯღლარდულმა რა უნდა გაიმარჯვოს, მთავარია, არ დამცინონ. ორი დღის წინ მივწერე ლიზის, აღარ მინდა კონკურსზე-მეთქი და გაბრაზდა. თუ ეწყინა. და მაგის გაბრაზებას ან წყენას ისევ კონკურსზე ამის გაგზავნა მირჩევნია. თან ლიზი ამბობს, რო მთავარია, ადამიანმა აკეთოს. ეს კეთებაა თვითონ უკვე გამარჯვებაო და წაგება-მოგება არაა მთავარიო. მე ხო ვიცი, რო ეგრე არაა, მაგრამ დავეთანხმე, ეგონოს, რო დავიჯერე, გაუხარდება.

ხოდა, წებოც გვჭირდებაო, ლიზი ამბობს უცებ გაკვეთილზე. ლანას დაქალმა, მე მაქვს, მასწ, მე მოვიტანო, გახარებულმა წამოიძახა. და გავხედე ლიზის, წებო გვაქვს ორი ცალი, რათ გვინდა. მაგრამ ლიზიმ მანიშნა რაღაცა და კარგი, ჰა, მოიტანოს მესამეც.

ლიზისთან წავიღე და იქ ვაკეთებთ მთელი კლასი. მე ვანიშნებ და ეგენი მაწვდიან, რომელიც მინდა და მე რო ვაწებებ, მერე უჭირავთ ამათ ცოტა ხანს ეგრე, რო წებო კარგად გაშრეს. რატიმ ერთი დებილობა თეფში მოიტანა, მწვანე ალუბლები ახატია. ეგეთი დებილობა არსად გამიგია. მწვანე ალუბალი თეფშზე. ალუბალი მწვანე. ხან სად მივადებ, ხან სად. არ უხდება. მაგრამ მინდა, რატის ხათრით სადმე მივაწებო.

ლიზი ამბობს უცებ, უი, ეს რა კარგი ფერებია! რატი მაჩუქე რაა, ამით მე ცალკე გავიკეთებ ჩემთვის რამესო. რატის გაუხარდა და მისცა და მეც ამოვისუნთქე. რაღაცნაირია ლიზი. სულ არ გჭირდება მაგასთან ლაპარაკი. ისე ხვდება ყველაფერს, თავისით. ორი მუნჯი ვართ სოფელში, ერთი ნამდვილი და მეორე მე და ორივესთან ეს მამა-შვილი მეგობრობს მარტო. როგორი რაღაცნაირი ხალხია, ადამიანზე ცოტა უფრო მეტი.

– გამარჯვებულს სამ აპრილს გამოავლენენ, – ლიზი ამბობს. – მაგრამ მთავარი გამარჯვება ესაა, ახლა აქ რომ ვართ, ერთად. ერთმანეთს ვეხმარებით და ჩვენი პირადი საიდუმლო გვაქვს.

დავდგით ცეკვები, დღეს მეჯლისი გვაქვს სკოლაში. მივედი და რატი მეუბნება: „ვაუ! რა ლამაზი ხარ, თეა!“ ეგ „თიას“ არასდროს ამბობს. მგონი, სულაც მაგის გამო მომეწონა სუ თავიდან. ვუღიმი მეც და ერთი სული მაქვს, ლიზის როდის მივწერ, რო რატიმ მითხრა, რო ლამაზი ვარ. ეს ლიზის შეკერილი კაბა მართლა მომიხდა. თან ხო გავხდი, რაც პირში აღარ ვიყრი ყველაფერს, რაც იჭმევა. თან თითებზეც ხო მიშველა ლიზის მალამომ.

ვცეკვავთ და ხო ბედნიერი ვარ, რო რატი აეგრე მიყურებს. რო ეს ლამაზი კაბა და ყველაფერი, მაგრამ თან მეტირება. სამი აპრილია დღეს და ლიზი არაფერს ამბობს იმ კონკურსზე და მეც კარგი სულელი ვარ, რისი გამმარჯვებელი იქნებოდა ჩემი მოჯღლარდული? მაგრამ მაინც თითქოს გულში იმედიც მქონდა. მეთქი, იქნებ ხვალ თქვას ლიზიმ რამე.

მივდივარ-მოვდივარ სკოლაში და არაფერი. ლიზი საერთოდ არ ახსენებს კონკურსს და რაღა მიხვედრა უნდა, რო ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ მაინც ვბრაზდები, რო ლიზი არაფერს ამბობს. თუ წაგება მართლა არაფერია, რატო არ ამბობს ჩვეულებრივად, რო აი, წავაგეთ, მარა მერე რა.

შევედი და დარაჯი ადგა და ეტყობა, ისეთი მჟავე სახე მაქვს, რო ეგრევე დაჯდა, სიტყვის უთქმელად. წავედი კლასისკენ და კარს ვაწვები და არ იღება. მივაწექი ისევ და გაიღო. გაიღო და. გაიღო და ბუშტებია სულ კლასში და დგანან ყველანი, ესენი. ასე ადრიანად ყველანი კლასში არიან და რო შევედი და ტაში დაუკრეს და მიცინიან. ღმერთო. ლიზიმ მუსიკა ჩართო და მეხუტებიან ყველანი. ყველანი მეხუტებიან და ვხედავ, დაფაზე წერია:

„დიდი მადლობა, თია, შენ ჩვენი სკოლა ასახელე. გავიმარჯვეეეთ!“

ჯერ უცებ ვერ მივხვდი, რა ხდება და თან ხო მუსიკაცაა ჩართული და არ მესმის, რეებს მეუბნებიან და ლიზიმ გამორთო მუსიკა და მოაქვს გაზეთი.

– ამის გამოსვლას ველოდებოდი, – მეუბნება. – იმიტომ არ გითხარი იმდღესვე.

ვუყურებ და ზემოთ ხომ ჩვენი კლასის სურათია და აწერია „გამარჯვებულები“, ქვემოთ კიდე, ვაიმე, ჩემბებოს სურათი არ დაუბეჭდავთ?! აწერია, რო გამარჯვებულები მადლობას უხდიან ქალბატონ ლამარას, ანუ ბებოჩემს, ულამაზესი მასალისთვის, რომლისგანაც გამარჯვებული ნამუშევარია შექმნილიო. ვაიმე. ღმერთო.

– ერთად მივუტანოთ ეს გაზეთი ბებიაშენს და ოცნების ახდენის ხათრით აუცილებლად გაპატიებს, – ჩემი ლიზი მეუბნება.

ვტირი და ღმერთო. ღმერთო. თან დახტიან ესენი ყველანი ჩემ გარშემო და უხარიათ. რატისაც. ლანასაც. სუყველას.

უცებ რატი შეტრიალდა და მიდის. მივიდა დაფასთან, მადლობა რომ დამიწერეს და წაშალა. ოღონდ სუ კი არა. თია წაშალა მარტო, დაწერა თეა და წამოვიდა ისევ გაცინებული. მომდის და მომდის ცრემლები. მომდის, ვერ ვჩერდები. ავიჩემე ეს „ღმერთო“ და ვიმეორებ გულში.

ლიზის ვუყურებ და ისეთია, მეგობარი. ვერ ვბედავ და ეგეთები აღარ ვიცი, მივედი და ისე ძალიან ჩავეხუტე, რო ძვლებამდე.

ყელი და ხორხი მაქვს მშრალი და აი, წყალი რო დიდხანს არ მოდის და უცებ რო წამოიღებს ჟანგიანს და ხროტინებს თან, ეგეთი ხმები ამომდის. ამომდის და არ იწმინდება. არ იწმინდება და ბოლოს თითქოს ამოვახველე, ეგრე ამომვარდა პირიდან:

– ლიზი.

ჩუმად ვამბობ თუ ხმამაღლა, არ ვიცი, სუფთად ვამბობ თუ ჟანგიანად – არც ეგ, მარტო ის ვიცი, რო მართლა ვამბობ, ხმით. ხმით ვამბობ: „ლიზი“, გულში ვიმეორებ: „ღმერთო“, და ზუსტად ვიცი, რო ეს ორივე სიტყვა ერთი და იგივეა.

სოფიო კუბლაშვილი

გელა

მე ახლა მასწავლებელი ვარ.

პირველი კლასიდან სხვა არაფერი მახსოვს. მხოლოდ ეს:

ბაცი ვარდისფერი გაჭუჭყისფერებული კედლები, მრუმე მწვანე სკამაკრული გადასაკეცი მერხი, შავი დაფა და თეთრი გაუღიმარი მასწავლებელი, ხელში ჯოხით. მინადაკრულ მაგიდაზე გადაშლილი ჟურნალი. 32 მოსწავლე. მათ შორის ერთი – გელა.

გელა უკვე ორმოცი წლისაა, თითქმის ორმოცდაერთისაც. მარტო ცხოვრობს დიდ ქალაქში. ოთხი წლის განმავლობაში უმზირა ცოლის თვალმა მის მორკალულ ზურგს და ნიკოტინით ამოყვითლებულ კბილებს, ისმინა ცოლის ყურმა მისი პირის ხმები, იყნოსა ქალის ცხვირმა მამაკაცის სუნი, შეიგრძნო მხევლის სხეულმა მისი ხელისგულების უხეში კანი, გონებამ ითმინა ქმრის დარდი და დუმილი... ქალს ქალობა მოუნდა. შვილიც თან გაჰყვა.

სამი წლის ბიჭი უკვე ძალიან ჰგავს მამას. დედას გულს ურევს მისი სიბრიყვე, ჩლატუნა ნაბიჯი, ღია პირი, ტირილით ლაპარაკი და წვინტლი, რომელსაც ვერაფერს უხერხებს.

შვილი გადარჩება, მამას თუ ვეღარ ნახავს! მსგავსება გაქრება. ბედი შეეცვლება.

ქალს ქალობა უნდა...

გელა მარტოა. ცოლი ენატრება. შვილიც.

გელა უკვე ორმოცი წლისაა, საცაა, ორმოცდაერთი შეუსრულდება. მაღალი და გამხდარი მამაკაცია. წინ გადაზნექილა და სიარულის დროს საკუთარ ფეხსაცმელს ადევნებს თვალს. დიდი ქალაქის შესაფერისი სამოსი შეარჩია. თავი მოსწონს. ზოგჯერ შემხვედრიც შეაფეთებს მზერას, მხოლოდ წამით. სამსახური აქვს. საჯარო სკოლის ღამის დარაჯია. დაიმახსოვრა, ვინ არის დირექტორი და თავაზიანად მიმართვაც ისწავლა. ღამით სიფხიზლე უკვე მისი მოვალეობაა, ამიტომაც აღარ წუწუნებს მუდმივი დაღლილობის გამო.

გელა კეთილია. შვილი უყვარს. ყოფილი ცოლიც. ისინი სხვა უბანში ცხოვრობენ. ხელფასის მეოთხედს უგზავნის ყოველთვიურად მამა შვილს. იცის, არაა საკმარისი. მაინც კმაყოფილია გელა. მზერით პირველკლასელ ბიჭებს ეალერსება, იშვიათად თმაზეც გადაუსვამს ხელს რომელიმეს. ამ დროს იღიმება ხოლმე.

ბავშვები ერთმანეთს გვანან, მაგრამ გელა ამჩნევს განსხვავებას. ბედნიერი სახეები არ იზიდავს, მხოლოდ სევდიანი, ცრემლშემშრალი თვალები უყვარს.

– ჩემი შვილი... – მდუმარედ სლუკუნებს ამ დროს.

გელა უკვე ორმოცი წლისაა, აგერ უკვე ორმოცდაერთს მიუკაკუნებს. მშობლები როცა დაეხოცა, თოთხმეტიც არ შესრულებოდა. დედამ გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე ნახა, სანამ სოფელში გაამგზავრებდა საახალწლო არდადეგებზე. გელას უთხრეს, გაზის გამათბობელმა გაგუდაო. არ დაიჯერა. დედის ჭაღარას დააბრალა მისი სიკვდილი. მამა თითქმის არ ახსოვს. რუსეთში მუშაობდა. აღარ ჩამოსულა. ამბობენ, ლოთობამ გადაიყოლაო.

გელას აღარაფერი აღელვებდა. სოფლის სკოლა დაამთავრებინეს და ქალაქის ქარხანაში მოაწყვეს მუშად. მშობლების ქონება შეინარჩუნა. ერთოთახიანი ბინა მოასუფთავა და საცოლეც შეარჩია. სოფელში მეზობლის მძახალმა გააცნო ძმისშვილი. კოხტა, საქმიანი

გოგო. შეირთო. ქალაქში ჩამოიყვანა. ავზნიანი გამოდგა. უყვარდა. მაინც მიაბრუნებინეს. მეზობელიც მოიმდურეს.

გელა გულჩათხრობილი გახდა. ოცდაცამეტი წლისას ნათესავმა უშველა და დაასაქმა საფლავის ქვის დამამზადებელ ცეხში, ქალაქის განაპირა სასაფლაოსთან. ისიც იქ გაიცნო. მამას დასტიროდა. ცოლობა სთხოვა. თანხმობაც მიიღო. ქორწილამდე ვნებები მოდრიკა. როცა თავისი თვალით შენიშნა ზურგის ამობურცული ნახევარი, გვიანღა იყო. მალე გამობურცული მუცელიც ზედ დაემატა. გელა გამრავლდა...

ახლა გელა მარტო ცხოვრობს დიდ ქალაქში.

გელა ორმოცი წლისაა. ერთ თვეში ორმოცდამეერთე წელს მიითვლის. სამსახურთან ახლოს, სარდაფში რომ სასადილოა, იქ სადილობს და არაყს ყიდულობს. ასე ინარჩუნებს ღიმილს. მისი ფანჯრიდან ქვაფენილი ჩანს. ზის და უთვალთვალებს გელა რამდენიმე წყვილ ბოტასს. ნახმარს და გაპრიალებულს. აკვირდება გასრესილი სიგარეტის ნამწვავებს, ნერწყვით დასველებულ ფილებს. გელას ართობს ფიფქებად ქცეული მზესუმზირის ნარჩენების მზერა. მეხსიერებას შემორჩენილ უწმაწურ სიტყვებს ადარებს მოსმენილ ფრაზებს თუ გინებას და მტევანს მაჯაში ატრიალებს.

გელა ფიქრობს: „სკოლაში სწავლობენ ასე ლაპარაკს?“ მხოლოდ ფიქრობს. ვერავის გაუზიარებს. სასადილო სამსახურთან ახლოსაა. ზოგჯერ არაყსა და ხაჭაპურს მასწავლებლებიც ყიდულობენ. გელას გასარჩევი არაა მოსწავლეების ცოდნა, ქცევა და საუბარი. მის საქმეს მიხედოს.

გელა დირექტორს ემორჩილება.

გელა ორმოცი წლისაა. რაღა ორმოცის, ორმოცდაერთს აღარაფერი უკლია. შვილი ენატრება. მალე სწავლა დაიწყება. უხარია გელას. სხვა უბნის სკოლაში მივა ბიჭის სანახავად. ფულს აჩუქებს. დამრიგებელს გაეცნობა და გაესაუბრება. ზუსტად ისე, როგორც თავის სამსახურში უნახავს.

მოიქცევა თავდაჭერილად, ზრდილობიანად. უნდა თქვან, წესიერი კაცია მამამისი, ეტყობა, შვილს არაფერს აკლებსო. უნდა დაინტერესდნენ, ცოლმა რის გამო მიატოვა, შვილის მიმართ ყურადღებიანიაო. გელამ თავი უნდა მოიწონოს. გული უჩქარდება გელას. ახალი მობილური ტელეფონი შეიძინა. სელფსაც იღებს. ბიჭთან ერთად ფოტო ექნება, რომ ყველას აჩვენოს და იამაყოს.

გელამ უკვე იცის „უფროსებთან“ საუბარი. დირექტორი ყველგან დირექტორია. კაბინეტში შევა, სიტყვას და ნომერს დატოვებს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდნენ „მამას“. გელა ბედნიერია. იმ ღამეს სამსახურში ორჯერ ჩაეძინა მოვალეობის შესრულებისას. გელა სკოლაში ღამის დარაჯია.

გელა ორმოცისაა. ექვსი დღის წინ მიულოცეს დაბადების დღე. მომდევნო თვიდან დაიჯერებს ორმოცდაერთს. იმ დილას სახლში დაბრუნება იჩქარა. დაიბანა. დაივარცხნა. გააუთოვა. ფეხსაცმელი გაიწმინდა. ცხვირსახოცი ჩაიკეცა. პერანგი ქამრით ჩაიმაგრა. ძველ საფულეში ქაღალდის ფული გაასწორა. სახელოები გადაკეცვით მოირგო. ცას ახედა. გაწვიმებამდე მოასწრებს. გადმოჭრა ქუჩა. თავაწეული მოაბიჯებს. ფეხსაცმელს ვეღარ ადევნებს თვალს. მისკენ მიზიდული მეტი მზერა დაიჭირა. გაუკვირდა. გააბოლა. სწრაფად, ღელვით.

ავტობუსი დაიძრა. არ გასცდება. იცის, რომელი სკოლაა.

გელა თრთის, როგორც მაშინ, ექვსი წლისა, პირველად რომ შევიდა საკლასო ოთახში. გელას სიხარული გაურბის, როგორც მაშინ, ექვსი წლისას, როცა მასწავლებელმა ზიზღით შეხედა. გელას ეშინია, ზუსტად ისე, როგორც ექვსი წლისას, როცა თანატოლმა დერეფნის კუთხეში მიიმწყვდია და ჯიბიდან ქადის საყიდელი ფული ამოაცალა.

— ვინ გნებავთ, ბატონო? — ეკითხება დღის დარაჯი.

გელა თავაზიანია. პასუხობს. ელოდება შვილს და მის დამრიგებელს სკოლის მისაღებში. გელას სული ეხუთება. მუცელში რაღაც უტრიალებს და ქამარიც უჭერს. ცხვირსახოცი მოჭმუჭნა ოფლიანი ხელისგულებით. გაქცევა დაგვიანებულია. უნდა დაელოდოს, როგორც უბრძანეს.

მოუახლოვდა. გაუსწორდა. იცნო. ძალიან გვანან ერთმანეთს, როგორც გაჭრილი ვაშლის ნაწილები. მხოლოდ თმა გამოჰყოლია დედის — შლილი და სწორი. გელა ვერ იძვრის. ნაკვთები უქვავდება.

ხედავს ბიჭის დამფრთხალ სახეს, დიდრონ, მრგვალ, ცრემლიან თვალებს, მხრებთან ჩატანილ ყბებს, ახამხამებულ, გრძელ წამწამებს, სატირლად მომართულ ტუჩებს. მარცხენა, ხორცშეუსხმელი ხელი მასწავლებელს უჭირავს, მარჯვენა — საფეთქელთან უდევს, ადამიანებს ემალება.

გელა ხედავს და პატარავდება. უფრო და უფრო, მეტისმეტადაც... ისე, რომ შვილი ზემოდან დაჰყურებს.

— გამარჯობა, ბატონო, როგორ მოგმართოთ? — ესალმება დამრიგებელი, თან ბიჭს თავზე უსვამს ხელს, თითქოს ეფერება. სინამდვილეში მხოლოდ ლამაზ ვარცხნილობას უფუჭებს. გელა ბრაზდება. შურს. იბოღმება. ეტირება. სუსტდება. მასაც „მოფერება“ უნდა. ფორიაქობს. საცაა, ისე აენთება, მიეჭრება მასწავლებელს, მისი კვასკვასა ფრჩხილებიდან დაიხსნის შვილს, შენობას გააცილებს. დაასაჩუქრებს და გააბედნიერებს. საცაა, ისე აენთება...

— გელა, გელა... ქალბატონო! გაგიმარჯოს! — ულბება მიმიკა გელას.

— თქვენი შვილი კარგი ბიჭია... — აგრძელებს ქალბატონი. „მამის ასლი ყოფილა, გენეტიკურად ჩლუნგია, მე რა უნდა ვასწავლო, დაბადებიდან გონებაშეზღუდული ყოფილა...“ — მამაკაცის შეთვალიერებისას ფიქრებად დაესხა თავს საბოლოო დასკვნები დამრიგებელს. — წყნარი ბიჭია, ხელს არ მიშლის, ზის თავისთვის... — გააგრძელა ქება.

გელას არ ესმის. არც უნდა მოსმენა. დამრიგებელი ვერ ამჩნევს, რომ გელა თვითონაა ბავშვი. ხოლო რადგან ბავშვია, მამა ვერ იქნება!

გელა უბედურია.

– მაინც ასე როგორ დამემგვანა ჩემი შვილი?! – იმეორებს.

დანარჩენი არ ახსოვს. მხოლოდ ცარიელი საფულე და უღიმილო სელფი ადასტურებს, რომ ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

გელა მარტო ცხოვრობს და მარტო ფიქრობს.

მე ახლა ორმოცი წლის ვარ. მალე ორმოცდაერთის გავხდები. დიდ ქალაქში ვცხოვრობ.

მალე სწავლა დაიწყება. მაშინ პირველი სექტემბერი დგებოდა. მე არ მიხაროდა. არ ვიცოდი, რა უნდა გამხარებოდა. არც მეშინოდა, არც ის ვიცოდი, რა იყო საშიში. ჩანთით, ბაფთით და თეთრი გეტრებით მიმიყვანეს სკოლის უზარმაზარ შენობაში და საკლასო ოთახში დამსვეს.

პირველი კლასიდან სხვა არაფერი მახსოვს. მხოლოდ ერთი გელა და ერთი ჭაღარა მასწავლებელი.

– ბიჭო, შენ კუბლაშვილის გვერდით დაჯექი, ეგერ, ე! დაგეხმარება! – წარბები კატეგორიულად აამეტყველა ციალა მასწავლებელმა და თავი ჩემკენ გადმოიქნია.

დაიძრა.

ახლაღა შევათვალიერე გელა – მოკლე შავი შარვლითა და თეთრი, მობრეცილად ჩატანებული პერანგით. მოწყენილი შუბლით. წინ წახრილი თავით. უკმაყოფილო, სატირლად მომარჯვებული, აბზეკილი ზედა ტუჩით. დაბნეული, შეშინებული, აფახულებული, ოდნავ სველი თვალებით. მარცხენა ხელით მკერდზე მიმაგრებული წიგნითა და მარცხენათი – პირდაღებული, შეუკვრელი ჩანთით. ნელი, მუხლებში გამრუდებული ნაბიჯით მოდის ჩემი მერხისკენ. მწკრივში პირველი, უკიდურესად მარჯვენა რიგი, კარისკენ.

– მიდი, მიდი, შე საცოდავო, იქნება რამე გეშველოს! რა უნდა ამას სკოლაში?! – ჩალაპარაკებადადევნებული გელა მადლიერი, მშვიდი მზერით პოულობს ჩემს მიგებებულ ხელს, რომლითაც მერხის პირს აკეცილს ვახვედრებ, რათა მოხერხებულად დაჯდეს.

– კუბლაშვილი, შენ დაეხმარე, მაგან რა უნდა წეროს და იკითხოს! – თხელი, უფერული ტუჩები, დაულაგებელი წარბები და მკაცრად გადაჭიმული ჭაღარა თმები.

ხუთი წლის ბრიალათვალება გოგომ, მახსოვს, ვერ დავარქვი სახელი ჩემს განცდებს: გამიხარდა, რომ ჩემს კლასელს უნდა დავხმარებოდი თუ დავითრგუნე მისადმი სიბრალულით და ვალდებულებით.

მივაბრუნებდი თავს მარცხნივ, საითკენაც გელა იჯდა, გელა ეფარებოდა მასწავლებელს და სხვა თანაკლასელებს, რომელთა-განაც ძალიან განსხვავდებოდა – ზურგმორკალული და მოწყენილი.

ასოები ვერ გამოჰყავდა, ხაზებს შორის ვერ ათავსებდა, გაურკ-ვევლად საუბრობდა. თანხმოვნებს მკვეთრად ვერ გამოთქვამდა. კითხვაზე სწორი პასუხი არასდროს იცოდა, ხელს არ სწევდა, კითხ-ვას ვერ სწავლობდა და ანგარიშს.

მისი ხელი მეჭირა და ასოების გამოწერაში ვეხმარებოდი, კითხვისას სიტყვებს ვაშველებდი, სწორ პასუხებს ვკარნახობდი, ვანგარიშობდი მის ნაცვლად და უჯრებში ვუბრუნებდი გაქცეულ ციფრებს.

პერანგზე აცდენილ ღილებსაც მე ვუკრავდი სწორად და ტუალეტის კარამდეც მე ვაცილებდი. ცხვირს ვაწშენდინებდი და ატირებულს ვამშვიდებდი. ვერავინ ჩაგრავდა. მომეტუზებოდა ხოლმე და ზურგს იმაგრებდა.

ის ხელი მეჭირა ხელში, რომელიც თავში წარტყმის მოლოდი-ნით ფარად ჰქონდა ხოლმე აფარებული სახის წინ – წლის ბოლოს უკვე ექვსის ვიყავი და თავი გამოცდილ, დიდსაქმეებნაკეთებ ბავშ-ვად წარმომედგინა და ეს მომწონდა.

ვიყავი ბედნიერი – ვეხმარებოდი გელას, დაძაბული პასუხისმ-გებლობითა და საკუთარი სისუსტეების გადამალვითაც.

როდის და როგორ მიილია სკოლის პირველი წელი, არ მახსოვს. არც გელა გადმომყოლია მეორე კლასში. არ ვიცი, რატომ.

ვფიქრობდი: „რადგან სხვისი დახმარება შემიძლია, ეს ნიშნავს, რომ თვითონაც გავუმკლავდები პრობლემებს? მე თუ დამჭირდება შველა და მოფერება, როგორ მოვიქცე? სკოლაში დედ-მამა არ მე-ყოლება. მასწავლებელს არ ვთხოვ – ის არავის ეხმარება, მხოლოდ ნიშნებს წერს. რა მეშველება?“

გელამ გამაძლიერა. სინამდვილეში გადამაჩვია თხოვნას:

– დამეხმარე!

რომელიც ისევე მჭირდებოდა, როგორც მოფერება.

მე ორმოცი წლის ვარ. მარტო ვცხოვრობ დიდ ქალაქში. მარტო ვფიქრობ. საჯარო სკოლის მასწავლებელი ვარ. ბავშვებს თავზე ხელს ისე ვუსვამ, რომ ვარცხნილობა არ გავუფუჭო. განსაკუთრე-ბით სევდიან ბიჭებს.

– ჩემი შვილი... – ვნატრობ ყრუდ ამ დროს.

„გელას“ ხშირად ვხვდები ქუჩაში, მოწიწებით ჩავუვლი და თავს ვხრი.

– არაა ჩემი განსასჯელი სხვისი ცხოვრება, ჩემს საქმეს უნდა მივხედო! – მე.

– ბევრი გელაა. ჩემი საქმე მასწავლებლობაა! – მე.

გელა უკვე ორმოცდაერთი წლისაა. მარტო აღარ ცხოვრობს. ნინო დამლაგებელმა ორჯერ შეუსწორა საყელო და მალე სახლიც დაულაგა. ქალი კოჭლია – ქორწილამდე შენიშნა გელამ. მერე რა?! გელა ბედნიერია. ალიმენტს იხდის. ნება დართეს, შვილი თავისთან დაიტოვოს ხოლმე. ნინო კეთილია და გემრიელ ქადებს ამზადებს.

გელა უკვე დიდია, შვილზე დიდი.

მერე რა, რომ ბიჭს სკოლაში წასვლა არ უხარია. შეეჩვევა. სიხა-რული სხვაგანაც შეიძლება იპოვოს. მაგალითად, მამასთან...